



2026 • 2

ექსპერიმენტული და კლინიკური  
მედიცინა

EXPERIMENTAL AND CLINICAL  
MEDICINE  
GEORGIA



Print-ISSN 1512-0392  
E-ISSN 2667-9736



# რევამ ვეფხვაძე - 100

თბილისში, ქალაქის ცენტრში, რ. თაბუკაშვილის ქუჩაზე (ყოფილ „საპიორნაიაზე“), ძველებურ მკვიდრად ნაგებ ორსართულიან სახლში 1926 წლის 14 მაისს დაიბადა გამოჩენილი ქართველი ექიმი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ქართული რადიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი რევამ ვეფხვაძე.


ბატონი რევამ ძირძველი, მეექვსე თაობის თბილისელი იყო. მისი პაპა, გრიგოლ გრიგოლის ძე ვეფხვაძე, ძველ საბუთებში „Тбилисский горожанин“-ად მოიხსენება.

რევამ ქ.თბილისის #1 გიმნაზიაში სწავლობდა. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ტექნიკური დისციპლინების მიმართ, გატაცებული იყო ფეხბურთით, ძალიან კარგად ხატავდა და ყველა ფიქრობდა, რომ

მხატვარი გამოვიდოდა, მაგრამ არჩევანი ექიმობაზე შეაჩერა.

რევამ ვეფხვაძე სამედიცინო ინსტიტუტში სწავლის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტურ ცხოვრებაში, ხატავდა, უშვებდა სტუდენტურ გაზეთს. სწრაფად გაიზარდეს ინსტიტუტის წლებმა. ინტერესს ტექნიკური დისციპლინების, ოპტიკისა და ფოტოგრაფიისადმი უკვალოდ არ ჩაუვლია და სწორედ ამან განაპირობა სპეციალობის არჩევანიც. 1948 წელს, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, განაწილებით დაიწყო მუშაობა ექიმ-რენტგენოლოგად ასპინძაში, შემდეგ 1950-51 წლებში - კოჭრის ბავშვთა ტუბსაავადმყოფოში, სადაც პრაქტიკულ საექიმო საქმიანობასაც ეწეოდა. 1951 წლის შემოდგომაზე ჩაირიცხა კლინიკურ ორდინატორად ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის კათედრაზე, რომელსაც პროფესორი გიორგი ნაზარიშვილი ხელმძღვანელობდა. მას არ გამოჰპარვია ახალგაზრდა ორდინატორის განათლება და შრომისმოყვარეობა და კათედრაზე დარჩენა შესთავაზა. 1954 წელს რევამ ვეფხვაძე დაინიშნა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის რადიოლოგიის კათედრის ასისტენტად. მისი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით ინერგებოდა რადიოიზოტოპური კვლევის მეთოდები და შეიქმნა რადიოლოგიური ლაბორატორია, რომლის შეუცვლელი გამგეც წლების განმავლობაში თავად იყო. ამ პატარა ლაბორატორიიდან რევამ შექმნა იმ დროისათვის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებული სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც თავისი ორიგინალური მიგნებებით, ამოცანების გადაჭრის სისხარტითა და სამეცნიერო პროდუქციის დონით ტოლს არ უღებდა მსოფლიოს წამყვან რადიოლოგიურ დაწესებულებებს.

იღბლიანი გამოდგა რევამ ვეფხვაძის შეხვედრა მომავალ მეუღლესთან - კლარა გელაშვილთან. რადიოლოგიაში მათი ერთობლივი მუშაობა საკმაოდ წარმატებული იყო და ბედნიერი ოჯახიც შექმნეს. რადიოლოგთა წრეში მათ სამართლიანად აღიარებდნენ დარგის პიონერებად და ქართველ პიერ და მარია კიურებს უწოდებდნენ.



საზღვარი არ ჰქონდა რევამ ფანტაზიასა და გამომგონებლობას; საკმაოდ პრიმიტიული საშუალებებით ახერხებდა ფარისებრი ჯირკვლის რენტგენოსკენირებას და ეს ხდებოდა მაშინ, როცა პრაქტიკაში ჯერ კიდევ არ იყო შემოსული რადიოსცინტიგრაფიის სარეგისტრაციო გამა-კამერა.

1956 წელს გამოვიდა რეზოს პირველი მონოგრაფია, ვ. ხუბუტიას თანაავტორობით, „რადიოაქტიური იზოტოპები, სხივური დაავადება, მისი მკურნალობა და პროფილაქტიკა“, რომელიც წლების განმავლობაში რჩებოდა სამავილო წიგნად რადიოლოგებისათვის.

მეცნიერისა და მკვლევარის შრომების ერთი ნაწილი ექსპერიმენტული სხივური პათოლოგიის აქტუალურ პრობლემებს მიეძღვნა, რაც აისახა მის მონოგრაფიასა და საკანდიდატო დისერტაციაში - „ძვლოვანი კორძის განვითარების საკითხისათვის“, რომელიც დაიცვა 1958 წელს.

1956 წელს რკინიგზის საავადმყოფოს ბაზაზე დაარსდა რენტგენოლოგიისა და სამედიცინო რადიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც სულ მალე საკავშირო დაქვემდებარების გახდა. მას სათავეში ჩაუდგა პროფესორი გიორგი ნაზარიშვილი, რეზო ვეფხვაძე კი რადიოიზოტოპური დიაგნოსტიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელად დაინიშნა. მეცნიერული სამედიცინო რადიოლოგიის გარიჟრაჟზე მკვლევარის მიერ შესრულებული შრომები აქტუალობითა და ნოვატორულობით გამოირჩეოდა და ხშირად წინ უსწრებდა სამეცნიერო პროგრესს.

მაძიებლის ბუნება სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა მეცნიერს და რენტგენორადიოლოგიას დაუტოვა მრავალი ორიგინალური მიგნება და გამოგონება, რომლებმაც ასახვა და განვითარება ჰპოვა მისი მოწაფეების მიერ დაცულ დისერტაციებში, ზოგი ცალკე მიმართულებადაც ჩამოყალიბდა.

1965 წელს რეზო ვეფხვაძე დაინიშნა რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. იგი ყოველმხრივ უწყობდა ხელს ახალგაზრდა მეცნიერებს და ასპირანტებს; თავისი პიროვნული თვისებების მეოხებით ახერხებდა მრავალი პრობლემის გადაჭრას. მისი რბილი, მიმტევებელი ხასიათი, კომუნიკაბელობა და მობილურობა ეხმარებოდა რთული სიტუაციებიდან გამოსავლის მოძებნაში; არ არსებობდა შემთხვევა, რომ წამოწყებული საქმე ბოლომდე არ მიეყვანა. მას შეეძლო განსხვავებული აზრის მქონე ადამიანიც კი თანამოაზრედ ექცია და ხშირად დაპირისპირებულთა შემრიგებლისა და გამაერთიანებლის ფუნქციასაც კისრულობდა.

რეზო ვეფხვაძე დიდ ყურადღებას უთმობდა ძირითადი ლოკალიზაციის ავთვისებიანი სიმსივნეების რადიოთერაპიის შემდგომი სხივური გართულებების მეცნიერულ შესწავლას. კერძოდ, სხივური დაავადების დროს თირკმლების მორფოლოგიური და ფუნქციური ცვლილებების, რაც საფუძვლად დაედო სადოქტორო დისერტაციას, რომელიც დაიცვა 1968 წელს, ხოლო 1969 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

1967 წლამდე პაციენტებს გამა-თერაპია ემპირიულად, დაგეგმარების გარეშე უტარდებოდათ. რეზო ვეფხვაძემ მიიღო მეტად თამამი და ორიგინალური გადაწყვეტილება - კონსულტაციებისათვის ტელეტაპით დაკავშირებოდა ობნინსკს. ეს იყო პაციენტის დაუსწრებელი კონსულტაციისათვის ვიზუალური ინფორმაციის დისტანციაზე გადაცემის პირველი და უნიკალური მცდელობა, რომელიც საფუძვლად დაედო ტელედიანოსტიკას. ანალოგიურად განხორციელდა ტელეტაპური კავშირი საქართველოს დიდ ქალაქებთან და დაინერგა რენტგენოლოგიური ტელედიანოსტიკა.

1972 წელს ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა რეზო ვეფხვაძე, რომელმაც, საქართველოში აღიარებულ მეცნიერებთან თანამშრომლობით, მნიშვნელოვნად გაზარდა ინსტიტუტის სამეცნიერო პოტენციალი და უფრო მრავალფეროვანი გახდა მეცნიერული საქმიანობა.

ატომური ენერჯის გამოყენებამ მშვიდობიანი თუ სამხედრო მიზნით დღის წესრიგში მწვავედ დააყენა რადიაციისაგან ადამიანის დაცვის პრობლემა. ამის საპასუხოდ ბატონმა რეზომ საქართველოში დანერგა ინდივიდუალური დოზიმეტრია.

ინფრანითელი სხივების გამოყენების დანერგვამ დაავადებათა ვიზუალიზაციაში ახალი იმპულსი მისცა რეზო ვეფხვაძის სამეცნიერო მოღვაწეობას. მან არა მარტო დანერგა საქართველოში თერმოგრაფიული კვლევა, არამედ დახვეწა ეს მეთოდი, თვისებრივად ახალ საფეხურზე აიყვანა,

შესაძლებელი გახდა მისი გამოყენება მასობრივი პროფილაქტიკური გამოკვლევისათვის. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ხელსაწყო - „თერმოგრაფი-ელექტროგამომთვლელი მანქანა“, რომელიც აღიარებულია გამოგონებად, რეზო ვეფხვაძე კი - საბჭოთა თერმოგრაფიის ერთ-ერთ პიონერად და ლიდერად. აღნიშნული ხელსაწყო გამოყენებისა და თვართოდ დანერგვის საკითხებზე პროფესორ რევაზ ვეფხვაძის ხელმძღვანელობით დაცულ იქნა არაერთი დისერტაცია.

1977 წელს გაერთიანდა ონკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი, ონკოდისპანსერი და რენტგენოლოგიისა და სამედიცინო რადიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი და შეიქმნა ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრი, რომლის დირექტორად დაინიშნა პროფესორი ლუარსაბ შარაშიძე, ხოლო დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში პროფესორი რევაზ ვეფხვაძე. ონკოცენტრში ბატონ რეზოს ხელმძღვანელობით შეიქმნა ერთიანი რადიოლოგიური სამსახური, სადაც ცალკე ადმინისტრაციულ ქვედანაყოფებად ჩამოყალიბდა ყველა ის მიმართულება, რომელსაც მან თავის დროზე ჩაუყარა საფუძველი - რენტგენოთერმოდიანოსტიკის, რადიოიზოტოპური დიაგნოსტიკის, რადიობიოლოგიის, მაგნიტობიოლოგიის, სხივური მკურნალობის დაგეგმარების, კონტაქტური რადიოიზოტოპური მკურნალობის განყოფილებები და ლაბორატორიები. ონკოცენტრში განაგრძობდა ფუნქციონირებას ონკოჰემატოლოგიური განყოფილებაც, რომელიც ითვლებოდა ქვეყანაში ლიმფოგრანულომატომის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ერთადერთ ცენტრად.

ხშირად დეფიციტური სიტუაციები მკვლევარს გამოსავალის მოძებნას აიძულებს. რენტგენის ფირების ქრონიკულმა უკმარისობამ და სიძვირემ უბიძგა რეზო ვეფხვაძეს და კარლო ლალაშვილს დაენერგათ ელექტრორენტგენოგრაფია ჩვეულებრივ ქალაქდზე, რაც ბევრად უფრო იაფი ჯდებადა, ვიდრე რენტგენის ფირით გადაღება. აღნიშნული სიახლეც გამოგონებადაა აღიარებული.

სერიოზულ პრობლემად რჩებოდა და რჩება რადიაციული გამოკვლევის დროს ადამიანის ორგანიზმზე სხივური დატვირთვის მაგნე ზეგავლენა. სხივური გართულებების შემცირების მიზნით გამკაცრდა კონტროლი რენტგენორადიოლოგიური პერსონალისა და პაციენტების სხივურ დატვირთვაზე. რეზო ვეფხვაძის უშუალო ინიციატივით რენტგენო-რადიოლოგიური სამსახურის მთელი პერსონალი აღიჭურვა თანამედროვე თერმოლუმინესცენციური ინდივიდუალური დოზიმეტრებით. შეიზღუდა რენტგენოსკოპია-რენტგენოგრაფიის ჩვენებები. აიკრძალა რენტგენოლოგიური გამოკვლევის გამოყენება მასობრივი პროფილაქტიკური შემოწმებების დროს.

დასხივების დოზის შემცირების პრობლემის გადაწყვეტას ემსახურებოდა ასევე 1990 წელს რ. ვეფხვაძისა და მისი თანამოაზრეების მიერ თვისებრივად ახალი ხელსაწყო - „სკენირების პრინციპზე დამყარებული რენტგენოდიანოსტიკური ინტროსკოპის“, „მინი-დოზის“ შექმნა. ამ აპარატით გამოკვლევისას პაციენტი ღებულობდა დასხივების 1000-ჯერ ნაკლებ დოზას.

1986 წელს, ჩერნობილის ავარიის შემდეგ, შეიქმნა რადიაციული უსაფრთხოების საუწყებათაშორისო სახელმწიფო კომისია, რომლის მუშაობაში ლომის წილი მიუძღვის ქვეყნის მთავარ რადიოლოგს რეზო ვეფხვაძეს. მან, დოზიმეტრისტ ბორის იურტაევთან ერთად, პირველივე დღეებში შემოიარა მთელი დასავლეთი საქართველო, განსაკუთრებით ზღვისპირა ზოლი ბათუმიდან სოხუმამდე და დაადგინა ამ ტერიტორიების რადიაციული დაბინძურება, უპირატესად რადიოაქტიური იოდით. რადიოაქტიური იოდით დაბინძურებისაგან მოსახლეობის, განსაკუთრებით ბავშვების, დასაცავად აუცილებლად მიიჩნედა პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას, რისთვისაც საკმარისი იყო სტაბილური იოდის ხსნარის კანზე წასმა, მაგრამ, მოსახლეობაში პანიკის დათესვის შიშით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მოსახლეობის გაფრთხილებაზე ბატონ რეზოს უარი უთხარეს. მაგრამ მან სწორი მოქალაქეობრივი პოზიცია დაიკავა და ჯანდაცვის სამინისტროდან, კოტე ბარქაიას დახმარებით, სელექტორით მაინც გაავრცელა ეს ინფორმაცია პერიფერიული ჯანდაცვის ქსელში, რისთვისაც, რბილად რომ ითქვას, მათთვის მადლობა არ უთქვამთ...

ბატონმა რეზომ პირველმა გამოავლინა სხივური დაავადების შემთხვევა კიევიდან ჩამოსულ მატარებლის გამცილებელში ჯერ კიდევ მაშინ, როცა არ იყო გახმაურებული ჩერნობილის ტრაგედია. წლების შემდეგ, ასევე მან პირველმა დასვა სწორი დიაგნოზი - სხივური დაავადება, ერთ-ერთ სამხედრო ბაზაზე რადიაციული ზემოქმედების შედეგად დაზიანებულ სამხედრო მოსამსახურეებში.

ჩერნობილის ავარიის შემდეგ, რეზო ვეფხვაძის ინიციატივით, ონკოცენტრში გაიხსნა სადღეღამისო სამორიგეო პუნქტი, სადაც დაბინძურებული რეგიონებიდან ჩამოსულ მოქალაქეებს უტარდებოდათ ღობიმეტრიული კონტროლი და სათანადო ინსტრუქტაჟი ტანსაცმლისა და ბარჯის დამუშავების შესახებ. მოგვიანებით საქართველოდან წარგზავნილ ავარიის შედეგების „ლიკვიდატორთა“ და მათ შთამომავალთა გამოკვლევა და დისპანსერული მეთვალყურეობაც ონკოცენტრში ბატონი რეზოს თაოსნობით დაიწყო.

მანამდე კი, 1986 წლის 3 აპრილს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მედიცინის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის, სამედიცინო კადრების მომზადებისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის რევაზ ვეფხვაძეს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

1989 წლის 14 მაისს ონკოცენტრის თანამშრომლების მიერ ხმათა უმრავლესობით რევაზ ვეფხვაძე არჩეულ იქნა ცენტრის დირექტორად, რომელსაც ხელმძღვანელობა ქვეყნისათვის ურთულეს პერიოდში მოუწია. მიუხედავად სერიოზული სირთულეებისა, როცა დარგის ყოფნა-არყოფნის საკითხი სასწორზე იდო, რეზოს ორგანიზატორული ნიჭისა და გამჭრიახი გონების წყალობით არა მარტო მოხერხდა ონკოლოგიური დამსახურების შენახუნება, არამედ თვისებრივად ახალ დონეზე ასვლაც. რეზომ ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა დაიწყო და ონკოცენტრი ერთ-ერთი პირველი სამედიცინო დაწესებულება იყო, სადაც ამუშავდა მძლავრი კომპიუტერული ცენტრი, რაც იმ დროს ბევრისათვის გაუგებარი და მიუღებელი იყო. სულ მალე, დაწესებულების სადაზღვევო პრინციპებით დაფინანსებაზე გადაყვანამ დაამტკიცა დირექტორის პოზიციის სისწორე, რადგან პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა არსებული ინფორმაციის უზარმაზარი ნაკადის ძველებურად დამუშავება, სამეურნეო და ფინანსური საქმიანობის მართვა, ასე დაწესებულების კრაზიც გარდაუვალი იქნებოდა.

ბატონმა რეზომ საფუძველი ჩაუყარა ქვეყანაში კიბოს ერთიანი რეგისტრის შექმნას კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით. აღნიშნული საქმის წამოწყებას წინ უსწრებდა არსებული სამართლებრივი ვაკუუმის შევსება. 2000 წელს შეიცვალა დაწესებულების სამართლებრივი ფორმა - ონკოცენტრი გახდა „სააქციო საზოგადოება - პროფესორ ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი“ და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ - პრეზიდენტად, დაინიშნა რევაზ ვეფხვაძე.

რეზო ვეფხვაძე ჩვენი დროის გამოჩენილი მეცნიერი იყო. მას ეკუთვნის 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 12 მონოგრაფია და სახელმძღვანელო; მისი ხელმძღვანელობით დაცულია 25 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. არის 12 გამოგონებისა და უამრავი რაციონალიზატორული წინადადების ავტორი. ასევე დიდი წვლილი მიუძღვის სამამულო რადიოლოგიაში საშუალო მედპერსონალის - რენტგენოლაბორანტებისა და იზოტოპური დიაგნოსტიკის ექთნების მზადების საქმეში.

რადიობიოლოგიური მიმართულების სამეცნიერო პრობებიდან ყურადღებას იპყრობს ისეთი საკითხები, როგორცაა სათესლე ჯირკვლებსა და სპერმატოზოიდებზე რადიაციის გავლენა. აღნიშნულ ნაშრომებს, ამჟამინდელი რადიაციული კატასტროფებისა და გარემოს რადიოაქტიური დაბინძურების ფონზე, დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

1973-75 წლებში რ. ვეფხვაძე, თ. ულენტან და ნ. ფირადაშვილთან ერთად, მუშაობდა ელექტრომაგნიტური ველის გამოყენებაზე ლეიკოპენიის მართვაში ონკოლოგიურ პაციენტთა

მკურნალობისას, რაც აღიარებული იყო გამოგონებად. მოგვიანებით, ამ გამოგონების საფუძველზე, ონკოცენტრში შეიქმნა მაგნიტობიოლოგიის ლაბორატორია, სადაც ონკოლოგიურ პაციენტებს ქიმიურ-სხივური თერაპიის ფონზე განვითარებული ლეიკოპენიის მკურნალობა უტარდებოდათ.

ჯანდაცვის რეფორმამ მრავალი პრობლემის წინაშე დააყენა ონკოლოგიური სამსახური. ამიტომ მისი სიცოცხლის უკანასკნელი ათწლეულის შრომები ძირითადად ონკოლოგიური სამსახურის ოპტიმალური მოწყობის მეცნიერული გზების ძიებას ეძღვნება, რაც აისახა რამდენიმე შრომაში და საბოლოოდ დაგვირგვინდა ფუნდამენტური ნაშრომით ნორმატიული აქტებისა და დოკუმენტების კრებულის სახით.

რეზო ვეფხვაძე აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ, საკავშირო თუ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში. ხშირად თავმჯდომარეობდა სხდომებს.

რეზო ვეფხვაძე დიდ მეცნიერულ-ორგანიზატორულ და საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. 1994 წელს, სხვა გამოჩენილ ქართველ მედიკოსებთან ერთად, დააფუძნა საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია. იყო ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრიც. 1994 წლიდან იყო ონკოცენტრის „ონკოლოგიის და სამედიცინო რადიოლოგიის“ სამეცნიერო საატესტაციო საბჭოს თავმჯდომარე; იყო რადიობიოლოგიის საატესტაციო საბჭოსა და სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს წევრი.

1972 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო რენტგენოლოგთა და რადიოლოგთა რესპუბლიკური საზოგადოების თავმჯდომარე. იყო საკავშირო სამეცნიერო ჟურნალების - „Вопросы онкологии“, „Медицинская радиология“-ს სარედაქციო საბჭოს წევრი.

ბატონი რეზოს წვლილი სამამულო მედიცინის განვითარებაში აღინიშნა ქვეყნის უმაღლესი ჯილდოთი - 1998 წელს მას „ღირსების ორდენი“ გადაეცა.

მიუხედავად ფართო მეცნიერული დიაპაზონისა, რეზო ვეფხვაძე არასოდეს უკეთებდა აფიშირებას თავის ნაშრომებს. ცხოვრებაში მეტად მოკრძალებული და თავმდაბალი იყო. ვისთანაც არ უნდა ჰქონოდა ურთიერთობა, თავის უპირატესობას არასოდეს აგრძობინებდა. არაჩვეულებრივი თვისება ჰქონდა - მოსმენის ნიჭი(!). განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი თბილი დამოკიდებულება თანამშრომელთა და პაციენტების მიმართ, რომლებსაც თანაბრად უნაწილებდა თავისი გულის სითბოს. ნებისმიერი სირთულის პრობლემაზე მარტივად და გასაგებად შეეძლო საუბარი, რასაც მისთვის ჩვეული იუმორით შეაზავებდა ხოლმე.

დაკავებულობის მიუხედავად, იყო არაჩვეულებრივი მეოჯახე, ყურადღებიანი მეუღლე, მოსიყვარულე მამა, პაპა და დიდი პაპა.

რეზო ვეფხვაძე იშვიათი ჯანმრთელობის ადამიანი იყო. ბოლოს კი... თავად დაისვა განაჩენის ტოლფასი უღმობელი დიაგნოზი... კიდევ ერთხელ გამოჩნდა ბატონი რეზოს სულიერი სიმტკიცე. იგი გარეგნულად მშვიდად შეხვდა ყოველივეს და იქით ამხნევებდა ოჯახის წევრებსა და ახლობლებს... წინასახალწლოდ მათთვის საჩუქრებზეც იზრუნა... და კითხვაზე - „შენ რა გინდა, თოვლის პაპამ რომ მოგიტანოს“, უპასუხა - „სიკვდილის გარდა ყველაფერი“... ორი დღის შემდეგ, 2001 წლის 27 დეკემბერს რეზო ვეფხვაძე გარდაიცვალა...

რევამ ვეფხვაძემ თავად უკვდავყო საკუთარი სახელი და თავისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობით, გამოგონებებით და ასევე ადამიანური ურთიერთობებით, კაცთმოყვარეობით, თავმდაბლობითა და სიკეთით კვალი ნათელი დატოვა.

*პროფესორი ნინო ვეფხვაძე  
პროფესორი ოთარ ურუშაძე  
პროფესორი რემა ღვამიჩავა*

ნინო ჯავახიშვილის სახელობის  
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ექსპერიმენტული და კლინიკური  
მედიცინა

NINO JAVAKHISHVILI  
SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL

EXPERIMENTAL AND CLINICAL  
MEDICINE

# №2

ჟურნალი ინდექსირებულია შემდეგ საერთაშორისო ინდექსაციის ბაზებში:

The journal is indexed in the following international indexing databases:

Google Scholar, Crossref, DRJI, Cosmos, WorldCat



ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიებს მინიჭებული აქვთ **DOI**  
Articles published in the journal are assigned a **DOI**

სადისერტაციო საბჭოების მიერ ჟურნალი ჩართულია სამეცნიერო გამოცემების ნუსხაში,  
სადაც რეკომენდებულია სადისერტაციო ნაშრომების ფრაგმენტების გამოქვეყნება

BY THE DISSERTATION COUNCILS JOURNAL IS INCLUDED IN A LIST OF SCIENTIFIC EDITIONS  
RECOMMENDED FOR PUBLISHING OF THE DISSERTATION FRAGMENTS

*მთავარი რედაქტორი:*  
 ასოც. პროფესორი  
 ნატო კორსანტია

*EDITOR-IN-CHIEF:*  
 ASSOCIATE PROFESSOR  
 NATO KORSANTIA

**სარედაქციო კოლეგია:** ნინო კორსანტია, ნატო კორსანტია, ლელა ბერიძე, ეკატერინე ბეშკენაძე, თინათინ დავითაია, ნათია კვიციანიძე, თინათინ კუტუბიძე, ნინო ლომიძე, დალიკო (დოდო) სიგუა

**EDITORIAL BOARD:** NINO KORSANTIA, NATO KORSANTIA, LELA BERIDZE, EKATERINE BESHKENADZE, TINATIN DAVITAIA, NATIA KVIZHINADZE, TINATIN KUTUBIDZE, NINO LOMIDZE, DALIKO (DODO) SIGUA

**სარედაქციო საბჭო:**

ა.ბაკურიძე, გ.ბეჭაია, ლ.გოგიაშვილი, ა. დალინი (რუმინეთი), ი.კვაჭაძე, დ.კისე (ლატვია), დ.კორძაია, პ.კუროშ (საბერძნეთი), ნ.ლომიძე, თ.მაჭავარიანი, ნ.მითავარიანი, დ.მიქელაძე, ი.ფანცულაია, რ.შაქარიშვილი, მ.ხუბუტია

**EDITORIAL COUNCIL:**

A.BAKURIDZE, G.BEKAIA, L.GOGIASHVILI, A.DALEAN (ROMANIA), I.KVACHADZE, D.KISE (LATVIA), D.KORDZAIA, P.KOUROS (GREECE), N.LOMIDZE, T.MACHAVARIANI, N.MITAGVARIA, D.MIKELADZE, I.PANTSULAIA, R.SHAKARISHVILI, M.KHUBUTIA

<b>მთავარი რედაქტორი:</b>	<b>EDITOR-IN-CHIEF:</b>
<a href="mailto:nkorsantia@yahoo.com">nkorsantia@yahoo.com</a> (995) 599530376	
<b>რედაქცია:</b>	<b>EDITORIAL OFFICE:</b>
0186, თბილისი, მ.თამარაშვილის 13 უ	13 J, M.Tamarashvili str., Tbilisi, Georgia, 0186



## სარჩმ30 / CONTENT

- 11 *ნინო ხუციშვილი, ირმა ბურჯუკური, გიორგი ტყეშელაშვილი, იულია ოვჩარენკო, ნინო ლორთქიფანიძე*  
**ანდროგენული ალოპეციის სიმწვავის შეფასება ტრიქოსკოპიული ნიშნების საშუალებით და მათი ჰისტომორფოლოგიურ მონაცემებთან კორელაცია**  
 Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.01>
- 20 *ვასილ კვერნაძე, ბელა ყურაშვილი, გიორგი მანავაძე, მარინა ციმაკურიძე, მათა ციმაკურიძე*  
**კვებითი სტერეოტიპის შეფასება შარდკენჭოვანი დაავადების დროს**  
 Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.02>
- 27 *მაია ციმაკურიძე, იოსებ პერტაია, მარინა ციმაკურიძე, ეკატერინე მირველაშვილი, მედეა ჯღარკავა, ანნა ელიზბარაშვილი, თამარ ნიქარიშვილი*  
**ექთნების პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება (შედარებითი ანალიზი საქართველოსა და პოლონეთის მაგალითზე)**  
 Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.03>
- 34 *მაია ციმაკურიძე, გიორგი მოისწრაფიშვილი, მარინა ციმაკურიძე, ეკატერინე მირველაშვილი*  
**ბავშვთა და მოზარდთა დასაქმების და ჯანმრთელობის თავისებურებები**  
 Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.04>
- 42 *კონსტანტინე ხარაბაძე, ზაზა ბოხუა, დავით კობეშვიძე*  
**ვიტამინ „C“-ს გამოყენება ბაქტერიული ვაგინოზის მკურნალობის პროცესში**  
 Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.05>
- 46 *IRAKLI POPKHADZE, TEIMURAZ MOSIAVA, TEONA LAZISHVILI, MANANA GOBEJISHVILI, DAVIT ABRAMISHVILI*  
**DIABETIC ANGIOPATHY-RELATED CHRONIC LIMB-THREATENING ISCHEMIA: REVASCULARIZATION STRATEGIES AND DUAL ANTITHROMBOTIC THERAPY**  
 Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.06>
- 55 *IRAKLI POPKHADZE, TEIMURAZ MOSIAVA, TEONA LAZISHVILI, MANANA GOBEJISHVILI, DAVIT ABRAMISHVILI*  
**PROCEDURAL AND EARLY HEMODYNAMIC OUTCOMES OF PERIPHERAL ARTERIAL ENDOVASCULAR INTERVENTION IN DIABETIC CHRONIC LIMB-THREATENING ISCHEMIA**  
 Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.07>
- 60 *მაია კოსტავა*  
**სინკოპე (რამდენიმე შემთხვევა კლინიკური პრაქტიკიდან)**  
 Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.08>
- 65 *ლალი ლაჩაშვილი, მათა ხუბუა, მიხეილ ჯანგავაძე, ზანდა ბედინაშვილი*  
**მიკრო-რნმ-ები: მათი პროგნოზული როლი და მნიშვნელობა გესტაციური დიაბეტის ადრეულ დიაგნოსტიკაში**  
 Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.09>
- 71 *თამარ ავალიშვილი, სალომე ლამბაშიძე*  
**რკინის დეფიციტისა და თვებრილური გულყრის შესაძლო ასოციაცია ბავშვებში**  
 Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.10>

- 75 *GRIGOR KAMUSHADZE, DAVIT SHENGELIA, GIGI GORGADZE, SAIALI IBRAGIMOVA, BACHO SHENGELIA*  
A NOVEL POSTERIOR CAPSULORHEXIS TECHNIQUE FOR CATARACT SURGERY USING COHESIVE VISCOELASTIC STABILIZATION  
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.11>
- 80 *ნინო მელიქიძე, ნუნუ მიცკევიჩი, ნინო ულენტი, თამუნა ლაბაძე, ნინო ადამაშვილი*  
ნეიტროფილურ-ლიმფოციტური ინდექსის-(NLR) კლინიკური ინდიკატორის როლი ვულგარული და პუსტულოზური ფსორიაზის დროს  
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.12>
- 85 *НИНО В.ЦИСКАРИШВИЛИ, АЛЕКСАНДР КАЦИТАДЗЕ, НАТО КОРСАНТИЯ, НИНО И. ЦИСКАРИШВИЛИ, ЦИСКАРИ ЦИСКАРИШВИЛИ, НИНО АДАМАШВИЛИ, МИХАИЛ ГАДАБАДЗЕ*  
ЛИНЕЙНАЯ СКЛЕРОДЕРМИЯ (ОПИСАНИЕ КЛИНИЧЕСКОГО СЛУЧАЯ)  
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.13>
- 88 *ნინო ნატროშვილი, თამარ ნატროშვილი, ნანა აბაშიძე*  
პირის ღრუს ჯანმრთელობა, როგორც ადამიანის სრული ჯანმრთელობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი  
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.14>
- 92 *ირინა მუსერიძე, მარიამი დავლაშერიძე, სალომე ხიმშიაშვილი, ალექსანდრე კაციტაძე, ნატო კორსანტია*  
ვულგარული პემფიგუსი - კლინიკური შემთხვევის განხილვა  
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.15>
- 96 *სალომე ხიმშიაშვილი, მერი კაკაურიძე, ირინა მუსერიძე, მარიამი დავლაშერიძე, ალექსანდრე კაციტაძე, ნატო კორსანტია*  
ქრონიკული ბალთოვანი ფსორიაზი - კლინიკური შემთხვევა  
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.16>
- 99 *მარიამი დავლაშერიძე, ირინა მუსერიძე, სალომე ხიმშიაშვილი, ალექსანდრე კაციტაძე, ნატო კორსანტია*  
ალერგიული ჰიპერსენსიტიური ვასკულიტი – კლინიკური შემთხვევის განხილვა  
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.17>
- 102 *თამარ ხეჩინაშვილი, რაშად ტალიშინსკი, ნინო მჭედლიძე, ნატო ნაკუდაშვილი, მარიამ ლომაია, ლალი ბერიძე, ზაზა ნაკუდაშვილი*  
ზოგიერთ კლინიკურ-ლაბორატორიულ მაჩვენებელთა ცვლილებები ქრონიკული მეორადი იმუნოდისფუნქციისა და თანმხლები დაავადებების ფონზე მიმდინარე ქრონიკული რინოსინუსიტების სხვადასხვა ფორმის შემთხვევებში  
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.18>
- 110 *ელენე ჯანბერიძე, ნანა ბაკურაძე, რუსუდან ჯოჯუა, მარინე ერემაშვილი, ნანა ნიქორიძე, მარინე ლულუნიშვილი, იოსებ აბესაძე*  
საქართველოში პალიათიური მზრუნველობის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული დანესებულებების საჭიროებების შეფასება  
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.19>
- 119 *SIMON KHECHINASHVILI ASSOCIATION OF GEORGIAN OTORHINOLARYNGOLOGISTS I SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE - A B S T R A C T S*



ნინო ხუციშვილი<sup>1</sup>, ირმა ბუჩუკური<sup>2</sup>, გიორგი ტყეშელაშვილი<sup>2</sup>,  
იულია ოვჩარენკო<sup>3</sup>, ნინო ლორთქიფანიძე<sup>1</sup>

## ანდროგენული ალოპეციის სიმწვავის შეფასება ტრიქოსკოპიული ნიშნების საშუალებით და მათი ჰისტომორფოლოგიურ მონაცემებთან კორელაცია

<sup>1</sup>დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო;

<sup>2</sup>პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია, თბილისი, საქართველო;

<sup>3</sup>ვ. ნ. კარაზინის სახელობის ხარკოვის ნაციონალური უნივერსიტეტი, ხარკოვი, უკრაინა

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.01>

*NINO KHUTSISHVILI<sup>1</sup>, IRMA BUCHUKURI<sup>2</sup>, GIORGI TKESHELASHVILI<sup>2</sup>,  
YULIYA OVCHARENKO<sup>3</sup>, NINO LORTKIPANIDZE<sup>1</sup>*

## ASSESSMENT OF THE SEVERITY OF ANDROGENETIC ALOPECIA USING TRICHOSCOPIC FEATURES AND THEIR CORRELATION WITH HISTOMORPHOLOGICAL FINDINGS

<sup>1</sup>David Tvildiani Medical University, Tbilisi, Georgia; <sup>2</sup>Petre Shotadze Tbilisi Medical Academy, Tbilisi, Georgia; <sup>3</sup>V.N. Karazin Kharkiv National University, Kharkiv, Ukraine

### SUMMARY

**Introduction:** Androgenetic alopecia (AGA) is the most common form of hair loss in both women and men. Objective assessment of disease severity is critically important, as it determines the treatment strategy, the intensity of therapy, and the need for a comprehensive approach.

**Aim of the study:** The aim of our study was to determine the correlation between trichoscopic features and histomorphological findings, which would allow us to assess the severity of AGA using trichoscopy and to evaluate the effectiveness of anti-microinflammatory agents used in the treatment of the disease.

**Materials and Methods:** The ethical application for the study was reviewed and approved by the Ethics Committee of David Tvildiani Medical University. Study design: prospective, observational, clinicopathological correlation study. A total of 64 patients (41 women and 23 men) with clinically varying degrees of female and male pattern hair loss and trichoscopically confirmed AGA were included in the study. Every third patient underwent a biopsy, and the specimens were prepared using both transverse and longitudinal sections.

**Results:** Our study revealed a positive correlation between trichoscopic features and histomorphological findings.

**Conclusion:** Trichoscopy, hair and scalp dermoscopy, is a non-invasive diagnostic method that enables comprehensive evaluation of the androgen-dependent area and assessment of disease severity. This examination should be routinely used for the diagnosis of AGA and for monitoring treatment outcomes. However, trichoscopy cannot determine the stage of male- or female-pattern hair loss, which should be assessed using global photography.

**Keywords:** Androgenetic alopecia, Trichoscopy, Biopsy, Clinicopathological correlation

**შესავალი.** ანდროგენული ალოპეცია (აგა) თმის ცვენის ყველაზე გავრცელებლი ფორმაა როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში [1]. დაავადება ყველა რასობრივ ჯგუფში გვხვდება, თუმცა სიხშირე განსხვავებულია. პრევალენტობა ყველაზე მაღალია კავკასიურ პოპულაციაში, სადაც 70 წლის და უფრო ხანდაზმულ ასაკში მამაკაცების დაახლოებით 80%-ს და ქალების 40%-ზე მეტს აწუხებს აგა [2].

აგა წარმოადგენს მულტიფაქტორულ დაავადებას, რომლის პათოგენეზში ერთდროულად მონაწილეობს გენეტიკური წინასწარგანწყობა, ანდროგენების ზემოქმედება, ფოლიკულის რეცეპტორული მგრძნობელობა, მიკროანთებითი პროცესები და გარემო ფაქტორები [3]. დაავადების განვითარება და პროგრესირება დამოკიდებულია ამ მექანიზმების კომპლექსურ ურთიერთქმედებაზე, რის გამოც კლინიკური მანიფესტაცია ინდივიდებში განსხვავდება.

დაავადების სიმწვავის ობიექტური შეფასება კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ის განსაზღვრავს მკურნალობის ტაქტიკას, თერაპიის ინტენსივობასა და კომპლექსური

მიდგომის საჭიროებას. დაავადების საწყის ეტაპზე ჩარევა მეტწილად უფრო მარტივი და ეფექტურია, მაშინ, როდესაც გვიან სტადიაზე ხშირად საჭიროა სისტემური და/ან კომბინირებული თერაპია.

დღეისათვის თავის თმიანი არის ბიოფსია იძლევა სრულყოფილ სურათს აგა-ის მდგომარეობის შესახებ. ტრიქოსკოპი, თავის თმიანი არის დერმოსკოპი, კვლევის არაინვაზიური მეთოდია სკალპის და თმის ღერის პათოლოგიების შესათვასებლად. აღწერილია აგა-ისათვის დამახასიათებელი ტრიქოსკოპიული ნიშნები, რომელთა სრული შესაბამისობა მორფოლოგიურ ცვლილებებთან დღემდე საკამათოა.

ჩვენი **კვლევის მიზანს** წარმოადგენდა ტრიქოსკოპიული ნიშნების კორელაციის განსაზღვრა ჰისტომორფოლოგიურ ნიშნებთან, რაც საშუალებას მოგვცემდა ტრიქოსკოპის საშუალებით შეგვეფასებინა აგა-ის სიმწვავე და ასევე დაავადების სამკურნალოდ გამოყენებული გლუკოკორტიკოიდების ეფექტურობა.

**კვლევის მასალა და მეთოდები.** კვლევის ეთიკური განაცხადი განიხილა და თანხმობა გასცა დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ეთიკის კომიტეტმა. კვლევაში ჩართვამდე ყველა პაციენტს მიენოდა ინფორმაცია მოსალოდნელი რისკებისა და სარგებლის შესახებ. ყოველი მათგანი გაეცნო ინფორმირებულ თანხმობას და მასზე ხელის მოწერით დაადასტურა კვლევაში მონაწილეობის სურვილი. პაციენტებს მიენიჭათ კოდირებული რიცხვები, რომლითაც ინფორმაცია მათ შესახებ შეტანილი იქნა მონაცემთა ბაზაში. კვლევა ჩატარდა ტრიქოლოგიის ინსტიტუტში (ხარკოვი, უკრაინა).

**კვლევის დიზაინი:** პროსპექტული, ობსერვაციული, კლინიკო-პათოლოგიური კორელაციური კვლევა.

კვლევაში ჩართვის კრიტერიუმები: ასაკი 18+, სხვადასხვა ხარისხით გამოხატული თმიანი საფარის შეთხელება ანდროგენდამოკიდებულ უბნებში. გამორიცხვის კრიტერიუმები: 18 წლამდე ასაკი, აგა-ის გარდა სხვა არანაწიბუროვანი თმის ცვენა, პირველადი ან მეორადი ნაწიბუროვანი ალოპეცია, სკალპის დაავადებები, ანამნეზში ბოლო 6 თვის განმავლობაში აგა-ის ადგილობრივი ან სისტემური მკურნალობის არსებობა, მკვეთრად დადებითი მოქაჩვის ტესტი, ქალებში ორსულობა და ლაქტაცია.

სულ შეფასებული იქნა 127 პაციენტი, რომელმაც 22.01.2020-დან 22.04.2020-მდე თმის ცვენის ჩივილით მიმართა ტრიქოლოგიის ინსტიტუტს. ყველა პაციენტის შემთხვევაში შეგროვდა დეტალური ანამნეზი, შეფასდა ობიექტური მონაცემები და ტრიქოსკოპიული კვლევის შედეგები. 127 პაციენტიდან 23-ს აღენიშნებოდა კეროვანი ალოპეცია (ბუდობრივი ალოპეცია, პირველადი და მეორადი ნაწიბუროვანი ალოპეცია) და/ან სკალპის სხვა პათოლოგია (სებორეული დერმატიტი, ფსორიაზი, ფოლიკულიტი და სხვ.), 29 პაციენტს ჰქონდა მკვეთრად დადებითი მოქაჩვის ტესტი, 4 პაციენტი იყო 18 წლამდე ასაკის, 7 პაციენტს ჩატარებული ჰქონდა აგა-ის ადგილობრივი და/ან სისტემური მკურნალობა ბოლო 6 თვის განმავლობაში. 64 პაციენტიდან (41 ქალი და 23 კაცი), რომელთაც კლინიკურად აღენიშნებოდათ სხვადასხვა ხარისხით გამოხატული ქალის და მამაკაცის ტიპის თმის ცვენა და ტრიქოსკოპიულადაც დაუდასტურდათ აგა-ის დიაგნოზი, ყოველ მესამეს ჩაუტარდა ბიოფსია.

სულ გაკეთდა 17 ბიოფსია. ბიოფსიისათვის გამოყენებული იქნა 4 მმ-იანი ფანჩი და მომზადდა საკვლევი მასალა ტრანსვერსული და სიგრძივი ჭრილების საშუალებით. სკალპის ბიოპტატის ტრანსვერსული (ჰორიზონტალური) ჭრილით ძირითადად ფასდებოდა თმის ფოლიკულების საერთო რაოდენობა, მინიატურიზაციის და ანიზოტრიქომის ხარისხი, ცხიმოვანი ჯირკვლების მდგომარეობა. სიგრძივი (ვერტიკალური) ჭრილის მეშვეობით ხდებოდა ცალკეული ფოლიკულის მთლიანი სტრუქტურის შეფასება ბოლქვიდან ზედა ნაწილის ჩათვლით, ასევე

პერიფორული ლიმფოციტური ინფილტრაცია და ფიბროზული ტრაქტები მინიატურიზებული ფოლიკულების ქვეშ. კვლევაში ჩართული ქალებისა და მამაკაცების თანაფარდობა იყო 1.78:1, საშუალო ასაკი - 36.7. პაციენტებს კანის ტიპის შეფასების დროს აღენიშნათ I, II, III და IV ფენოტიპი ფიტსპატრიკის (fitzpatrick's) მიხედვით.

**შედეგები.** ჩვენმა კვლევამ გამოავლინა დადებითი კორელაცია ტრიქოსკოპიულ ნიშნებსა (სურათი 1, 2) და ჰისტომორფოლოგიურ მონაცემებს შორის (სურათი 3, 4, 5), იხილეთ ცხრილი N1.

ტრიქოსკოპიული კვლევის დროს *ანიზოტრიქოზი* (არაერთგვაროვანი სისქის მქონე თმის ღერების თანაარსებობა ერთ ველში) ავა-ისათვის სპეციფიური ნიშანია. ის ასახავს თმის ფოლიკულების და შესაბამისად თმის ღერების პროგრესირებად მინიატურიზაციას, რომელიც სხვადასხვა ფოლიკულში განსხვავებული ხარისხითაა წარმოდგენილი. ჰისტომორფოლოგიური კვლევით ბიოპტატის ერთ უბანში ფოლიკულების საერთო რაოდენობის შენარჩუნების ფონზე ისახება მათი დიამეტრის ფართო სპექტრი. ტრიქოსკოპიულად ნანახი ანიზოტრიქოზი აბსოლუტურ შესაბამისობაშია ჰისტომორფოლოგიურად ფოლიკულების მინიატურიზაციის ხარისხთან.

*თხელი თმის ღერი* წარმოადგენს ინდივიდის ნორმალური ტერმინალური თმის ღერთან შედარებით შემცირებული დიამეტრის მქონე თმას, რომელიც მინიატურიზაციის ადრეულ სტადიას ასახავს. ჰისტომორფოლოგიურად აღნიშნულ ღერებს მედულა ნაწილობრივ შენარჩუნებული აქვთ, დერმალური ღვრილი კი მოცულობაში შემცირებულია.

*ღინღლოვანი თმა* წარმოადგენს მინიატურიზაციის საბოლოო შედეგს - ძალიან წვრილ, მოკლე და ჰიპოპიგმენტურ თმას, რომლის დიამეტრი 30 მკმ-ზე ნაკლებია, ხოლო სიგრძე 3მმ-ზე ნაკლები. ღინღლოვანი თმის ფოლიკულების რაოდენობრივი მატება ფოლიკულების საერთო რაოდენობის შემცირების გარეშე განასხვავებს ავა-ს პირველადი ნაწიბუროვანი ალოპეციებისაგან. ჰისტომორფოლოგიურად ღინღლოვანი თმის ფოლიკულები დერმაში ზედაპირულად არის განლაგებული, შემცირებულია დერმალური ღვრილის მოცულობა და მედულა განლევულია.

*ტალღოვანი თმა* წარმოადგენს არათანაბრად დახვეულ ან დატალღულ თმის ღერს, რომელიც ასახავს ფოლიკულის ასიმეტრიულ მინიატურიზაციას და ფოლიკულურ არხში თმის ღერის ფორმის ცვლილებას. ავა-ს ნიშნად ითვლება იმ შემთხვევაში თუ ინდივიდს აქვს ანატომიურად სწორი თმა. ძირითადად ვითარდება ავა-ს შორსნასული ფორმების დროს. ჰისტომორფოლოგიურად ისახება ფესვის შიდა გარსის დეფორმაცია და თმის ღერის არათანაბარი კერატინიზაცია.

ნორმაში ტერმინალური თმის ერთი ფოლიკულური ხვრელი მოიცავს 2-4 თმის ღერს. პროგრესირებადი მინიატურიზაცია იწვევს თმის ფოლიკულისა და ცხიმოვანი ჯირკვლის ანატომიურ ერთეულში (თმის ფოლიკული, მის გარშემო არსებული ცხიმოვანი ჯირკვალი (ჯირკვლები), თმის ამწევი კუნთი და ძაბრისებრი ფორმის ფოლიკულური ღრუ, რომლის საშუალებითაც ცხიმი ხვდება კანის ზედაპირზე) მეორეული ფოლიკულების არჩევით დაკარგვას, რის შედეგადაც ვლდებულობთ *ფოლიკულურ ხვრელს ერთი თმის ღერით*. ჰისტომორფოლოგიურად აღინიშნება ფოლიკულური ეპითელიუმის დაზიანების გარეშე შედგენილი ფოლიკულებიდან ფოლიკულის ამოვარდნა.

*პერიფოლიკულური ფერის შეცვლა* (პერიფოლიკულური ნიშანი) წარმოადგენს მოყავისფრო შეფერილობის გაჩენას კანიდან ამომავალი თმის ღერების გარშემო. ეს ნიშანი არ არის დაკავშირებული მხოლოდ პიგმენტთან, ის ასახავს პერიფოლიკულურ მიკროანთებას, ნაადრევ ფიბროზს და მელანინის დეპონირებას. ჰისტომორფოლოგიურად პერიფოლიკულურად ვლინდება: მსუბუქი ლიმფოციტური ინფილტრაცია ძირითადად ფოლიკულის ზედა ნაწილში, ფიბრობლასტების მომატებული რაოდენობა და კოლაგენის კონცენტრული დეპონირება, შემცირებული მელანინის არსებობა დერმულ მელანოფაგებთან ერთად.


ფიჭისებრი პიგმენტაცია აგა-ის დროს თმიანი საფარით არასრულყოფილად დაფარულ სკალპზე ულტრაიისფერი სხივების ზეგავლენით ჩნდება, რომელსაც აქვს ბადისებრი/ფიჭისებრი გადანაწილება. ამ მოვლენას არ აქვს კავშირი ფოლიკულში მიმდინარე ცვლილებებთან. ჰისტომორფოლოგიურად ვლინდება ინტერფოლიკულური ეპიდერმისის ბაზალურ კერატინოციტებში მელანინის დაგროვება.

ყვითელი წერტილი ტრიქოსკოპიულად წარმოადგენს ცარიელ ფოლიკულურ ხვრელს, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით ცხიმს და კერატინულ მასებს, რის გამოც აქვს მოყვითალო შეფერილობა. აგა-ის დროს ცხიმოვანი ჯირკვლები მინიატურიზებულ ფოლიკულებთან მიმართებაში უფრო დიდი ზომისაა, რითიც აიხსნება ყვითელი წერტილების უფრო მეტად გამოკვეთა დაავადების გვიან სტადიაზე. ტელოგენური ფაზის პარალელურად თანმხლები ახალი, ადრეული ანაგენის განვითარების ნაცვლად აღინიშნება ტელოპტოზი, რის გამოც ფოლიკული რჩება ცარიელი. ყვითელი წერტილების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა აგა-ის დროს სწორედ კენოგენის ფაზაში არსებული ფოლიკულების მატების გამო ხდება. ჰისტომორფოლოგიურად ისახება გაფართოებული ფოლიკულის ზედა სეგმენტი მასში დაგროვილი კერატინული მასებით და ცხიმით.

**ცხრილი 1. ტრიქოსკოპიულ და ჰისტომორფოლოგიურ ნიშნებს შორის კორელაცია**

ტრიქოსკოპიული ნიშნები	ჰისტომორფოლოგიური ნიშნები
ანიზოტრიქოზი - არაერთგვაროვანი სისქის მქონე თმის ღერების თანაარსებობა ერთ ველში	ბიოპტატის ერთ უბანში არსებული ფოლიკულების დიამეტრის ფართო სპექტრი. ფოლიკულების საერთო რაოდენობა შენარჩუნებულია.
თხელი თმის ღერი	შემცირებული დიამეტრის მქონე თმის ღერი მედულას ნაწილობრივი შენარჩუნებით; შემცირებული მოცულობის დერმალური დვრილი; შემოკლებული ანაგენის ფაზა კატაგენის ფაზაში ნაადრევი გადასვლით. ეს ფოლიკულები კვლავ ღრმად არიან განლაგებული დერმაში, მაგრამ მატრიქსის შემცირებულ აქტივობას ავლენენ.
ლინლოვანი თმა	დერმაში ფოლიკულის სიღრმის მნიშვნელოვანი შემცირება; დერმალური დვრილის მოცულობის მკვეთრი კლება და აქტივობის შემცირებული უნარი; განლეული ან მინიმალური განვითარების მედულა; ფოლიკულური ტრაქტების გაზრდილი რაოდენობა, რომლებიც წარმოადგენენ რეგრესირებული ტერმინალური ფოლიკულების ნარჩენებს.
ტალღოვანი თმა	შიდა ფესვის გარსის დეფორმაცია, თმის ღერის არათანაბარი კერატინიზაცია და მისი დიამეტრის შემცირების გამო სტრუქტურული სისუსტე.
ფოლიკულური ხვრელი ერთი თმის ღერით	ფოლიკულური ეპითელიუმის დაზიანების გარეშე შედგენილი ფოლიკულებიდან ფოლიკულის ამოვარდნა
პერიფოლიკულური ფერის შეცვლა (პერიფოლიკულური ნიშანი)	მსუბუქი ლიმფოციტური ინფილტრაცია ძირითადად ფოლიკულის ზედა ნაწილში; ფიბრობლასტების მომატებული რაოდენობა და კოლაგენის კონცენტრული დეპონირება; შემცირებული მელანინის არსებობა დერმულ მელანოფაგებთან ერთად.
ფიჭისებრი პიგმენტაცია	ინტერფოლიკულური ეპიდერმისის ბაზალურ კერატინოციტებში მელანინის დაგროვება
ყვითელი წერტილი	გაფართოებული ფოლიკულის ზედა სეგმენტი მასში დაგროვილი კერატინული მასებით და ცხიმით


**სურათი N1:** ტრიქოსკოპიულ ფოტოზე აღინიშნება ანიზოტრიქოზი [1], თხელი თმები [2], ღინღლოვანი თმა [3], ფოლიკულური ხვრელი ერთი თმის ღერით [4], პერიფოლიკულური ფერის შეცვლა [5] და ტალღოვანი თმა [6]




**სურათი N2:** ტრიქოსკოპიულ ფოტოზე აღინიშნება ანიზოტრიქოზი [1], თხელი თმები [2], ღინღლოვანი თმა [3], ფოლიკულური ხვრელი ერთი თმის ღერით [4], პერიფოლიკულური ნიშანი [5], ტალღოვანი თმა [6] და ყვითელი წერტილები [7]




**სურათი N3:** ბიოპტატის ტრანსვერსულ ჭრილში აღინიშნება ანიზოტრიქომი [1], მინიატურიზებული ფოლიკულები, თმის ფოლიკულების შემცირებული სიხშირე, ღინღლოვანი თმების გაზრდილი რაოდენობა [2] (ფარდობა ტერმინალური თმა:ღინღლოვანი თმა - 3:1 (21:7)), ფოლიკულური ხვრელები ერთი თმის ღერით [3], ასევე აღინიშნება ცხიმოვანი ჯირკვლების ფსევდოჰიპერპლაზია [4].



**სურათი N4:** მიახლოვებულ ფოტოზე უფრო ნათლად ჩანს ველუსური თმები [1], ანიზოტრიქომი, მსუბუქი ხარისხის პერიფოლიკულური ფიბროზი და ფიბრობლასტების მომატებული რაოდენობა [2]



**სურათი N5:** ბიოპტატის სიგრძივ ჭრილში ისახება მსუბუქი პერიფოლიკულური ლიმფოციტური ინფილტრაცია ფოლიკულის ზედა ნაწილში [1] და ფიბროზული ტრაქტები ფოლიკულის ქვედა ნაწილში [2]



**განხილვა.** აგა-ს თავის თმიანი მიდამოს ანდროგენდამოკიდებულ უბნებში ახასიათებს თმის ფოლიკულის პროგრესირებადი მინიატურზაცია, რაც იწვევს ტერმინალური თმის ღერის ღინღლოვან თმად ჩამოყალიბებას. ასევე ახასიათებს ანაგენის ფაზის შემოკლება და ტელოგენის ფაზის ზრდა. შედეგად ანაგენ-ტელოგენის ფაზაში მყოფი თმის ღერების თანათარღობა 6-8:1-თან მკვეთრად მცირდება და შესაძლებელია გაუტოლდეს 0.1-3:1-ს. გამომდინარე იქიდან, რომ თმის ღერის სიგრძე დამოკიდებულია ანაგენის ფაზის ხანგრძლივობაზე, ყოველი ახალი თმის ღერის სიგრძის მაქსიმუმი მის წინამორბედზე ნაკლებია [4].

მამაკაცების უმეტესობას გამელოტება ეწყება შუბლის წილში ორმხრივად და გვირგვინის მიდამოში; დაავადების პროგრესირებასთან ერთად მოიცავს სრულად ანდროგენდამოკიდებულ უბანს. თმიანი არის ასეთი შეთხელება ცნობილია, როგორც მამაკაცის ტიპის თმის ცვენა. ქალების შემთხვევაში თმის ცვენა იწყება დიფუზურად სკალპის ცენტრალურ ნაწილში და თხემის მიდამოში ან შუბლის წილში ნაძვის ხის ფორმის შეთხელებით ფრონტალური ხაზის შენარჩუნებით, რაც ქალის ტიპის თმის ცვენას გულისხმობს. თუმცა კლინიკურ პრაქტიკაში არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როცა მამაკაცს აღენიშნება ქალის ტიპის ცვენა და პირიქით [5].

მიუხედავად იმისა, რომ ქალებში და მამაკაცებში გავრცელების სხვადასხვა ტიპით ხასიათდება, აგა-ის როგორც ტრიქოსკოპიული, ასევე ჰისტომორფოლოგიური მახასიათებლები ორივე შემთხვევაში მსგავსია.

აღწერილია აგა-სთვის დამახასიათებელი შემდეგი ტრიქოსკოპიული ნიშნები: ანიზოტრიქოზი, თხელი და ღინღლოვანი თმა, ფოლიკულური ხვრელი ერთი თმის ღერით, პერიფოლიკულური ნიშანი, ტალღოვანი თმა, ფიჭისებრი პიგმენტაცია და ყვითელი წერტილები [6].

მთავარი ჰისტოლოგიური ნიშნებია: რაოდენობრივად შემცირებული ტერმინალური ღერები, თხელი და ველუსური თმის მატება, ანაგენური თმების რაოდენობრივი შემცირება ტელოგენური ღერების სასარგებლოდ, ყოფილი ტერმინალური თმის ადგილას ფიბროზული ტრაქტების არსებობა, რომლებიც ბოლოვდება ზედაპირულად მდებარე მინიატურზებული

ფოლიკულით და მსუბუქი პერიფოლიკული ლიმფოპისტიოციტური ინფილტრაცია, რომელიც ძირითადად ფოლიკულის ზედა ნაწილში ისახება; ასევე შესაძლებელია აღნიშნოს პერიფოლიკული ფიბროზი. ცხიმოვანი ჯირკვლები შენარჩუნებულია [7].

გარდა იმისა, რომ ჩვენმა კვლევამ აჩვენა დადებითი კორელაცია აგა-ის ტრიქოსკოპიულ და ჰისტომორფოლოგიურ მონაცემებს შორის, ბიოფსიურ კვლევასთან მიმართებაში გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი. ერთის მხრივ, ანდროგენდამოკიდებულ უბნებში ფოლიკულების მორფოლოგიური ცვლილებები სინქრონულად და ერთ დონეზე არ ხდება. კერძოდ, კაცის ტიპის თმის ცვენის დროს შუბლის წილში და გვირგვინის მიდამოში მინიატურიზაციის პროცესი შესაძლებელია იყოს მთლიანად დასრულებული და სკალპის ცენტრალურ ნაწილში - უკიდურესად მსუბუქად გამოხატული. ასევე ქალის ტიპის თმის ცვენის დროს, როდესაც სახეზე გვაქვს დიფუზური შეთხელება, ერთმანეთის გვერდით მდებარე ფოლიკულებში კი ცვლილებები სინქრონულად არ მიმდინარეობს და ახასიათებს მოზაიკური ბუნება. ყოველივე ამის გამო, ერთი მიდამოს ბიოფსიით სრულად ვერ შევაფასებთ ანდროგენდამოკიდებული ზონის მდგომარეობას. მეორეს მხრივ, ბიოფსიის ჩატარება აგა-ის მკურნალობის დაწყებამდე შეუძლებელს ხდის გამოვიკვლიოთ იგივე მიდამო მკურნალობის შედეგის შესაფასებლად.

ტრიქოსკოპიული კვლევის დროს გვაქვს საშუალება შეფასდეს როგორც დაავადების აქტიური უბნები, ასევე თავის თმიანი მიდამოს პათოლოგიური ცვლილებებისაგან თავისუფალი არეები. გარდა ამისა, კვლევა შესაძლებელს ხდის ერთი და იგივე უბნი განმეორებით დათვალიერდეს, რაც, თავის მხრივ, დაავადების პროგრესირების და/ან მკურნალობის ეფექტურობის შეფასების საშუალებას იძლევა.

**დასკვნა და რეკომენდაციები.** ტრიქოსკოპი დიაგნოსტიკის არაინვაზიური მეთოდია, რომელიც შესაძლებელს ხდის ანდროგენდამოკიდებული უბნის სრულ შეფასებას და დაავადების სიმწვავის დადგენას. აღნიშნული კვლევა რუტინულად უნდა იქნას გამოყენებული აგა-ის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მონიტორინგისათვის. ტრიქოსკოპის საშუალებით ვერ მოხდება დაავადების სტადიის შეფასება კაცის და ქალის ტიპის თმის ცვენის დროს, რომელიც გლობალური ფოტოთი უნდა განისაზღვროს.

ტრიქოსკოპიული კვლევის ჩატარება მოითხოვს გარკვეული წესების დაცვას. კერძოდ:

1. გამოკვლევა უნდა ჩატარდეს თავის თმიანი მიდამოს დაბანიდან არაუადრეს 12 საათისა და არაუგვიანეს 24 საათისა. თუ თავის თმიანი მიდამო ახალი დაბანილია, სრულყოფილად ვერ ხდება კანის შეფასება, კერძოდ ნოტიო ზედაპირის გამო შესაძლებელია მსუბუქი და საშუალო სიმძიმის აქერცვლა არ ჩანდეს. თუ დაბანიდან გასულია 24 საათზე მეტი, შესაძლებელია კანის ზედაპირზე ჭარბად გამოყოფილმა ცხიმმა დაიკავოს მნიშვნელოვანი ადგილი ფოლიკულიურ ხვრელში და მოყვითალო შეფერილობის გამო გავლენა იქონიოს პერიფოლიკულიურ პიგმენტაციაზე. ამავდროულად, შესაძლებელია მოქაჩვითი ტესტი იყოს ცრუ დადებითი.
2. თმის შეღებვიდან გასული უნდა იყოს სულ მცირე 7-10 დღე. თმის ღერების ფერის შეცვლის გარდა, საღებავი დიდხანს რჩება კანის ზედაპირზე, რაც შეუძლებელს ხდის სრულყოფილად შეფასდეს კანის საფარველი. ამავდროულად, საღებავმა შესაძლებელია იმოქმედოს, როგორც გამდიბიანებელმა და გამოიწვიოს მეტნაკლები სიმწვავის ირიტაციული კონტაქტური დერმატიტი. აღნიშნულმა ცვლილებამ შესაძლებელია ტრიქოსკოპიულად სებორეული დერმატიტის სურათი მოგვცეს, რომელიც ძალიან ხშირი თანმდევი აგა-ის.
3. იმისათვის, რომ შეფასდეს აგა-ს დროს თმის ღერების შეთხელება, რაც გულისხმობს თმის ღერების დიამეტრის შემცირებას და თხელი და ველუსური თმების პროცენტული მაჩვენებლების განსაზღვრას, გათვალისწინებული უნდა იყოს ინდივიდის ტერმინალური ღერის ანატომიური სისქე.

4. მნიშვნელოვანია ტრიქოსკოპიული კვლევის დროს შეფასდეს როგორც ანდროგენ-დამოკიდებული მიდამო სრულად, ასევე მოხდეს ანდროგენდამოუკიდებელი არეების დათვლიერებაც, რაც გამოორიხხავს ან გამოავლენს სკალპზე სხვა პათოლოგიების არსებობას.
5. აგა-ს დიაგნოზის დადასტურების შემდეგ მნიშვნელოვანია მოინიშნოს უბანი, რომელზეც მოხდება დაკვირვება შემდგომ პერიოდში. კერძოდ, გაკეთდეს მცირე ზომის ტატუ წერტილის სახით და ტრიქოსკოპიული მონაცემები შეფასდეს ამ ნიშნულის გარშემო. ერთის მხრივ, ეს საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ მკურნალობის ეფექტურობა, მეორეს მხრივ, თუ პაციენტი უარს აცხადებს მკურნალობაზე, განვსაზღვროთ რა სისწრაფით ხდება დაავადების პროგრესირება. რეკომენდებულია აღნიშნული მიდამოს შერჩევა მოხდეს თითოეულ პაციენტში ინდივიდუალურად და გათვალისწინებული იქნას კაცის და ქალის ტიპის თმის ცვენის რომელ კლასიფიკატორს შეესაბამება შეთხელებული თმიანი საფარის მდგომარეობა და რომელ კატეგორიას მოიცავს.

ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციები არ ეხება ფიტცპატრიკის (fitzpatrick's) მიხედვით კანის V და VI ფენოტიპის მქონე ინდივიდებს.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Redler S, Messenger AG, Betz RC. Genetics and other factors in the aetiology of female pattern hair loss. *Exp Dermatol*. 2017 Apr 28. doi: 10.1111/exd.13373
2. Blume-Peytavi U, Blumeyer A, Tosti A, Finner A, Marmol V, Trakatelli M, Reygagne P, Messenger A; European Consensus Group. S1 guideline for diagnostic evaluation in androgenetic alopecia in men, women and adolescents. *Br J Dermatol*. 2011 Jan;164(1):5-15. doi: 10.1111/j.1365-2133.2010.10011.x. Epub 2010 Dec 8. PMID: 20795997
3. Kidangazhiathmana, Ajithkumar; Santhosh, Parvathy. Pathogenesis of Androgenetic Alopecia. *Clinical Dermatology Review* 6(2):p 69-74, Jul-Dec 2022. DOI: 10.4103/cdr.cdr\_29\_21
4. Kaliyadan, Feroze; Nambiar, Ajit; Vijayaraghavan, Sundeeep. *Indian Journal of Dermatology, Venereology & Leprology*. Sep/Oct2013, Vol. 79 Issue 5, p613-625. 13p. DOI: 10.4103/0378-6323.116730
5. Oiwoh SO, Enitan AO, Adegbosin OT, Akinboro AO, Onayemi EO. Androgenetic Alopecia: A Review. *Niger Postgrad Med J*. 2024 Apr 1;31(2):85-92. doi: 10.4103/npmj.npmj\_47\_24. Epub 2024 Jun 3. PMID: 38826011
6. Rakowska A, Slowinska M, Olszewska M, Rudnicka L. Acquired Nonscarring Alopecia. In: Rudnicka L, Olszewska M, Rakowska A. *Atlas of Trichoscopy*. Springer; 2012. p. 221-36.
7. Elston DM, Ferringer T, Ko CJ, Peckham S, High WA, DiCaudo DJ. Androgenetic alopecia. In: *Dermatopathology*. 4th ed. Elsevier; 2023

ნინო ხუციშვილი<sup>1</sup>, ირმა ბუჩუკური<sup>2</sup>, გიორგი ტყემელაშვილი<sup>2</sup>,  
იულია ოვჩარენკო<sup>3</sup>, ნინო ლორთქიფანიძე<sup>1</sup>

ანდროგენული ალოპეციის სიმწვავის შეფასება ტრიქოსკოპიული ნიშნების საშუალებით და მათი  
ჰისტომორფოლოგიურ მონაცემებთან კორელაცია

<sup>1</sup>დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო;

<sup>2</sup>პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია, თბილისი, საქართველო;

<sup>3</sup>ვ. ნ. კარაზინის სახელობის ხარკოვის ნაციონალური უნივერსიტეტი, ხარკოვი, უკრაინა

#### რეზიუმე

**შესავალი:** ანდროგენული ალოპეცია (აგა) თმის ცვენის ყველაზე გავრცელებული ფორმაა როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში. დაავადების სიმწვავის ობიექტური შეფასება კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ის განსაზღვრავს მკურნალობის ტაქტიკას, თერაპიის ინტენსივობასა და კომპლექსური მიდგომის საჭიროებას.

**კვლევის მიზანი:** ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ტრიქოსკოპიული ნიშნების კორელაციის განსაზღვრა ჰისტომორფოლოგიურ ნიშნებთან, რაც საშუალებას მოგვცემდა ტრიქოსკოპის საშუალებით შეგვეფასებინა აგა-ის სიმწვავე და ასევე დაავადების სამკურნალოდ გამოყენებული გლუკოკორტიკოიდების ეფექტურობა.

**კვლევის მასალა და მეთოდები:** კვლევის ეთიკური განაცხადი განიხილა და თანხმობა გასცა დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ეთიკის კომიტეტმა. კვლევის დიზაინი: პროსპექტული, დაკვირვებითი, კლინიკო-პათოლოგიური კორელაციის კვლევა. სულ კვლევაში ჩაერთო 64 პაციენტი (41 ქალი და 23 კაცი), რომელთაც კლინიკურად აღენიშნებოდათ სხვადასხვა ხარისხით გამოხატული ქალის და მამაკაცის ტიპის თმის ცვენა და ტრიქოსკოპიულადაც დაუდასტურდათ აგა-ის დიაგნოზი. ყოველ მესამე პაციენტს ჩაუტადა ბიოფსია და მომზადდა საკვლევი მასალა ტრანსვერსული და სივრძივი ჭრილების საშუალებით.

**შედეგები:** ჩვენმა კვლევამ გამოავლინა დადებითი კორელაცია ტრიქოსკოპიულ ნიშნებსა და ჰისტომორფოლოგიურ მონაცემებს შორის.

**დასკვნა:** ტრიქოსკოპი, თავის თმიანი არის დერმოსკოპი, დიაგნოსტიკის არაინვაზიური მეთოდი, რომელიც შესაძლებელს ხდის ანდროგენდამოკიდებული უბნის სრულ შეფასებას და დაავადების სიმწვავის დადგენას. აღნიშნული კვლევა რუტინულად უნდა იქნას გამოყენებული აგა-ის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მონიტორინგისათვის. ტრიქოსკოპის საშუალებით ვერ მოხდება დაავადების სტადიის შეფასება კაცის და ქალის ტიპის თმის ცვენის დროს, რომელიც გლობალური ფოტოთი უნდა განისაზღვროს.



*ვასილ კვერნაძე<sup>1</sup>, ბელა ყურაშვილი<sup>1</sup>, გიორგი მანაგაძე<sup>2</sup>,  
მარინა ციმაკურიძე<sup>1</sup>, მაია ციმაკურიძე<sup>1</sup>*

### **კვებითი სტერეოტიპის შეფასება შარდკენჭოვანი დაავადების დროს**

<sup>1</sup>ოსსუ, კვების, ასაკობრივი მედიცინის, გარემოსა და პროფესიული ჯანმრთელობის დეპარტამენტი;

<sup>2</sup>ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრი; თბილისი, საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.02>

*VASIL KVERNADZE<sup>1</sup>, BELA KURASHVILI<sup>1</sup>, GIORGI MANAGADZE<sup>2</sup>,  
MARINA TSIMAKURIDZE<sup>1</sup>, MAIA TSIMAKURIDZE<sup>1</sup>*

### **ASSESSMENT OF DIETARY PATTERNS IN URINARY STONE DISEASE**

<sup>1</sup>Tbilisi State Medical University (TSMU), Department of Nutrition, Aging Medicine, Environmental and Occupational Health; <sup>2</sup>L.Managadze National Urology Center; Tbilisi, Georgia

### **SUMMARY**

Urinary stone disease (USD) is a common pathology worldwide. It is also important to note that prevention is often challenging because lithogenic metabolic disorders cannot always be identified in patients. Therefore, the identification of additional risk factors becomes increasingly important, particularly through the assessment of dietary habits and the mineral composition of drinking water. This study aims to analyse dietary patterns (“dietary stereotypes”) among patients with USD in Georgia (based on a Food Frequency Questionnaire) and to evaluate their associations with stone chemical types (oxalate, urate, phosphate, cystine), as well as with drinking-water characteristics—especially the calcium-to-magnesium (Ca:Mg) ratio. The findings are important both for developing patient-tailored recommendations and for strengthening regional prevention strategies.

**Keywords:** Dietary Patterns, Urinary stones, assessment

კვება წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს და მუდმივმოქმედ, ამავედროულად რაციონალური რეგულაციის ფაქტორს ცხოველმყოფელობისთვის. საკვების ქვეშ იგულისხმება ფიზიოლოგიური და ქიმიური კომპლექსების რთული ქიმიური ნარევები, რომელსაც ვუნოდებთ - ეგზოგენურ ფაქტორს, რაც ორგანიზმში გარდაიქმნება სხვადასხვა ფიზიოლოგიური ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ენერჯიად.

სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობის ფაქტობრივი კვების შესწავლა-შეფასება საშუალებას იძლევა შემუშავდეს მიზნობრივი პრაქტიკული რეკომენდაციები კვების გასაუმჯობესებლად და, ასევე, ალიმენტურდამოკიდებული დაავადებების თავიდან ასაცილებლად.

ერთ-ერთი ასეთი გავრცელებული უროლოგიური დაავადებაა შარდკენჭოვანი დაავადება (შკდ), გამოხატული ქვების წარმოქმნით შარდგამომყოფი სისტემის სხვადასხვა ნაწილში, უფრო ხშირად თირკმელებსა და შარდის ბუშტში. შარდკენჭოვანი დაავადება გვხვდება ნებისმიერ ასაკში, უფრო ხშირად 25-50 წლის ადამიანებში.

უახლესი მონაცემებით, მსოფლიოში რეგისტრირდება შკდ-ის სტაბილური ზრდა [1]. შკდ წარმოადგენს სერიოზულ სამედიცინო და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას, რომლის გადაწყვეტა ძალზედ მნიშვნელოვანია, როგორც უროლოთიაზით დაავადებულთათვის, ისე საზოგადოებისთვის და მთლიანად სახელმწიფოსთვის. დაავადების ეფექტური მკურნალობისა და პრევენციისთვის მნიშვნელოვანია რისკის ფაქტორებისა და პათოგენეზის მექანიზმების შემდგომი კვლევა. შარდკენჭოვანი დაავადების ეტიოლოგიურ ფაქტორებს მიეკუთვნება:

- ნაკლებად მოძრავი ცხოვრების წესი (ასოცირდება ფოსფორ-კალციუმის ცვლის დარღვევასთან);
- კვების თავისებურებები (ცილების ჭარბი მოხმარება, მჟავე, ცხარე, მარილიანი საკვების მიღება);
- სასმელი წყლის შემადგენლობა (წყალი კალციუმის მაღალი შემცველობით);
- B და A ჯგუფის ვიტამინების ნაკლებობა;
- სამუშაო გარემოს ფაქტორები;
- რიგი სამკურნალო პრეპარატები (ასკორბინის მჟავის დიდი რაოდენობით მიღება, სულფანილამიდები).

მნიშვნელოვანია ინდივიდუალური თავისებურებებიც. კერძოდ:

- შარდგამომყოფი სისტემის ანომალიები (ერთი თირკმელი, შარდგამომყოფი გზების შევიწროება, ნალისებრი თირკმელი);
- საშარდე გზების ანთებითი პროცესები.

დაავადების განვითარების რისკის ფაქტორებად განიხილება აგრეთვე:

- ხანგრძლივი წოლითი მდგომარეობა ავადმყოფობის ან ტრავმის გამო;
- კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქრონიკული დაავადებები;
- გაუნყოფიანება კვებითი მოშხამვის ან სხვა მიზეზის გამო;
- ნივთიერებათა ცვლის დარღვევა განსაზღვრული ფერმენტების დეფიციტის გამო.

ქიმიური ანალიზი უროლოთიაზის განვითარების მექანიზმების შესწავლის საშუალებას იძლევა [2]. მიუხედავად ამისა, შკდ პროფილაქტიკა ყოველთვის არ არის ეფექტური. მით უფრო, ყოველთვის არ არის შესაძლებელი პაციენტებში ამა თუ იმ მეტაბოლური ლითოგენური დარღვევის დიაგნოსტიკა [3], რაც მიუთითებს დამატებითი სადიაგნოსტიკო მეთოდების საჭიროებაზე.

უროლოთიაზით დაავადების რისკის გაზრდის ტენდენცია შესაძლებელია აიხსნას ადამიანების საგემოვნო თვისებების ცვლილებებით, ასევე, მოხმარებული საკვების ხარისხის ცვლილებით [4]. უროლოგთა ამერიკული ასოციაციის მიერ რეკომენდებულია შკდ მქონე პაციენტთა კვებითი სტერეოტიპის დადგენა [5], როდესაც ფასდება არამარტო მოხმარებული

პროდუქტების კალორაჟი, არამედ მათი მინერალური შემადგენლობა. კვებითი სტერეოტიპის ანალიზის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მეთოდია გამოსაკვლევი ჯგუფის გამოკითხვა ანკეტირების მეთოდით [6].

**შკდ** განვითარების რისკის ფაქტორების დადგენისთვის შემუშავებული იქნა კვებითი სტერეოტიპის ანალიზის პროგრამა, რომელიც გამოიყენება როგორც დაავადებული, ისე ჯანმრთელი ადამიანების პოპულაციაში - „Food Frequency Questionnaire Sample Booklet for General Nutrition Assessment“ [6], ფრედ ხატჩინსონის მიერ შემუშავებული ონკოლოგიურ ცენტრში „Fred hatchinson Cancer Research Center“.

საქართველოში **შკდ** გამოვლენის მაღალი სიხშირით ხასიათდება, რაც, სავარაუდოდ, გამოწვეულია კვების ტრადიციული თავისებურებებით. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, კლიმატური პირობები. შესაბამისად, ამ მიმართულებით საკითხის შესწავლა მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს **შკდ**-ის პრევენციას.

აქედან გამომდინარე, **კვლევის მიზანი** იყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონში კვების რაციონის შემადგენლობის შესწავლა, **შკდ**-ის განვითარებაში წინა პირობად კვების ფაქტორის ან ფაქტორთა ერთობლიობის დასადგენად.

კვლევაში ჩართული იყო 320 პაციენტი **შკდ** დიაგნოზით, რომლებმაც მიმართეს ლ.მანაგაძის სახელობის უროლოგიის ცენტრთან არსებულ შპს ლითოტრიფსიას.

პაციენტებთან კვებითი სტერეოტიპის დადგენა და შეფასება წარმოებდა წინასწარ შედგენილი ტესტ-კითხვარით, რამაც საშუალება მოგვცა შეგვეფასებინა მოხმარებული საკვების არამარტო კალორაჟი, არამედ, თუ რომელ პროდუქტებს და რა რაოდენობით ანიჭებენ უპირატესობას პაციენტები, მათი მოხმარების სიხშირე და მინერალური შემადგენლობა.

ანკეტა მოიცავდა პაციენტის მონაცემებს, მათ შორის სიმაღლეს, წონას, წელის გარშემოწერილობას, დაავადების ხანგრძლივობას, ოპერაციული ჩარევების სიხშირეს, ოჯახურ ანამნეზს. კითხვარი ითვალისწინებდა ინფორმაციის შეკრებას სხვადასხვა ჯგუფის პროდუქტების შესახებ. ყველა კვების პროდუქტი დაყოფილი იყო ქვეჯგუფებად სავაჭრო კლასიფიკაციის შესაბამისად. კითხვარის სტერეოტიპში გამოყოფილი იყო 21 ქვეჯგუფის საკვები: ფაფები, წვნიანები, კარაქი, ცხოველები, ფრინველები, კვერცხი, თევზი, ზღვის პროდუქტები, რძის პროდუქტები, მაიონეზი, სოუსები, სოკო, კეტჩუპი, პარკოსნები, თხილფული, სიმინდი, ბოსტნეული, ხილი, მწვანილი, პურ-ფუნთუშეული, საკონდიტრო ნაწარმი, თაფლი სასმელები, ჩირი და სხვ. კითხვარის შევსებისას პაციენტი მიუთითებდა პროდუქტის მოხმარების სიხშირეს, მოხმარებული საკვების რაოდენობას, გამოხატულს ულუფებში. ყველა პროდუქტს აქვს განსაზღვრული ულუფა, გამოხატული ულუფის ზომამი (გრამი, მილიგრამი, მილილიტრი და სხვ.). გამომგის ერთეული გადაყვანილი უნდა იყოს სამზარეულოს ჭურჭლის რაოდენობაში (მაგ. ერთი ჩაის კოვზი, ერთი სუფრის კოვზი, ერთი თევზი, ერთი ჭიქა და ა. შ.). ნუტრიენტების შემცველობის შესახებ ინფორმაცია (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, პურინები, მჟაუნმჟავა, წყალი მიკრო- და მაკროელემენტები, ვიტამინები) 100 გ საკვებ პროდუქტში აღებული იქნა ღია წყაროებიდან და დამუშავდა საკვები პროდუქტების ქიმიური შედგენილობის ცხრილების საშუალებით [7-10].

დღეში მოხმარებული ნივთიერების (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, პურინები, მჟაუნმჟავა, წყალი მიკრო- და მაკროელემენტები, ვიტამინები) თითოეული მოხმარებული რაოდენობის ნორმები გამოთვლილ იქნა 1 კგ სხეულის მასაზე (BMI ინდექსის საშუალებით ავტომატურად). მიღებული შედეგები დარდებოდა დღელამურ ნორმას.

მთელი სიცოცხლის განმავლობაში ადამიანს უყალიბდება კვების ინდივიდუალური სტერეოტიპი. ზოგიერთ პროდუქტს ადამიანი იყენებს ხშირად, ყოველდღიურად ან კვირაში რამდენჯერმე, სხვებს - პრაქტიკულად არ იღებს ან ძალიან იშვიათად.

**კვლევის შედეგები და ანალიზი.** კვლევაში მონაწილე პაციენტთა 188 (58,75%) იყო კაცი, 132 (41,25%) ქალი. გამოკვლეულთა 51,9% იყო 30-49 წლის. სხეულის მასის ინდექსი ნორმაზე დაბალი ჰქონდა პაციენტთა 5,6%-ს, ნორმალური - 27,5%-ს; ჭარბი წონა აღენიშნებოდა 33,1%-ს, სიმსუქნე - 33,8%-ს. ჭარბი წონა და სიმსუქნე ჭარბობდა კაცებში. ასაკის მიხედვით განაწილება იყო შემდეგნაირად 18-29 წლის ასაკის იყო 58 (18,1%), 30-49 წლის ასაკის 166 (51,9%), 50-74 წლის 86 (26,9%) და 75-ზე ზევით 10 (3,1%).

ლითოტრიფის დეპარტამენტში ნამკურნალებ პაციენტთა რეგიონული განაწილება წარმოდგენილია პირველ ცხრილში.

**ცხრილი 1. ლითოტრიფის დეპარტამენტში ნამკურნალებ პაციენტთა რეგიონული განაწილება (2022-2024 წ.წ.)**

რეგიონი	2022 წ.	2023 წ.	2024 წ.
სამეგრელო-ზემო სვანეთი	74	61	80
კახეთის რეგიონი	90	101	92
აჭარის რეგიონი	38	51	61
იმერეთის რეგიონი	101	144	137
თბილისი	596	634	728

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონიდან 2022 წელს პაციენტების რაოდენობა იყო 74, 2023 წელს - 61, 2024 წელს კი - 80. დასავლეთ საქართველოში 2022-2023 წლებში შუალედური შემთხვევების რიცხვი მაღალია კვების თავისებურებიდან გამომდინარე (ცხარე, მჟავა, მარილიანი, მწარე და წყლის სიხისტიდან გამომდინარე, აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოში ცალკეული რეგიონები მაღალი ინციდენტობით გამოირჩევა, მაგ. ქვემო ქართლი და კახეთი, ასევე დედაქალაქი თბილისი (ცხრილი 1). ესეც გამოწვეულია წყალში Ca-ის მაღალი შემცველობით Mg-თან შედარებით.

კენჭების ქიმიური შედგენილობის ანალიზით ყველაზე დიდი რაოდენობით გამოვლინდა ოქსალატები (რენტგენოფაზური ანალიზით კენჭების მინერალური შედგენილობა იყო  $CaC_2O_4 \cdot H_2O$ -Whewellite (calcium oxalate mono Hydrate). რაც კორელაციაში იყო ანკეტირებით მიღებულ მონაცემებთან. კერძოდ, გამოკითხულ პაციენტთა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ უფრო ხშირად ღებულობდა ხორციან წვნიანებს, ხორციან კერძებს, ისპანახს, სალათებს, მჟაუნას, ყურძენს, რადგანაც ჩამოთვლილი პროდუქტები შეიცავენ მჟაუნმჟავას, ხორციანი კერძები კი გამოირჩევა პურინის მაღალი შემცველობით.

ანალიზური კვლევით, კვლევაში მონაწილეთა შორის მეორე ადგილს იკავებდა ურატული კენჭები ( $NaC_5H_2N_4O_3 \cdot H_2O$ -Sodium urate hydrate). როგორც გამოვლინდა, ასეთი პაციენტები უფრო ხშირად იღებდნენ ხორცს, თევზს, ღვიძლს, თირკმელებს, რაც შეიცავს დიდი რაოდენობით ქსანტინებს.

იმ პაციენტებს, რომლებიც უფრო ხშირად იღებდნენ რძეს და რძის პროდუქტებს, კვერცხს, ტუტე მინერალურ წყლებს, ანალიზური კვლევით, დაუდგინდათ ფოსფატური კენჭები ( $(Ca_{10}PO_4)_6(OH)_2$  - კალციუმის ფოსფატი, ჰიდროქსიაპატიტი).

ყველაზე მცირე რაოდენობით იქნა დადგენილი ცისტინური კენჭები, რომლებიც მემკვიდრული დაავადებების დროს ჩნდება ცისტინური დისპეპსიის (ცისტინურია) შედეგად, ვინაიდან თირკმელები ვერ ახერხებენ ცისტინის სათანადო რეაბსორციას, რის გამოც ის გროვდება შარდში და კრისტალდება იქცევა. აღნიშნულის შემთხვევაში კვება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორად შერჩეული დიეტა ამცირებს შარდში ცისტინის კონცენტრაციას და ამით აფერხებს ახალი კენჭების წარმოქმნას.

წყალი საკვებ პროდუქტებს მიეკუთვნება. წყლის მინერალურ შემადგენლობას, წყლის მიღების რაოდენობას, შემადგენლობას და ხარისხს გადამწვეტი როლი აქვს უროლითიაზის განვითარებაში, რასაც ადასტურებს მრავალი კვლევა.

ონკანისა და ადგილობრივ წყლებში Ca:Mg თანაფარდობასა და შკდ-ს ინციდენტობას შორის ასოციაციის შესაფასებლად, გამოვიყენეთ არაპარამეტრიული კორელაციური ანალიზის მეთოდი. შესაბამისად, შევისწავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის წყლის როგორც ხარისხი, ისე მინერალური შედგენილობა.

ცენტრალიზებული და ადგილობრივი წყლის სიხისტე მაღალი ვარიაციულობით გამოირჩევა საქართველოში: ძალიან რბილი წყლიდან - სიხისტე < 4 ზე ძალიან მაღალ სიხისტემდე - სიხისტე > 7 ზე. არადამაკმაყოფილებელია, ასევე, კალციუმ-მაგნიუმის თანაფარდობაც, რაც გამოწვეულია Ca-ის (12,2გ/ლ) და Mg (1,2მგ/ლ) დაბალი შემცველობით. აღსანიშნავია, რომ თბილისში, სადაც მუდმივად კონტროლდება სასმელი წყლის ხარისხი, არადამაკმაყოფილებელია კალციუმ/მაგნიუმის თანაფარდობა (9/1). ამიტომაც შკდ-ის უფრო მეტი შემთხვევებია რეგისტრირებული, ვიდრე სხვა რეგიონებში.

ქვემო ქართლის, მარნეულის მუნიციპალიტეტში, სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, ყველაზე მაღალი ავადობა უროლითიაზით, შესაძლებელია გამოწვეული იყოს წყლის მაღალი სიხისტით. სამეგრელოში ახალი შემთხვევების მეტი წილი მოდის ხობის მუნიციპალიტეტზე, აჭარასა და იმერეთში კი ბათუმსა და ქუთაისზე.

უროლითიაზის განვითარებაზე მოქმედებს კალციუმ/მაგნიუმის თანაფარდობა, რომელიც გულისხმობს მაგნიუმის დაბალ შემცველობას სასმელ წყალში. დასავლეთ საქართველოში წყალში თანაფარდობა კალციუმსა და მაგნიუმს შორის შეადგენს 5:1, ხოლო აღმოსავლეთში - 6:1.

სასმელი წყლის არასაკმარისი ხარისხი, ჭარბი წონა, ჰიპოდინამია, მარილიანი და ცხარე საკვები, მოხმარებული წყლის სიმცირე შეიძლება ჩაითვალოს უროლითიაზის ხელშემწყობ ფაქტორებად. ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს კავშირი გადაჭარბებულ ემოციურ დატვირთვასა და შკდ-ს შორის. კვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანები, რომლებსაც აღენიშნებოდათ შკდ, ხშირად აღნიშნავდნენ სტრესულ მდგომარეობებს და უარყოფით განცდებს. ასეთი პაციენტები სხვებზე სამჯერ მეტად აფიქსირებდნენ საყოფაცხოვრებო კონფლიქტებს, სამსახურში პრობლემებს, ფინანსურ და სხვა სახის უარყოფით ზეგავლენებს. დადგინდა, რომ შკდ-ის განვითარება შესაძლებელია პროფესიულ ჯგუფებში: შემდუღებლები, მეტალურგები, ცხელი კლიმატის პირობებში მომუშავე პირები [11]. ამასთან, კვლევებით გამოვლინდა, რომ დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე პირებს დაუდგინდათ შარდში ოქსალატების და ფოსფატების მაღალი კონცენტრაცია [11].

2022 წელს ლითოტრიპსიის დეპარტამენტში შემოსული პაციენტებიდან 220 (21.9%) იყო დროებით უმუშევარი, რაც სოციალურ - ეკონომიკური სტრესის მიზეზია. გამოკითხულთა 78.1% (783) იყო სხვადასხვა პროფესიის დასაქმებული. იყვნენ დიასახლისები და პენსიონერები. 2022-2024 წ.წ. ლითოტრიპსიის დეპარტამენტში შემოსულ და კვლევაში მონაწილე პაციენტთა პრობითი საქმიანობის შესახებ მონაცემები წარმოდგენილია მე-2 ცხრილში.

**ცხრილი 2. მონაცემები ლითოტრიპსიის დეპარტამენტში შემოსულ და კვლევაში მონაწილე პაციენტთა პრობითი საქმიანობის შესახებ (2022-2024 წ.წ.)**

პროფესია/სამუშაო ადგილი	2022 წ.	2023 წ.	2024 წ.
დაუსაქმებელი	220	211	200
პენსიონერი	116	182	146
დიასახლისი	9	8	10
მოსწავლე	16	29	31

გონებრივი საქმიანობა (ზრდასრული)	51	70	86
სტუდენტი	41	53	58
ფერმერი	93	85	156
ინდ.მენარმე	68	51	86
სხვადასხვა პროფესია	380	446	446
პატიმარი	9	8	10

**დასკვნა.** შკდ-ის განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობის როლს თამაშობს რისკის მოდიფიცირებული ფაქტორები. მოცემული ფაქტორების გავლენა შკდ-ის განვითარებაზე არასაკმარისად არის შესწავლილი და საჭიროებს უფრო ძირეულ კვლევებს. ჩვენი კვლევის შედეგები გვაძლევს საფუძველს, რომ ვიფიქროთ შემდეგი:

- შკდ-ს განვითარებას ხელს უწყობს მოხმარებული ცხოველური ცილების გადაჭარბებული რაოდენობა;
- სასმელი წყლის ხარისხი და მისი მინერალური შედგენილობა (ხისტი წყალი, სადაც კალციუმის რაოდენობა მეტია მაგნიუმთან შედარებით).

გამოყოფილი კენჭების ქიმიური შედგენილობიდან გამომდინარე შეიძლება გაიცეს რეკომენდაციები პროდუქტების შეზღუდვასთან დაკავშირებით. კერძოდ, ოქსალატების და ურატების შემადგენლობის კენჭების შემთხვევაში, პაციენტებმა უნდა მიიღონ დიდი რაოდენობით სითხე, მინერალური ტუტე წყალი, რძის პროდუქტები, კვერცხი, ხილი, ბოსტნეული, უპირატესად ტუტე გარემოს შესაქმნელად. შარდში ცისტინის კონცენტრაციის მომატებისას რეკომენდებულია ძალიან ბევრი სითხე - დღეში მინიმუმ 3-4 ლიტრი წყალი, მარილის მკვეთრი შეზღუდვა - 5 გ-ზე ნაკლები დღეში, ტუტიანობის გაზრდა, ბოსტნეული, ხილი მინერალური წყლები, კარტოფილი. არ არის რეკომენდებული თევზი, ბევრი ხორცი, ყველი, სოკო, ცილებით მდიდარი საკვები. ფოსფატური კენჭების დროს უნდა შეიზღუდოს ბოსტნეული, კარტოფილი, რადგანაც ეს პროდუქტები დიდი რაოდენობით შეიცავს Ca-ს.

რეკომენდებულია შემუშავდეს ღონისძიებები სასმელი წყლის რეჟიმის გაუმჯობესების თაობაზე ისეთი პროფესიებისთვის, სადაც სამუშაო წარმოებს მაღალი ტემპერატურის პირობებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Li Z, He R, Wang Y, Qu Z, Liu J, Yu R, Yang S. Global trends of chronic kidney disease from 1990 to 2021: a systematic analysis for the global burden of disease study 2021. BMC Nephrol. 2025 Jul 14;26(1):385. doi: 10.1186/s12882-025-04309-7. PMID: 40660180; PMCID: PMC12257723.
2. Singh VK, Rai PK. Kidney stone analysis techniques and the role of major and trace elements on their pathogenesis: a review. Biophysical Reviews. 2014;6(3-4):291-310.
3. Arivoli K, Valicevic AN, Oerline MK, Hsi RS, Patel SR, Hollingsworth JM, Shahinian VB. Preventive Pharmacological Therapy and Risk of Recurrent Urinary Stone Disease. Clin J Am Soc Nephrol. 2024 May 1;19(5):565-572. doi: 10.2215/CJN.0000000000000428. Epub 2024 Feb 12. PMID: 38345854
4. Sarica K. Dietary management of urolithiasis in 2023: a comprehensive update. World J Urol. 2023 May;41(5):1209. doi: 10.1007/s00345-023-04414-y. PMID: 37148325.
5. Shim JS, Oh K, Kim HC. Dietary assessment methods in epidemiologic studies. Epidemiol Health. 2014 Jul 22;36:e2014009. doi: 10.4178/epih/e2014009. PMID: 25078382; PMCID: PMC4154347.
6. Fred Hutchinson Cancer Center. Nutrition Assessment Shared Resource (NASR). Food Frequency Questionnaires (FFQ): General Nutrition Assessment (GNA) and Men's Nutritional Assessment (MNA) (FFQ overview and sample booklets). Seattle (WA): Fred Hutch; [cited 2026 Jan 28].
7. USDA FoodData Central (FDC). Public-domain nutrient database (values typically per 100 g; macro/micro, vitamins, minerals, water).

8. UK Government. Composition of Foods Integrated Dataset (CoFID). Consolidated UK food composition dataset (nutrients per 100 g; vitamins/minerals incl.).
9. FAO/INFOODS. FAO/INFOODS Food Composition Databases (Analytical FCDB). Global compendium of quality-checked analytical food composition data.
10. USDA Agricultural Research Service (ARS) & NIH Office of Dietary Supplements (ODS). USDA & ODS-NIH Database for the Purine Content of Foods. Purine values (mg/100 g) for foods/beverages (documentation PDF)
11. Crivelli JJ, Maalouf NM, Paiste HJ, et al. Disparities in Kidney Stone Disease: A Scoping Review. J Urol. 2021 Sep;206(3):517-525. doi: 10.1097/JU.0000000000001846.

*ვასილ კვერნაძე<sup>1</sup>, ბელა ყურაშვილი<sup>1</sup>, გიორგი მანაგაძე<sup>2</sup>,  
მარინა ციმაკურიძე<sup>1</sup>, მათა ციმაკურიძე<sup>1</sup>*

**კვებითი სტერეოტიპის შეფასება შარდკენჭოვანი დაავადების დროს**

<sup>1</sup>ოსსუ, კვების, ასაკობრივი მედიცინის, გარემოსა და პროფესიული ჯანმრთელობის დეპარტამენტი;

<sup>2</sup>ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრი; თბილისი, საქართველო

**რეზიუმე**

შარდკენჭოვანი დაავადება (შკდ) მსოფლიოში გავრცელებული პათოლოგიაა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ დაავადების პრევენცია ხშირად რთულია, ვინაიდან პაციენტებში ყოველთვის ვერ დგინდება ლითოგენური მეტაბოლური დარღვევები. შესაბამისად, იზრდება დამატებითი რისკის ფაქტორების იდენტიფიცირების მნიშვნელობა, განსაკუთრებით კვებითი ჩვევებისა და სასმელი წყლის მინერალური შემადგენლობის შეფასების მიმართულებით. მოცემული კვლევა მიზნად ისახავდა საქართველოში შკდ-ის მქონე პაციენტების კვებითი სტერეოტიპის ანალიზს (Food Frequency Questionnaire-ის საფუძველზე) და მისი კავშირის შეფასებას კენჭების ქიმიურ ტიპებთან (ოქსალატური, ურატული, ფოსფატური, ცისტინური), ასევე სასმელი წყლის მახასიათებლებთან, განსაკუთრებით კალციუმი-მაგნიუმის (Ca:Mg) თანაფარდობასთან. მიღებული შედეგები მნიშვნელოვანია როგორც პაციენტზე მორგებული რეკომენდაციების ჩამოსაყალიბებლად, ისე რეგიონული პრევენციული მიდგომების გასაძლიერებლად.



მაია ციმაკურიძე<sup>1</sup>, იოსებ პერტაია<sup>1</sup>, მარინა ციმაკურიძე<sup>1</sup>, ეკატერინე მირველაშვილი<sup>2</sup>,  
მედია ჯღარკავა<sup>3</sup>, ანნა ელიზბარაშვილი<sup>1</sup>, თამარ წიქარიშვილი<sup>1</sup>

### ექთნების პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

#### (შედარებითი ანალიზი საქართველოსა და პოლონეთის მაგალითზე)

თსუ, <sup>1</sup>ნუტრიციოლოგიის, ასაკობრივი მედიცინის, გარემოსა და პროფესიული ჯანმრთელობის დეპარტამენტი, <sup>2</sup>საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის დეპარტამენტი, <sup>3</sup>შინაგან სნეულებათა დეპარტამენტი №1; თბილისი, საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.03>

MAIA TSIMAKURIDZE<sup>1</sup>, IOSEB PERTAIA<sup>1</sup>, MARINA TSIMAKURIDZE<sup>1</sup>, EKATERINE  
MIRVELASHVILI<sup>2</sup>, MEDEA JGHARKAVA<sup>3</sup>, ANNA ELIZBARASHVILI<sup>1</sup>, TAMAR TSIKARISHVILI<sup>1</sup>

### OCCUPATIONAL HEALTH AND SAFETY OF NURSES

#### (COMPARATIVE ANALYSIS ON EXAMPLE OF GEORGIA AND POLAND)

TSMU, <sup>1</sup>Department of Nutrition, Aging Medicine, Environmental and Occupational Health,

<sup>2</sup>Department of Public Health, Management, Politic and Economic, <sup>3</sup>Department of Internal Diseases  
№1; Tbilisi, Georgia

### SUMMARY

The article provides a comparative analysis of the occupational health and safety of nurses in Georgia and Poland, which is based on Labor Code of Georgia, the Organic Law on Occupational Health and Safety, the Polish Labor Code, date published by the National Labor Inspectorate and government departments, date from the national statistical offices of the mentioned states and reports from international organizations. The research found that the shortage of nursing staff in Georgia is caused by a complex of factors, among the most important are low pay, great responsibility, physical and psychological strain while work and inefficient distribution of working hours.

**Keywords:** occupational health, safety, nurses, comparative analysis, Georgia, Poland

ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან და მალალრისკიან პროფესიულ ჯგუფს წარმოადგენენ ექთნები. მათი სამუშაო გარემო ხშირად დაკავშირებულია ერგონომიკურ, ბიოლოგიურ, ქიმიურ და ფსიქოსოციალურ საფრთხეებთან/რისკებთან. საერთაშორისო კვლევებით ექთნებში მაღალია დაქანცვის, გადაქანცვის, პროფესიული ტრავმის, ინფექციების, კუნთ-სახსროვანი ტრავმების, ტკივილის და სტრესის განვითარების შემთხვევები. აღსანიშნავია, რომ ექთნების შრომითი პირობები პირდაპირ აისახება მათ მიერ შესრულებულ სამუშაოზე - პაციენტზე ზრუნვის ხარისხზე [4,5,6,7,8].

**შრომის მიზანს** წარმოადგენდა ექთნების პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შეფასება საქართველოსა და პოლონეთის მაგალითზე და მონაცემების შედარებითი ანალიზი.

შრომის მიზნიდან გამომდინარე, განხორციელდა სამართლებრივი დოკუმენტების (საქართველოს შრომის კოდექსი; ორგანული კანონი პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის შესახებ; პოლონეთის შრომის კოდექსი; ეროვნული შრომის ინსპექციისა და სამთავრობო დეპარტამენტების ანგარიშები) და სტატისტიკური მონაცემების შედარებითი ანალიზი. ასევე, გამოყენებულ იქნა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO), ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) და ექთნების საერთაშორისო საბჭოს (ICN) მიმართვები/მონაცემები/ანგარიშები; საქართველოში არსებული ზოგადი მდგომარეობის შესაფასებლად ჩატარდა მცირე მასშტაბიანი კვლევა (ექთნების ონლაინ გამოკითხვა).

**კვლევის შედეგები და ანალიზი.** ექთნების სამუშაო გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება, რომელთაგან აღსანიშნავია 24-საათიანი ცვლები, ღამით მუშაობა; ფსიქოემოციური დატვირთვა (მაღალი პასუხისმგებლობა კრიტიკულ სიტუაციებში, აგრესიული პაციენტები და მათი პატრონები

და სხვ.); პაციენტების გადასაადგილებლად/დასახმარებლად ფიზიკური ძალის გამოყენება; მუდმივი კონტაქტი ბიოლოგიურ აგენტებთან (ვირუსები, ბაქტერიები, სისხლი და ა.შ.); დროის დეფიციტი, გადატვირთული განრიგი. სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ექთნების სამუშაო გარემოში გვხვდება სანარმოო/პროფესიული რისკები სამუშაო გარემოს მავნე ფაქტორების ყველა ჯგუფიდან: ერგონომიკული (მძიმე ნივთების, და არა მარტო ნივთების, აწევა, დინამიკური და სტატიკური დაძაბულობა, ტრავმის საშიშროება), ბიოლოგიური (კონტაქტი ინფექციურ აგენტებთან და ვირუსებთან), ფსიქო-სოციალური (სტრესი, ემოციური გამოფიტვა, ბულინგი), ქიმიური (სამედიცინო სადებიზინფექციო საშუალებები; ასეპტიკების აეროზოლები, მედიკამენტები).

საქართველოში ექთნების (ისევე, როგორც ყველა დასაქმებულის) შრომითი უფლებები და შრომითი გარემოს პირობების რისკები რეგულირდება:

- საქართველოს შრომის კოდექსით;
- პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის შესახებ ორგანული კანონით;
- შრომის ინსპექციის მიერ „დამსაქმებლის“ კონტროლის მექანიზმებით.

პოლონეთში დასაქმებულის უფლება-მოვალეობებს არეგულირებს:

- პოლონეთის შრომის კოდექსი (kodeks pracy);
- პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის (OSH) დებულებები;
- ევროკავშირის დირექტივები (როგორც ევროკავშირის (EU) წევრ ქვეყანას).

საკანონმდებლო დოკუმენტები განსაზღვრავენ დასაქმებული ექთნების მუშაობის ძირითად პრინციპებს: სამუშაო დროის ხანგრძლივობას; ზეგანაკვეთური საათების გამოყენების/ანაზღაურების წესებს; ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას; რისკების შეფასებას და პრევენციას; ინსტრუქტაჟისა და ტრენინგების ჩატარების აუცილებლობასა და რეგულაციას. შესაბამისად, მკაფიოდ განსაზღვრულია სამუშაო საათები (40 საათი კვირაში); მკაცრი პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის (OSH) სტანდარტები; რეგულარული პროფესიული ჯანმრთელობის მონიტორინგი; მავნე/საშიში გამომწვევი ფაქტორების მონიტორინგი; პერსონალის მიმართ ზრუნვასა და განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკა [1,2,9,10,11].

პოლონეთის კანონმდებლობით, ასევე, განსაზღვრულია დამსაქმებლის ვალდებულებები:

- A. რისკების იდენტიფიკაცია და დოკუმენტაცია - დამსაქმებელს ევალება სამუშაოს კონკრეტული საფრთხეების იდენტიფიცირება (მექანიკური, ფიზიკური, ერგონომიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, ფსიქო-სოციალური) და წერილობითი შეფასება-დოკუმენტის წარმოება, რის საფუძველზეც განისაზღვრება შესაძლო ზიანი და ყალიბდება კონტროლის ფორმები და პრევენციის მიმართულებები (ინდივიდუური დაცვის საშუალებები, ტრენინგი, პირველადი დახმარება და ა.შ.);
- B. კონტროლი/პრევენცია - დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს რისკების აღმოფხვრის გეგმის განხორციელება (აღმოფხვრა > ცვლილება > საინჟინრო კონტროლი > ადმინისტრაციული კონტროლი > ინდივიდუური დაცვის საშუალებები). პრაქტიკულად ეს მოიცავს: ტექნიკურ მოწყობილობების გამოყენებას (მაგ; სამედიცინო ნიღბები, ნემსის დახურული კონტეინერები), სამუშაო პროცესის შემსუბუქებას (პაციენტთა გადასაადგილებელი მოწყობილობების/საშუალებების გამოყენება), სამუშაოს ორგანიზაციას (როტაცია, დასვენების საათების გამოყენების შესაძლებლობა და დასვენებისთვის ადგილის გამოყოფა) და ბოლოს, ინდივიდუური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფას. საქართველოს ორგანული კანონი არის შესაბამისი კონცეფციის წიაღში. პოლონეთი კი ამ მიმართულებით უფრო დეტალურად ასრულებს ტექნიკურ მოთხოვნებს;

- C. ინდივიდური დაცვის საშუალებები და მათი უფასო მიწოდება - პოლონური პრაქტიკა კანონით (და ეროვნული შრომის ინსპექციის რეკომენდაციებით) განსაზღვრავს დამსაქმებლის ვალდებულებას - უფასოდ და დროულად მიაწოდოს შესაბამისი ინდივიდური დაცვის საშუალებები; საქართველოში ორგანული კანონით ფიქსირდება ვალდებულება, თუმცა რეალური დაფინანსება/რეალიზაცია/შესრულება ზოგ შემთხვევაში არ ხდება;
- D. ტრენინგები და სანციის/პერიოდული ინსტრუქტაჟი - ნებისმიერმა დასაქმებულმა უნდა გაიაროს შემაჯამებელი ტრენინგი სამუშაოს დანწყების წინ და პერიოდული ტრენინგები; პოლონეთში ეს რეგულარულად სრულდება, ხოლო საქართველოში ორგანული კანონით ხოვს/ითვალისწინებს ტრენინგებს, თუმცა არის ფინანსური და ორგანიზაციული ხარვეზები მათი სისტემური უზრუნველყოფისთვის; ტრენინგები მოიცავს: ინფექციურ კონტროლს, ნემსთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებს, ვირუსულ/ბაქტერიულ პროტოკოლებს, მუშაობის ერგონომიკას და სამუშაო ადგილზე ბულინგის მართვას;
- E. პროფესიული სამედიცინო შემოწმებები (წინასწარი და პერიოდული) - საქართველოს შრომის კოდექსი და ორგანული კანონი განსაზღვრავს, რომ სამედიცინო შემოწმებები შესაძლოა სავალდებულო იყოს კონკრეტული სამუშაოებისთვის; პოლონეთში ამ ტიპის შემოწმებები სტანდარტულია ან სავალდებულო მსგავსი სპეციფიკის მქონე პროფესიების შემთხვევაში და რეგულარულად ტარდება. ამ შემოწმებების მონაცემები მნიშვნელოვანია პროფესიული პათოლოგიების დროული გამოვლენისთვის;
- F. ინციდენტების რეგისტრაცია და პირველადი დახმარება-საგანგებო სიტუაციების პროტოკოლები, ინციდენტების (ნემსის ჩხვლეტით გამოწვეული დაზიანებები, პროფესიასთან დაკავშირებული ინფექციები, სამუშაო ადგილზე ძალადობის შემთხვევები) რეგისტრაცია და შეფასება სამართლებრივი მოთხოვნაა; პოლონეთში ამაზე მკაცრი აუდიტები და ანგარიშგება არსებობს; საქართველოში კანონმდებლობა ამხვილებს ყურადღებას ინციდენტების მართვაზე, მაგრამ რეალური პრაქტიკა არასრულფასოვანია მონაცემების რეგისტრაციის მხრივ;
- G. მონიტორინგი და სანქციები - პოლონეთის ეროვნული შრომის ინსპექცია ახორციელებს სისტემურ მონიტორინგს, პერიოდულ აუდიტებს და განსაზღვრავს ადმინისტრაციულ სანქციებს; ეფექტური მონიტორინგი მნიშვნელოვნად ამცირებს პროფესიულ დაზიანებათა/პათოლოგიათა შემთხვევების რიცხვს. საქართველოში შრომის ინსპექცია მოქმედებს, თუმცა რესურსი და გამჭვირვალობა, პოლონეთთან შედარებით, შეზღუდულია.

კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება ბევრად უფრო უსაფრთხოს ქმნის სამუშაო გარემოს და ამცირებს პროფესიული ტრავმებისა და პათოლოგიების (დაავადებებისა და ინტოქსიკაციების) შესაძლო განვითარებას. მაგ.: კანონით განსაზღვრული დახურული ნემსის სისტემა და ჩხვლეტის ინციდენტის რეგისტრაცია მნიშვნელოვნად ამცირებს ნემსით გამოწვეული დაზიანებების შემთხვევებს; პოლონეთში ამ პრაქტიკის დანერგვა უფრო სისტემურია (უსაფრთხო ნემსის ტექნოლოგიები + კონტროლი). საქართველოში, მიუხედავად სამართლებრივი მოთხოვნისა, დანერგვა არათანაბარია და ნემსის ჩხვლეტის ინციდენტების გადაცემული ჩანაწერები შეიძლება არ იყოს სისტემურად შეჯამებულ-რეგისტრირებული - შედეგად, ექთნები უფრო მონყვლადნი არიან HIV-ის, B და C ჰეპატიტის, შიდსის და სხვ. დაავადებების განვითარების ალბათობის მხრივ. კანონებით გათვალისწინებული სამუშაო ადგილის ერგონომიკული აღჭურვა (პაციენტთა ასანევი მონყობილობა, რეგულირებადი საწოლები და სხვ.) და ამ ტექნიკის გამოყენების ცოდნა ამცირებს სიმძიმეების აწევით გამოწვეულ დაზიანებებს; პოლონეთში ასეთი პრინციპი უფრო სისტემურად ჩანს; საქართველოში ხშირია ფიზიკური დატვირთვის შედეგად

გამონვეული ქრონიკული პრობლემები, რადგან ბევრ დანესებულებას არ აქვს შესაბამისი ტექნიკა და არც ტრენინგი ტარდება, რაც განაპირობებს ჯანმრთელობის პრობლემების გრძელვადიან/შორსნასულ განვითარებას; Covid-19-ის გამოცდილებამ აჩვენა, რომ სწორად უზრუნველყოფილი პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დებულებები/ნესები (ინდივიდუალური დაცვის სტრატეგია, ტესტირება, ვაქცინაციით მოცვა და წინასწარი პოლიტიკა) მნიშვნელოვნად ამცირებს დასაქმებულთა დაავადების რისკს; პანდემიის დროს პოლონეთში, ევროკავშირის ღირებულებით, სწრაფად განიხილეს კრიტიკული სტანდარტები; საქართველოში იყო დროსა და რესურსში შეზღუდვები.

სამუშაო ადგილზე ბუღინგის და დაქანცვა/გადაქანცვის პრევენციული ღონისძიებების და ტრენინგების არარსებობა (ან არასისტემური არსებობა) ზრდის სამუშაო ადგილზე ძალადობის შემთხვევებს/შედეგებს და აპროვოცირებს დაქანცვა/გადაქანცვას; პოლონეთში არსებული რეგულაციები და პროგრამები ფსიქო-სოციალური რისკების მართვისთვის უკეთაა დანერგილი, ხოლო საქართველოში მოქმედებს ნაკლებად ორგანიზებული მხარდაჭერა. შედეგად, ექთნების ფსიქიკური/მენტალური ჯანმრთელობა უფრო მონყვალა, რაც იწვევს პათოლოგიების ჩამოყალიბების/განვითარების მეტ შესაძლებლობას, ჯანდაცვის ეფექტურობის შემცირებას და მომსახურების ხარისხის ვარდნას.

საქართველოში, კადრების/ადამიანური რესურსების თვალსაზრისით, მდგომარეობა შემდეგნაირია [3]:

- ≈ 21 000 ექთანი;
- მოსახლეობა - ≈ 3 736 400 (1 იანვარი, 2023; Geostat);
- ექთნების სიმჭიდროვე (1000 მოსახლეზე) – 5,62 ექთანი;

პრობლემები ძირითადად დაკავშირებულია ემიგრაციასთან და კვალიფიციური კადრების დაკარგვასთან.

პოლონეთში კი აღნიშნული მაჩვენებლები შემდეგნაირია [12]:

- 219 881 ექთანი;
- მოსახლეობა - ≈ 36 554 707;
- ექთნების სიმჭიდროვე (1000 მოსახლეზე) – 6,02 ექთანი;

პოლონეთში ძირითად პრობლემას დასაქმებული ექთნების საშუალო ასაკის ზრდა (44-50 წელი) და ახალგაზრდების სიმცირე წარმოადგენს.

საქართველოში ექთნების ანაზღაურება საათში (საშუალოდ) არის 4,4 ლარი; თვეში (საშუალოდ) – 792-დან 900 ლარამდე; უხეზად, წლიური შემოსავალი - 9 504 ლარიდან 10 800 ლარამდე. პოლონეთში კი, ექთნების ანაზღაურება თვეში შეადგენს 5 000 PLN\* (≈3 681 ლარი)-დან 13 432 PLN\* (≈ 9 890 ლარი)-მდე; განისაზღვრება კვალიფიკაციის, გამოცდილების მიხედვით. (\*PLN - პოლონური ზლოტი; ვალუტის ერთეული პოლონეთში).

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ჩატარდა ექთნების ონლაინ გამოკითხვა. კვლევის ფარგლებში, 2025 წ. 1 – 15 დეკემბერს ონლაინ კითხვარი გადაეგზავნა კვლევებში დასაქმებულ ექთნებს. შეკითხვებს უპასუხა 146 ექთანმა.

კვლევაში მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა (63.6%) იყო ახალგაზრდა ასაკის (18-30 წ.), 2 წელზე მეტი სამუშაო გამოცდილებით (63.6%). გამოკითხულთა 81.85%-ს ჰქონდა 24 საათიანი სამუშაო გრაფიკი - მუშაობდა ცვლებში. 80% აღნიშნავდა, რომ მისი სამუშაო საათების რაოდენობა აღემატებოდა დადგენილს - კვირაში 40 სთ-ს, 40 საათი ან ნაკლები ჰქონდა 10-10%. რესპოდენტთა 54.5% აღნიშნავდა, რომ 9-15-ჯერ მორიგეობდა თვეში. 9.1% - თვეში 15-ზე მეტ მორიგეობას მიუთითებდა.

1400 ლარზე მეტი ანაზღაურება თვეში ჰქონდა გამოკითხულთა მხოლოდ 9%-ს. გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (90%) აღნიშნა, რომ სათანადოდ არ ხდება ზეგანაკვეთური სამუშაო საათების ანაზღაურება. დადებითი პასუხი ჰქონდა მხოლოდ 10%-ს. ყველა გამოკითხულმა მიუთითა, რომ სამუშაო პროცესში უხდებოდა მძიმე ნივთების (სიმძიმეების) აწევა და პაციენტების მოსავლელად დიდი ფიზიკური ძალის გამოყენება. გამოკითხულთა 2/3 აღნიშნავდა, რომ მუშაობის პროცესში განიცდიდა სხვისგან დავალებულ, იძულებით აქტივობას, რომლის შესრულებაც აღემატებოდა მათ შესაძლებლობებს/რესურსებს. სამუშაო ცვლის განმავლობაში რესპოდენტთა 54.5%-ს უწევდა ფეხზე დგომა 12 სთ და მეტი ხნის განმავლობაში. 8-12 სთ - გამოკითხულთა 36.4%-ს. სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ბიოლოგიურ აგენტებთან შემხებლობა ჰქონდა ყველა გამოკითხულს. მუშაობისას ნემსის ჩხვლეტით გამონვეული დაზიანების შემთხვევას აღნიშნავდა რესპოდენტთა 81.8%. დაზიანების რეგისტრირება არ ხდებოდა (27.5%) ან ყოველთვის არ ხდებოდა - 27.3% შემთხვევაში, ხდებოდა - 27.3% შემთხვევაში. ინდივიდური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფილი იყო რესპოდენტთა მხოლოდ 63.6%. ამ საშუალებების უფასოდ მიწოდების საკითხზე დადებითი და უარყოფითი ინფორმაცია ჰქონდა გამოკითხულთა თანაბარ რაოდენობას - 45.5%, ინფორმაციას არ ფლობდა - 9.1%. წინასწარი სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდა გამოკითხულთა 81.8%-ს, ხოლო პერიოდული სამედიცინო შემოწმება რეგულარულად უტარდებოდა 63.6%-ს. პროფესიული ტრენინგები სამსახურში აყვანამდე ან სამსახურის დაწყების შემდგომ გაიარა რესპოდენტთა 72.7%-მა; არ გაიარა - 27.3%-მა. სამუშაოს დასრულებისას ფსიქოემოციურ სტრესს განიცდიდა რესპოდენტთა 90.1%. ისინი სტრესის დონეს აფასებდნენ 7-დან 10 ბალამდე (ათბალიანი სისტემით). 72.7% აღნიშნავდა, რომ ვერ გრძნობდა ფსიქოემოციურ მხარდაჭერას (ფსიქოლოგთან კონსულტაცია; ფსიქოემოციური მხარდაჭერის პროგრამა და სხვ.) სამედიცინო დაწესებულების მხრიდან. რესპოდენტთა 60% არ იყო ბედნიერი და კმაყოფილი ამ კონკრეტულ პოზიციაზე მუშაობით.

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ექთნების პოზიციაზე კადრების დასაქმების დეფიციტს განაპირობებს ფაქტორთა კომპლექსი, რომელთაგან მნიშვნელოვანია დაბალი ანაზღაურება, დიდი პასუხისმგებლობა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაძაბულობა სამუშაოს შესრულებისას, სამუშაო საათების არაეფექტური გადანაწილება. ამის გამოსწორება შესაძლებელია პაციენტ-ექთნის რაოდენობის ოპტიმალური თანაფარდობის განსაზღვრით და ანაზღაურების გაზრდით.

საქართველოში ექთნების სამუშაო გარემო ხასიათდება შრომის მაღალი დაძაბულობით და დაბალი ანაზღაურებით, რაც განაპირობებს კადრების დეფიციტს და გადატვირთულ სამუშაო ცვლებს. სამუშაო ადგილზე ხშირად ფორმალურია პროფესიული უსაფრთხოების მონიტორინგი, იშვიათია ჯანმრთელობის სამედიცინო შემოწმებები და ტრენინგები. პოლონეთში კი მკაფიოდ განსაზღვრულია სამუშაო საათები; უკეთესია ინდივიდური დაცვის საშუალებების მიწოდება; რეგულარულია ტრენინგები, აკრედიტაციები, სამედიცინო შემოწმებები, მონიტორინგი; დაწესებულებების მიერ რისკების შეფასება უფრო სტრუქტურირებულია.

პოლონეთში ექთნების საშუალო ასაკი უფრო მაღალია (44-50 წელი), თუმცა დასაქმებულთა/ექთნების რეგულარული პროფილაქტიკური სამედიცინო შემოწმებები ამცირებს ჯანმრთელობის დარღვევების/დაზიანებების ჩამოყალიბების რისკს; სამუშაო ადგილზე მოქმედებს ძალადობის პრევენციის პოლიტიკა და სისტემური ზომები, რაც ასევე ამცირებს დაქანცვის/გადაქანცვისა და პროფესიული სტრესის განვითარების რისკს.

ფსიქო-სოციალური რისკების შემცირების მიზნით, პოლონეთში მოქმედებს მრავალპრიანი სისტემა, რომელიც აერთიანებს სახელმწიფო ინიციატივებს, WHO-ს, NGO-ების პროექტებს, დაწესებულებების შიდა პროგრამებს და აკადემიური კვლევების საფუძველზე შემოთავაზებულ მოდელს. მის ძირითად ელემენტებს წარმოადგენს:

- სახელმწიფო/სექტორული გზა-ეროვნული საკონსულტაციო და სამუშაო ჯგუფები (MHPSS - მენტალური ჯანმრთელობისა და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის ტექნიკური სამუშაო ჯგუფები) ემსახურება განსხვავებული სპეციფიკის მქონე დაწესებულებებს;
- WHO/საერთაშორისო ინიციატივები და ადგილობრივი ადაპტაცია - WHO-ს PM+ (პრობლემის მართვის მოდელი). NGO-ების და სხვა MHPSS ინიციატივებით 2024-2025 წლებში პოლონეთში განსაკუთრებით გაიზარდა ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა (განსაკუთრებით, უკრაინის კრიზისის და პოსტპანდემური გემოქმედების ფონზე). შეიქმნა სისტემური მხარდაჭერის მოდელი, რომელსაც იყენებენ როგორც პოსპიტალური, ისე საზოგადოებრივი სერვისები;
- დაწესებულების დონე - კოლეგათა მხარდაჭერა და დასაქმებულთა დახმარების პროგრამები. ბევრ დიდ ჰოსპიტალში (მათ შორის საუნივერსიტეტო კლინიკებში) შემუშავდა შიდა პროგრამები: კონფერენციები, საორგანიზაციო ტრენინგები (სტრესთან ბრძოლისათვის) და კოლეგათა მხარდაჭერის ჯგუფები; ზოგ შემთხვევაში გამოიყენება კომერციული „დასაქმებულთა დახმარების პროგრამები“ (EAP) - კონსულტაციებით, ფსიქოლოგიური მკურნალობით, კრიზისული მომენტების მართვის სერვისებით. ქვეყანა ცდილობს, რომ ეს ყველაფერი კიდევ უფრო მასშტაბური და ხელმისაწვდომი გახადოს ექთნებისთვის.

კოვიდპანდემიის პერიოდში საქართველოში არსებობდა პროექტები (CSO-ები და საერთაშორისო პარტნიორები), რომლებიც აწარმოებდნენ ტრენინგებს და ფსიქოლოგიურ დახმარებას (უფრო ფოკუსირებული: I რიგის/ხაზის ფსიქოლოგიურ დახმარებასა და ინციდენტურ კონსულტაციებზე). თუმცა ეს არ ყოფილა ფართო, სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მთლიანად და სტანდარტიზებულად მოიცავდა ყველა საავადმყოფოსა და ექთნების ჯგუფს. პრაქტიკულად, საქართველო დღეს ნაკლებად უზრუნველყოფს ცენტრალიზებულ და რეგულარულ ფსიქო-სოციალურ მომსახურებას ექთნებისთვის.

საქართველოსა და პოლონეთში ექთნების შრომის პირობები მნიშვნელოვნად განსხვავდება რეგულაციების სიძლიერით, მონიტორინგის სისტემით და დამსაქმებლების პასუხისმგებლობის ხარისხით. პოლონეთის მოდელი ევროკავშირის სტანდარტებზე დაფუძნებული, დეტალური და პრაქტიკულად ეფექტიანია, ხოლო საქართველოში სისტემა განვითარებას და გაძლიერებას საჭიროებს. პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გაუმჯობესება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ექთნების კეთილდღეობისა და ჯანმრთელობისთვის, რაც დადებითად აისახება მთლიანად ჯანდაცვის სისტემის ხარისხიან ფუნქციონებაზე.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ორგანული კანონი პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის შესახებ;
2. საქართველოს შრომის კოდექსი;
3. საქართველოს ეროვნული სტატისტიკის ოფისი - ჯანდაცვის ინდიკატორები (2023 წლის მოხსენება/ანგარიში);
4. Alghadir Ahmad H, Hani Al-Abbad, Syamala Buragadda, Amir Iqbal, Influence of Work-Related Safety and Health Guidelines on Knowledge and Prevalence of Occupational Back Pain among Rehabilitation Nurses in Saudi Arabia: A 6-Month Follow-Up Study, Int J Environ Res Public Health. 2021 Aug 18;18(16):8711
5. Çınar Derya, Karadakovan Ayfer, Investigation of occupational safety in oncology nurses, Int J Occup Saf Ergon. 2022 Sep;28(3):1750-1755
6. Diehl Elisabeth, Sandra, Stephan, Anja, Nienhaus Pinzon Luis Carlos Escobar, l Dietz Pavel, The relationship between workload and burnout among nurses: The buffering role of personal, social and organisational resources, PLoS One. 2021 Jan 22;16(1):e0245798
7. Hittle Beverly M , Guerin Rebecca, Wong Imelda S., Reach of an Occupational Health and Safety Program to Improve Sleep and Fatigue Among Nurses, West J Nurs Res. 2025 Oct;47(10):932-941

8. Lambert Zixin Li, Peilin Yang, Sara J Singer, Jeffrey Pfeffer, Maya B Mathur, Tait Shanafelt, Nurse Burnout and Patient Safety, Satisfaction, and Quality of Care: A Systematic Review and Meta-Analysis, JAMA Netw Open. 2024 Nov 4;7(11):e2443059
9. OECD - Organization for Economic Co-operation and Development. (2025). Health Workforce Migration. Paris: OECD Health Statistics
10. PIP – Państwowa Inspekcja Pracy. (2021). Report on the National Labour Inspectorate's activity in 2020 – abbreviated version for the international Labour Organization. Warsaw: PAŃSTWOWA INSPEKCJA PRACY (03.12.2025)
11. WHO – World Health Organization. (2025). State of the world's nursing report 2025. Geneva: WHO Publications. (03.12.2025)
12. Zgierska, A. (2025). Human resources in selected medical professions based on administrative sources in 2024 (Own study based on figures from Statistics Poland). Warsaw: Statistics Poland

*მაია ციმაკურიძე<sup>1</sup>, იოსებ პერტაია<sup>1</sup>, მარინა ციმაკურიძე<sup>1</sup>, ეკატერინე მირველაშვილი<sup>2</sup>,  
მედეა ჯღარკავა<sup>3</sup>, ანნა ელიზბარაშვილი<sup>1</sup>, თამარ წიქარიძე<sup>1</sup>*

### **ექთნების პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება**

**(შეღარებიანი ანალიზი საქართველოსა და პოლონეთის მაგალითზე)**

თსუ, <sup>1</sup>ნეურაციოლოგიის, ასაკობრივი მედიცინის, გარემოსა და პროფესიული ჯანმრთელობის დეპარტამენტი, <sup>2</sup>საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის დეპარტამენტი, <sup>3</sup>შინაგან სნეულებათა დეპარტამენტი №1, თბილისი, საქართველო

### **რეზიუმე**

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოსა და პოლონეთში ექთნების პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მდგომარეობის შეღარებიანი ანალიზი, რომელიც ეყრდნობა საქართველოს შრომის კოდექსს, ორგანულ კანონს პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ, პოლონეთის შრომის კოდექსს, შრომის ეროვნული ინსპექციისა და სამთავრობო დეპარტამენტების მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს, აღნიშნული სახელმწიფოების ეროვნული სტატისტიკური სამსახურების მონაცემებს და ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებს.

კვლევით დადგინდა, რომ საქართველოში ექთნის პოზიციაზე კადრების დასაქმების დეფიციტს განაპირობებს ფაქტორთა კომპლექსი, რომელთაგან მნიშვნელოვანია დაბალი ანაზღაურება, სამუშაოს შესრულებისას დიდი პასუხისმგებლობა, ფიზიკური და ფსიქოემოციური დაძაბულობა, სამუშაო საათების არაეფექტური გადანაწილება.



მაია ციმაკურიძე<sup>1</sup>, გიორგი მოისწრაფიშვილი<sup>1</sup>, მარინა ციმაკურიძე<sup>1</sup>,  
ეკატერინე მირველაშვილი<sup>2</sup>

**ბავშვთა და მოზარდთა დასაქმების და ჯანმრთელობის თავისებურებები**  
თსსუ, <sup>1</sup>კვების, ასაკობრივი მედიცინის, გარემოსა და პროფესიული ჯანმრთელობის  
დეპარტამენტი, <sup>2</sup>საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მენეჯმენტის, პოლიტიკის და ეკონომიკის  
დეპარტამენტი; საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.04>

MAIA TSIMAKURIDZE<sup>1</sup>, GIORGI MOISTSRAPHISHVILI<sup>1</sup>, MARINA TSIMAKURIDZE<sup>1</sup>,  
EKATERINE MIRVELASHVILI<sup>2</sup>

**PECULIARITIES OF LABOUR AND HEALTH OF CHILDREN AND ADOLESCENTS**  
TSMU, <sup>1</sup>Department of Nutrition, Aging Medicine, Environmental and Occupational Health,  
<sup>2</sup>Department of Public Health, Management, Politic and Economic; Tbilisi, Georgia

### SUMMARY

Child and adolescent labor remain not only an economic or social problem, but also a critical public health problem. Child and adolescent labor, as a social, economic and legal phenomenon, represent one of the most serious global challenges. Child labor at an early age is harmful to a child's physical and mental health, safety and moral development. Exposure to work environmental factors at an early age can cause trauma and damage to the musculoskeletal system; pathology of respiratory system, visions and hearing problems, reproductive health disorders, phycological prauma and stress, cognitive and emotional developmental delays, social isolation and stigma, violence. The elimination of Child and adolescent labor can only be achived through a comprehensive strategy, which is primarily achived through the sustainable development of society.

**Keywords:** labour, health, children, adolescents

ბავშვთა და მოზარდთა შრომა რჩება არა მხოლოდ ეკონომიკურ ან სოციალურ, არამედ საზოგადოებრივი ჯანდაცვის კრიტიკულ პრობლემად. ბავშვთა და მოზარდთა შრომა, როგორც სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი ფენომენი, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მძიმე გლობალურ გამოწვევას. ადრეულ ასაკში შრომა საზიანოა ბავშვის ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობისთვის, უსაფრთხოებისთვის და ზნეობრივი განვითარებისთვის [17], ვინაიდან ბავშვს ართმევს ბავშვობას, პოტენციალს და ღირსებას [10]. ამასთან, ხელს უშლის ბავშვის განათლებას (ფერხდება სკოლაში რეგულარული სიარული, ან აიძულებს მიატოვოს სკოლა, ან მოითხოვს ხანგრძლივ და მძიმე სამუშაო საათებს სასწავლო პროცესის პარალელურად) [10]. განსაკუთრებით საშიშია შრომის ისეთი ფორმები, რომელიც ეფუძნება მონობას, იძულებით შრომას, ბავშვებით ვაჭრობას, შეიარაღებულ კონფლიქტებში მათ გამოყენებას, რაც ბავშვის ჯანმრთელობას, უსაფრთხოებასა და მორალს უქმნის საფრთხეს [12]. შსო-ისა და UNICEF-ის მონაცემებით, გლობალურმა კრიზისებმა (მათ შორის COVID-19-ის პანდემიამ და კონფლიქტებმა) რისკები კიდევ უფრო გაზარდა [16]. ბავშვთა და მოზარდთა შრომა პირდაპირ ეწინააღმდეგება გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის (UNCRC) პრინციპებს [17]. ბავშვთა შრომის აღმოფხვრა არის გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამიზნე - “SDG” 8 (ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა), ქვესამიზნე 8.7 - ბავშვთა შრომის ყველა ფორმის დაუყოვნებლივი აღმოფხვრა [18].

ბავშვთა და მოზარდთა შრომა, როგორც სოციალური პრობლემა, არ არის ახალი მოვლენა, მაგრამ მისი აღქმა და მასშტაბები ფუნდამენტურად შეიცვალა საზოგადოების ისტორიული განვითარების ფონზე.

ანტიკურ და ფეოდალურ საზოგადოებებში ბავშვების ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვა წარმოადგენდა საოჯახო მეურნეობის გადარჩენის საფუძველს. ბავშვების ჩართვა მცირე საოჯახო

სასოფლო-სამეურნეო თუ საყოფაცხოვრებო საქმეებში მიზნად ისახავდა უნარების გადაცემას [4,13] და განიხილებოდა, როგორც პროფესიული განათლების ფორმა. ამ პერიოდის ბავშვთა აქტივობა ძირითადად ოჯახის კონტროლის ქვეშ რჩებოდა და არ იყო მიმართული კაპიტალისტური საზოგადოებისთვის დამახასიათებელ მოგების მაქსიმიზაციისკენ [6]. XVIII საუკუნის შუა წლებიდან (დაახლოებით 1760-იანი წლები) დაწყებულმა სამრეწველო რევოლუციამ ბავშვთა შრომა რადიკალურად გარდაქმნა და ექსპლუატაციის გლობალურ პრობლემად აქცია. სამრეწველო რევოლუცია აღმოჩნდა რადიკალური სოციალურ-ტექნოლოგიური გარდამტეხი მომენტი, როცა საზოგადოება აგრარული ეკონომიკიდან გადავიდა ტექნოლოგიური წარმოების სისტემაზე. ორთქლის ძრავის [9] გამოგონებამ შრომა ცენტრალიზებულ საწარმოებში გადაიყვანა, რამაც დაწერა მკაცრი შრომითი დისციპლინა. მეურნეობის მექანიზაციამ მასობრივი უზრუნველყოფა გამოიწვია. ქალაქებში თავმოყრილი ღარიბი ოჯახები იძულებული გახდნენ, ოჯახის ყველა წევრი, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვები, სამუშაოდ გაეშვათ, რადგან ეს იყო მათი გადარჩენის საშუალება. ბავშვი გახდა შრომის ლოგიკური და უპირატესი რესურსი, ვინაიდან ბავშვები იღებდნენ ზრდასრული დასაქმებულის ხელფასის 10-20%-ს და მათი აღნაგობა საშუალებას იძლეოდა ემუშავათ ახალ დანადგარებთან თუ მაღაროს ვიწრო გვირაბებში [13]. ბავშვები მუშაობდნენ 12-16 საათს დღეში. ბავშვთა შრომის კლასიკურ მაგალითად იქცა ბუხრის მწმენდავების პროფესია, რომელიც განსაკუთრებით ნათლად ასახავდა შრომითი პირობების პირდაპირ და დესტრუქციულ ზემოქმედებას ბავშვთა ჯანმრთელობაზე [2]. ჭვარტლის ხანგრძლივი ზემოქმედება იწვევდა "ბუხრის მწმენდავების კიბოს" (Chimney Sweeper's Cancer) განვითარებას - პირველი დოკუმენტურად დადასტურებული პროფესიული კიბოს შემთხვევა ისტორიაში. საზოგადოების აქტიური ზეწოლით, 1788 წელს, შემუშავებულ და მიღებულ იქნა პირველი საკანონმდებლო დოკუმენტი - "ბუხრის მწმენდავების აქტი" (Chimney Sweepers Act), რომელიც აწესებდა ასაკობრივ ზღვარს, სამუშაო დროის შეზღუდვებს და მოითხოვდა პრევენციული ღონისძიებების გატარებას (ბავშვების რეგულარულად დაბანას) [8].


ბავშვთა და მოზარდთა შრომის ფართო მასშტაბებთან დაკავშირებულმა საზოგადოების აღშფოთებამ და აქტიურმა სოციალურმა მოძრაობამ გამოიწვია საკანონმდებლო ცვლილებები. კერძოდ, შემუშავდა:

- ✓ კანონმდებლობა ეროვნულ დონეზე: პირველი მარეგულირებელი ნაბიჯები გადაიდგა დიდ ბრიტანეთში 1833 წლის საწარმოთა აქტის (Factory Act of 1833) სახით. ამ კანონმა აკრძალა 9 წლამდე ბავშვების დასაქმება და შეზღუდა მოზარდების სამუშაო საათები, რითაც დაფუძნდა საწარმოთა ინსპექტირების სისტემა – პირველი ოფიციალური ორგანო, რომელიც შრომის პირობებს აკონტროლებდა [13];
- ✓ საერთაშორისო სტანდარტები: პრობლემის გლობალიზაციამ XX საუკუნის დასაწყისში გამოიწვია საერთაშორისო თანამშრომლობა და ინსტიტუციური ნორმების შექმნა:
  - შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) დაარსება (1919): მისი ერთ-ერთი პირველი მანდატი/მიზანი იყო ბავშვთა და მოზარდთა შრომის აღმოფხვრა;
  - შსო N138 კონვენციით განისაზღვრა დასაქმების მინიმალური ასაკი, რომელიც არ უნდა იყოს სავალდებულო განათლების დასრულების ასაკზე ნაკლები [10];
  - გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია მთავარი სამართლებრივი აქტია, რომელმაც ბავშვის ფუნდამენტურ უფლებად გამოაცხადა მისი ეკონომიკური ექსპლუატაციისგან დაცვა [17].

2024 წლის მონაცემებით [9], მსოფლიოში დასაქმებულია დაახლოებით 138 მილიონი ბავშვი და მოზარდი (5-დან 17 წლამდე). ეს რიცხვი 22 მილიონით ნაკლებია, ვიდრე 2020 წელს იყო. დასაქმებულ ბავშვთა და მოზარდთა საერთო რაოდენობა 2000 წლიდან 100 მილიონზე მეტით

შემცირდა [9]. 138 მილიონი დასაქმებულიდან 54 მილიონი ასრულებს სახიფათო სამუშაოს, რომელთა ასაკობრივი განაწილება შემდეგია (დიაგრამა 1).

**დიაგრამა 1. სახიფათო სამუშაოზე დასაქმებული ბავშვების რაოდენობა ასაკის მიხედვით**




**შენიშვნა:** 5–11 წლის ასაკი - 10.3 მილიონი (სახიფათო სამუშაოს 19%); 12–14 წლის ასაკი - 12.8 მილიონი (24%); 15–17 წლის ასაკი - 30.8 მილიონი (57%).

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა (ILO) და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) უახლესი ერთობლივი შეფასებების თანახმად [9], მსოფლიომ მიაღწია გარკვეულ პროგრესს ბავშვთა შრომის აღმოფხვრის კუთხით (დიაგრამა 2), თუმცა კვლავ რჩება მწვავე რეგიონული უთანასწორობა:

- აფრიკა არის ყველაზე კრიტიკული რეგიონი, სადაც ბავშვთა შრომაში ჩართულია 87 მილიონი ბავშვი/მოზარდი (გლობალური ჯამური რაოდენობის თითქმის ორი მესამედი);
- ყველაზე დიდი პროგრესი აღინიშნება აზიაში, სადაც დასაქმებული ბავშვების/მოზარდების რაოდენობა 2020 წლის შემდეგ შემცირდა 43%-ით.


**დიაგრამა 2. დასაქმებულ ბავშვთა და მოზარდთა განაწილება (წლების მიხედვით)**



ბავშვთა და მოზარდთა დასაქმება, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, უმეტესად კონცენტრირებულია სამ ძირითად სექტორში (დიაგრამა 3):

- სოფლის მეურნეობა: 61% გლობალურად. ეს არის დომინანტი სექტორი უმცროსი ასაკობრივი ჯგუფისთვის (5-11 წლის ბავშვების 68%);
- მომსახურების სექტორი: 27%;
- მრეწველობა: 13% - მათ შორის მშენებლობა, წარმოება და სამთომომპოვება. ამ სექტორში ბიჭების ჩართულობა იზრდება ასაკთან ერთად და მოზარდებში (15-17 წლის ასაკში) 26%-ს შეადგენს.

**დიაგრამა 3. დასაქმებულ ბავშვთა და მოზარდთა განაწილება ასაკისა და დასაქმების სფეროს მიხედვით**



გლობალურად ბავშვთა და მოზარდთა შრომა სხვადასხვა, ხშირად ფარული, ფორმით ვლინდება:

- პლანტაციებსა და ფერმებში: სოფლის მეურნეობაში (61% გლობალურად) ბავშვები აქტიურად არიან ჩართული ისეთი პროდუქტების წარმოებაში, როგორცაა თამბაქო, კაკაო, ყვავილები და ბამბა. ამ საქმიანობების უმეტესობა ტოქსიკურ ნივთიერებებთან (პესტიციდები) კონტაქტს გულისხმობს;
- სამთომომპოვებაზე და მშენებლობაზე: დასაქმებულია ბავშვთა/მოზარდთა 2%. ისინი მუშაობენ ქვანახშირისა და ოქროს მალაროებში, აგურის წარმოებაში და სხვ., სადაც ტრავმული დაზიანებების რისკი მაღალია;
- სამრეწველო კომპანიებში: დასაქმებულთა 8%. კერძოდ, ტანსაცმლის (სამკერვალო), სპორტული ინვენტარის (მაგ., ფეხბურთის ბურთების კერვა) და ქირურგიული ინსტრუმენტების წარმოება, ხშირად მავნე სამუშაო გარემოში.

დასაქმების ყველაზე მძიმე ფორმები მოიცავს ბავშვთა ტრეფიკინგს, შეიარაღებულ კონფლიქტებში მონაწილეობას (ბავშვი-ჯარისკაცები), ნარკოტიკების ტრეფიკინგს, იძულებით მათხოვრობასა და კომერციულ სექსუალურ ექსპლუატაციას (პორნოგრაფია). ეს ფორმები წარმოადგენს ბავშვის უფლებების ყველაზე მძიმე დარღვევას და საერთაშორისო ნორმებით უპირობოდ აკრძალულია.

საერთაშორისო ნორმები განასხვავებს ბავშვთა და მოზარდთა დასაქმების დასაშვებ და აკრძალულ ფორმებს:

- დასაშვები შრომა არის მსუბუქი საქმიანობა, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის სოციალურ განვითარებას, არ აფერხებს მის სწავლას და არ არის საშიში მისი ჯანმრთელობისთვის (მაგ., საოჯახო მეურნეობაში დახმარება);
- აკრძალულია შრომა, რომელიც: 1) საერთაშორისო ნორმებით აკრძალულია ასაკის ან/და საშიში პირობების გამო (მაგ., სახიფათო სამუშაო, რომელიც მოიცავს კონტაქტს ტოქსიკურ ნივთიერებებთან ან ღამის ცვლაში მუშაობას); 2) ხელს უშლის განათლებას ან მოითხოვს ხანგრძლივ დატვირთვას; 3) უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ფიზიკურ, მენტალურ ან სოციალურ განვითარებაზე [10,17].

ბავშვთა და მოზარდთა დასაქმების პრობლემა მრავალი ფაქტორის ურთიერთქმედების შედეგია, რომელთა გაანალიზება აუცილებელია ფუნდამენტური ეკონომიკური, სოციალური და კულტურული რისკების გათვალისწინებით [3,5].

ეკონომიკურ რისკებში მოიაზრება სიღარიბე და ბაზრის მოთხოვნა:

- სიღარიბე რჩება ბავშვთა/მოზარდთა შრომის ფუნდამენტურ მიზეზად. ოჯახისთვის, რომელსაც არ აქვს საკმარისი შემოსავალი, ბავშვის მიერ გამომუშავებული მცირე თანხაც კი გადამწყვეტი ხდება. ეს არის „შრომა გადარჩენისთვის“ (Survival Labour);
- დაბალი შრომითი ღირებულება: განვითარებად ქვეყნებში ბავშვთა შრომა მოთხოვნადია და მცირედ ანაზღაურებადი. ამასთან, დამსაქმებლები თვლიან, რომ ბავშვები უკეთესად ერგებიან მცირე, განმეორებად და მოსაწყენ სამუშაოს.
- არაფორმალური ეკონომიკა: ბავშვები/მოზარდები უპირატესად დასაქმებულნი არიან არაფორმალურ სექტორში (სოფლის მეურნეობა, მცირე ვაჭრობა), რაც ნაკლებად კონტროლდება სახელმწიფო ზედამხედველობისა და შრომის ინსპექციის რეგულაციებით.

სოციალური და კულტურული ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია:

- განათლების ნაკლებობა: როცა სკოლები მიუზღვრებელია (გეოგრაფიულად ან ფინანსურად) ან თუ განათლების ხარისხი დაბალია, ოჯახები უპირატესობას ანიჭებენ შვილის დასაქმებას, ვინაიდან განათლების სარგებელი მათთვის აბსტრაქტულია;
- სოციალური ნორმები და ტრადიცია: ზოგ კულტურაში ან თემში (განსაკუთრებით აგრარულში) ბავშვი ადრეული ასაკიდანაა მუშაობაში ჩართული;
- გენდერული უთანასწორობა: ბავშვთა შრომა ხშირად გენდერულად დიფერენცირებულია. გოგონები განსაკუთრებით ხშირად ექვემდებარებიან იძულებით შრომას საკუთარ ან მესამე პირის სახლში, რაც სტატისტიკურად ნაკლებად აღირიცხება.

თანამედროვე გამოწვევებიდან აქტუალურია სხვადასხვა სახის კონფლიქტი და კლიმატური ცვლილებები:

- კონფლიქტები და იძულებითი გადაადგილება: განსაკუთრებული რისკის ქვეშ არიან კონფლიქტის ზონებში მცხოვრები ბავშვები და ლტოლვილები (გაერო, 2023), რომლებიც მოკლებული არიან განათლების მიღების შესაძლებლობას და სახელმწიფოს მზრუნველობას, რის გამოც მარტივად ხდებიან ექსპლუატაციის მსხვერპლნი (ტრეფიკინგი, იძულებითი შრომა, ბავშვი - ჯარისკაცი).
- კლიმატის ცვლილების შედეგები: გვალვები, წყალდიდობები და ეკოსისტემების დეგრადაცია ანადგურებს საარსებო წყაროს (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში) და იწვევს ოჯახების გაღატაკებას, რაც პირდაპირპროპორციულად ზრდის ბავშვთა/მოზარდთა დასაქმების რისკებს.

ბავშვთა/მოზარდთა დასაქმება ფიზიკური, ასევე ფსიქიკური ჯანმრთელობის რისკებს ქმნის როგორც მწვავე, ისე მოგვიანებითი შედეგებით [7,15]. შრომითი საქმიანობა ხშირად ხდება ჯანმრთელობის შეუქცევადი დაზიანების მიზეზი. ბავშვის განვითარებადი ორგანიზმი

განსაკუთრებით მონყვლადია სამუშაო გარემოში არსებული რისკების ზემოქმედების მხრივ. სამუშაო გარემოს ფაქტორებმა შეიძლება გამოიწვიოს:

- ტრავმა და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაზიანება: მძიმე ტვირთის აწევა, განმეორებითი მოძრაობები და არასწორი სამუშაო პოზა (მაგ., ბამბის ან ყავის კრეფის დროს) იწვევს სქოლიოზს, ხერხემლის დეფორმაციას და სახსრების ქრონიკულ დაავადებებს. ვინაიდან ამ ასაკში ძვლები ჯერ კიდევ ვითარდება, ნებისმიერი ჭარბი დატვირთვა იწვევს შეუქცევად ეფექტებს [9];
- სასუნთქი სისტემის პათოლოგია: მტვერთან, ბამბის ბოჭკოებთან, ქიმიური ნაერთების ორთქლთან ან პესტიციდებთან ხანგრძლივი კონტაქტი იწვევს ასთმას, ქრონიკულ ბრონქიტს და პნევმოკონიოზს (სამთო-მოპოვებით მრეწველობაში);
- მხედველობისა და სმენის პრობლემები: ხმაურიან გარემოში შრომა იწვევს სმენის დაქვეითებას. სამუშაოები არაადეკვატური განათების პირობებში, მით უფრო, რომელიც მოითხოვს მხედველობის დაძაბვას (მაგ. ხალიჩების ქსოვა, სამკერვალო) იწვევს მხედველობის ქრონიკულ გაუარესებას [16];
- რეპროდუქციული ჯანმრთელობის დარღვევები: მოზარდები, რომლებიც სამუშაო ადგილებზე განიცდიან ზოგიერთი სპეციფიკური საწარმოო ფაქტორის ზემოქმედებას, რეპროდუქციული სისტემის დაზიანების მაღალი რისკის ქვეშ არიან, რაც გენოფონდის მნიშვნელოვან გაუარესებას განაპირობებს;
- ფსიქოლოგიური ტრავმა და სტრესი: მუდმივი საფრთხე, იზოლაცია და ექსპლუატაცია იწვევს პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობას (PTSD), ქრონიკულ შფოთვას, დეპრესიასა და პანიკურ შეტევებს. ბავშვებს/მოზარდებს ხშირად დაქვეითებული აქვთ თვითშეფასება [19];
- კოგნიტური და ემოციური განვითარების შეფერხება: განათლების მიღების შეუძლებლობა აფერხებს კოგნიტურ განვითარებას, ლოგიკური აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარებს. ამას ემატება ემოციური განუვითარებლობა, რადგან შრომა ართმევს ბავშვს თამაშის, თანატოლებთან ჯანსაღი ურთიერთობისა და საკუთარი თავის გამოხატვის შესაძლებლობას;
- სოციალური იზოლაცია და სტიგმა: შრომაში ჩაბმული ბავშვი/მოზარდი ვერ მონაწილეობს სკოლის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რის გამოც იზოლირებულია. ეს იზოლაცია ხელს უშლის სოციალიზაციას და, საბოლოოდ, ზრდასრულობაში სოციალურ ინტეგრაციას ართულებს;
- ძალადობა: ბავშვები/მოზარდები, რომლებიც ხდებიან ექსპლუატაციის მსხვერპლნი, ხშირად თავად ხდებიან მოძალადეები ან უუნაროები არიან შექმნან ჯანსაღი საოჯახო გარემო ზრდასრულობაში, რითაც სიღარიბისა და შრომის მანკიერი ციკლი გრძელდება მომავალ თაობებზე.

ბავშვთა და მოზარდთა დასაქმების საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო საზოგადოებამ შეიმუშავა ფართო სამართლებრივი ჩარჩო, რომლის ცენტრალური ნაწილი გაეროსა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენციებია:

- ბავშვთა უფლებათა შესახებ გაეროს კონვენციის [17] 32-ე მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოებს, აღიარონ ბავშვის უფლება, იყოს დაცული ეკონომიკური ექსპლუატაციისგან და ნებისმიერი სამუშაოსგან, რომელიც ხელს უშლის მის განათლებას ან ზიანს აყენებს მის ჯანმრთელობას.
- შსო N138 კონვენცია [10] განსაზღვრავს დასაქმების მინიმალურ ასაკს, რომელიც არ უნდა იყოს სავალდებულო დაწყებითი განათლების დასრულების ასაკზე ნაკლები და არც 15 წელზე ნაკლები. განვითარებად ქვეყნებს შეუძლიათ განსაზღვრონ დასაქმების მინიმალურ ასაკად 14 წელი.

- შსო N182 კონვენცია [12] ყველაზე სწრაფად რატიფიცირებული კონვენციაა მსოფლიო ისტორიაში, რომელიც მოითხოვს ქვეყნებისგან, დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები ბავშვთა შრომის ოთხი მძიმე ფორმის აღმოსაფხვრელად:
  - მონობა, ტრეფიკინგი და იძულებითი შრომა;
  - ბავშვი - ჯარისკაცების გამოყენება შეიარაღებულ კონფლიქტებში;
  - არალეგალური საქმიანობა (ნარკოტიკებით ვაჭრობა, პროსტიტუცია);
  - სამუშაო, რომელიც, თავისი ბუნებით ან გარემოებებით, ზიანს აყენებს ბავშვის/მოზარდის ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას ან მორალს.

მიუხედავად საერთაშორისო კანონმდებლობისა, ბავშვთა და მოზარდთა დასაქმების საკითხების რეგულირება თავად ქვეყნების პასუხისმგებლობაა. ამ მიმართულებით ეფექტური ბრძოლა მოითხოვს:

- კანონმდებლობის ჰარმონიზაციას: ეროვნული კანონები უნდა იყოს სრულად შესაბამისი შსო-ს N138 და N182 კონვენციებთან;
- შრომის ინსპექციის აქტივობის გაძლიერებას: მთავარი გამოწვევა კანონების აღსრულებაა, განსაკუთრებით არაფორმალურ და სასოფლო-სამეურნეო სექტორებში, რისთვისაც საჭიროა შრომის ინსპექტორების რაოდენობისა და უფლებამოსილებების გაზრდა;
- სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას: ბავშვთა და მოზარდთა შრომის მძიმე ფორმები (განსაკუთრებით ტრეფიკინგისა და იძულებითი შრომისთვის) მკაცრად რეგულირდება სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

ბავშვთა და მოზარდთა შრომის აღმოფხვრა მოითხოვს არა მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო კანონმდებლობასთან შესაბამისობას, არამედ მიზნებზე ორიენტირებულ, მრავალგანზომილებიან მიდგომას. მათ შორის მნიშვნელოვანია:

- ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის მიზანმიმართული გატარება, რაც გულისხმობს:
  - სიღარიბის შემცირების პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, რაც ქვეყანაში შექმნის ეკონომიკურ კეთილდღეობას;
  - ზრდასრულთა ღირსეულ დასაქმებას, ვინაიდან ბავშვთა და მოზარდთა შრომა კორელაციაშია ზრდასრულთა უმუშევრობასა და დაბალ ანაზღაურებასთან. მინიმალური ხელფასის ზრდა და ზრდასრულთათვის უსაფრთხო სამუშაო ადგილების შექმნა ამცირებს ოჯახის დამოკიდებულებას ბავშვის შემოსავალზე;
  - მიკროსესხების და მცირე მენარმეობის მხარდაჭერას, ვინაიდან სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ეკონომიკური ალტერნატივების შეთავაზება განაპირობებს მდგრადი შემოსავლის წყაროს შექმნას ბავშვის შრომის გარეშე.
- უფასო და ხარისხიან განათლებას (ხელმისაწვდომი - ფინანსურად და გეოგრაფიულად), რომელიც უნდა ითვალისწინებდეს:
  - სკოლაში კვების პროგრამების განხორციელებას, რაც ოჯახისთვის დამატებითი ეკონომიკური სარგებელია და, შესაბამისად, გაზრდის რისკის ქვეშ მყოფი თემებისთვის სკოლაში ბავშვთა დასწრების მაჩვენებელს;
  - პროფესიულ განათლებას მოზარდებისთვის, რაც მათ ღირსეული დასაქმების საშუალებას მისცემს სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ.

ბავშვთა და მოზარდთა შრომის აღმოფხვრის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ყოვლისმომცველი სტრატეგიით [1], რაც პირველ რიგში მიიღწევა საზოგადოების მდგრადი განვითარებით და უზრუნველყოფს, რომ ბავშვებს და მოზარდებს ჰქონდეთ ჯანმრთელი, უსაფრთხო და სრულფასოვანი ცხოვრება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ჯავახიძე რ., ციმაკურიძე მ., ხატიაშვილი ნ., ჩიგოვიძე ხ., საქართველოში პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ძირითადი პრობლემები და მათი გადაწყვეტის მიმართულელები, თსსუ, შრომათა კრებული, ტ. XLVII, თბილისი, 2013, გვ. 168-170
2. ციმაკურიძე მ. პროფესიული მედიცინა, თბილისი, 2022, 490 გვ
3. Basu, K., & Van, P. H. (1998). The Economics of Child Labor. *The American Economic Review*, 88(3), 412-27
4. Bhalotra, S., & Heady, C. (2003). Child Farm Labor: The Wealth Paradox. *The World Bank Economic Review*, 17(2), 197-227.
5. Grootaert, C., & Kanbur, R. (2009). *Child Labour: A Review*. The World Bank Economic Review.
6. Cunningham, H. (2000). *The History of Child Labour in the Context of the Industrial Revolution*. Cambridge University Press.
7. Fassa, A. G., et al. (2010). Child labor and health: what do we know? *American Journal of Industrial Medicine*, 37(1).
8. Heinz, W. R. (2004). *Occupational Health and Child Labour: The Chimney Sweepers Case*. Oxford University Press.
9. Hobsbawm, E. J. (1999). *The Age of Revolution: 1789–1848*. Vintage Books.
10. ILO & UNICEF (2025). *Child Labour: Global estimates 2024, trends, drivers and the road forward 2024–2025*. New York/Geneva.
11. International Labour Organization (1973). *Minimum Age Convention (No. 138)*. Geneva: ILO.
12. International Labour Organization (1999). *Worst Forms of Child Labour Convention (No. 182)*. Geneva: ILO.
13. International Labour Organization (2013). *The History of Child Labour and the Industrial Revolution*. Geneva: ILO Publications.
14. Landrigan, P. J., & Fuller, R. (2016). Environmental pollutants and child health. *The Lancet Commission on pollution and health*.
15. Parker, S. W., & Behrman, J. R. (2018). The Effect of Childhood Health on Adult Health: Evidence from Child Labor Laws. *Journal of Health Economics*.
16. UNICEF (2023). *Hidden Scars: The impact of conflict and crisis on child labour*. New York: UNICEF.
17. United Nations (1989). *Convention on the Rights of the Child (CRC)*. United Nations General Assembly Resolution 44/25.
18. United Nations (2015). *sustainable development goals*
19. WHO (World Health Organization) & ILO (2024). *Child labour and health: Risks associated with hazardous work. Joint Report*. Geneva: WHO/ILO.

მაია ციმაკურიძე <sup>1</sup>, გიორგი მოისწრაფიშვილი <sup>1</sup>, მარინა ციმაკურიძე <sup>1</sup>,  
ეკატერინე მირველაშვილი <sup>2</sup>

**ბავშვთა და მოზარდთა დასაქმების და ჯანმრთელობის თავისებურებები**  
თსსუ, <sup>1</sup> კვების, ასაკობრივი მედიცინის, გარემოსა და პროფესიული ჯანმრთელობის  
დეპარტამენტი, <sup>2</sup> საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მენეჯმენტის, პოლიტიკის და ეკონომიკის  
დეპარტამენტი; საქართველო

**რეზიუმე**

ბავშვთა და მოზარდთა შრომა რჩება არა მხოლოდ ეკონომიკურ ან სოციალურ, არამედ საზოგადოებრივი ჯანდაცვის კრიტიკულ პრობლემად. ბავშვთა და მოზარდთა შრომა, როგორც სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი ფენომენი, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მძიმე გლობალურ გამოწვევას. ადრეულ ასაკში შრომა საზიანოა ბავშვის ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობისთვის, უსაფრთხოებისთვის და ზნეობრივი განვითარებისთვის, ადრეულ ასაკში სამუშაო გარემოს ფაქტორების მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს ტრავმა და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაზიანება; სასუნთქი სისტემის პათოლოგია; მხედველობისა და სმენის

პრობლემები; რეპროდუქციული ჯანმრთელობის დარღვევები; ფსიქოლოგიური ტრავმა და სტრესი; კოგნიტური და ემოციური განვითარების შეფერხება; სოციალური იზოლაცია და სტიგმა; ძალადობა. ბავშვთა და მოზარდთა შრომის აღმოფხვრის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ყოვლისმომცველი სტრატეგიით, რაც პირველ რიგში მიიღწევა საზოგადოების მდგრადი განვითარებით.



*კონსტანტინე ხარაბაძე, ზაზა ბოხუა, დავით კობეშავიძე*  
**ვიტამინ „C“-ს გამოყენება ბაქტერიული ვაგინოზის მკურნალობის პროცესში**  
 თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; შ.პ.ს. „იმედის კლინიკა“;  
 თბილისი, საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.05>

*KONSTANTINE KHARABADZE, ZAZA BOKHUA, DAVID KOBESHA VIDZE*  
**USE OF VITAMIN “C” IN TREATMENT OF BACTERIAL VAGINOSIS**  
 Tbilisi State Medical University; LLC "Imedi Clinic"; Tbilisi, Georgia

#### SUMMARY

Active detection of bacterial vaginosis (BV) during the first prenatal visit led to the formation of two clinical groups. Pregnant women in Group I (control group, n = 34) were treated according to the standard regimen (clindamycin + Gynoflor). In Group II (main group, n = 48), the same treatment regimen was supplemented with a vaginal form of vitamin C administered for 6 days.

Comparative analysis revealed the following: a) More frequent improvement in clinical and laboratory parameters in Group II; b) A lower recurrence rate of BV in Group II, manifested by a prolonged absence of complaints, persistently low vaginal pH, and sustained negative amine test results; c) A reduced risk of preterm labor in Group II.

These findings are presumably associated with firm preservation of the normal vaginal ecosystem induced by the vaginal application of vitamin C.

**Keywords:** vitamin C, bacterial vaginosis, treatment

საშოს ეკოსისტემის დარღვევის ყველაზე რეპროდუქციულ ფორმას მიეკუთვნება ბაქტერიული ვაგინოზი (ბვ), ან საშოს დისბაქტერიოზი. იგი წარმოადგენს ქალის სასქესო ტრაქტის ინფექციურ, არაანთებით პათოლოგიას, რომელიც ხასიათდება პირობით-პათოგენური მიკროორგანიზმების ძალზედ მაღალი კონცენტრაციით საშოში, რძემუჟავა ბაქტერიების (ლაქტობაქტერიების) რაოდენობის მკვეთრი შემცირების, თუ სრული გაქრობის ფონზე [10,11].

ცნობილია, რომ საშოს ეკოსისტემის დარღვევები (დისბიოზი) ასოცირებულია სხვადასხვა გესტაციურ, თუ პერინატალურ გართულებასთან [2,3,6], სახელდობრ, თვალსაჩინოა მყარი ასოციაციური კავშირი ბვ-ს და შემდეგ გართულებებს შორის: სანაყოფე სითხის არადროული დაღვრა, ნაადრევი მშობიარობა, ქორიოამნიონიტი, მშობიარობის შემდგომი ენდომეტრიტი. ბვ ასოცირებულია აგრეთვე სხვადასხვა გინეკოლოგიურ გართულებებთან [1,12].

მონოდებულია ბვ-ს მკურნალობის სხვადასხვა სქემები [7,9,13]. კვლევები ბვ-ს მკურნალობის რაციონალიზაციის კუთხით კვლავაც გრძელდება, სახელდობრ აქტიურად განიხილება Vit. „C“-ს დადებითი როლი ბვ-ს მკურნალობის პროცესში [4,5,8].

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა Vit. „C“-ს ეფექტურობის შეფასება, როგორც ბვ-ს მკურნალობის პროცესში, ასევე მისთვის დამახასიათებელი სპეციფიური გესტაციური

გართულებების პროფილაქტიკაში. კვლევის ობიექტს წარმოადგენდნენ ბგ-ს მქონე ორსულები ორსულობის I ტრიმესტრში (9კვ.-12კვ.).

ბგ-ს აქტიური გამოვლინება იწყებოდა პირველივე პრენატალური ვიზიტიდან. ბგ-ის სელექციური სკრინინგის პროცესში ძირითადად ვეყრდნობოდით ორსულის ჩივილებს და ანამნეზურ მონაცემებს. ჩივილებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა: წვა და ქავილი ვულვის არეში; ჭარბი, მონაცრისფრო ფერის გამონადენი საშოდან; არასასიამოვნო სუნის მქონე გამონადენი საშოდან. ანამნეზური მონაცემებიდან ვითვალისწინებდით შემდეგს: ვულვო-ვაგინალური ინფექციები (ბაქტერიული, სოკოვანი, ვირუსული); ბაქტერიული ვაგინოზი ორსულობამდე; ანამნეზში მცირე მენჯის ანთებითი დაავადებების და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების არსებობა; ანამნეზში ინფექციასთან ასოცირებული გესტაციური გართულებების არსებობა (თვითნებითი აბორტი, ნაადრევი მშობიარობა, სანაყოფე გარსების არადროული გახევა, ქორიოამნიონიტი, პუერპერალური ენდომეტრიტი).

აღსანიშნავია, რომ გამოსაკვლევი კონტიგენტის კომპლექტაციისას ძალზედ დაგვეხმარა აღნიშნული პათოლოგიის მქონე პაციენტებთან მუშაობის წინა წლებში დაგროვებული კლინიკური გამოცდილება და ბგ-ის მქონე პაციენტების ჩვენს მიერ შედგენილი რეგისტრი.

ბგ-ზე საეჭვო ჩივილების და/ან ანამნეზური მონაცემების დაფიქსირებისას გრძელდებოდა გამოკვლევა Amsel-ის კრიტერიუმების მიხედვით: ა) საშოს ექსუდატის PH-მეტრია; ბ) ამინოტესტი, 10% KOH-ის დამატებით; გ) საშოს ნაცხის მიკროსკოპიული გამოკვლევა (მათ შორის „საკვანძო უჯრედები“); დ) ბაქტერიოლოგიური კვლევა პრიორიტეტულად პირობით-პათოგენური მიკროფლორისა და ლაქტობაქტერიების კონცენტრაციის გამოსავლენად.

ჩატარებული სელექციური სკრინინგის საფუძველზე I პრენატალური ვიზიტის შემდეგ გამოვლინდა ბგ-ის 82 შემთხვევა. აქტიურად გამოვლენილი ბგ-ის მქონე ორსულებისგან დაკომპლექტდა 2 ჯგუფი. I (საკონტროლო) ჯგუფის ორსულებს (34) უტარდებოდათ მკურნალობა დღესდღეობით ყველაზე აპრობირებული სქემით [კლინდამიცინის 2% მაღამო - 1 აპლიკატორი (5გ.), ვაგინალურად დღეში ერთჯერ, ძილის წინ, 7 დღის განმავლობაში; შემდეგ გინოფლორი, ვაგინალურად 1 აბი ერთჯერ დღეში ძილის წინ, 6 დღის განმავლობაში]. II (ძირითადი) ჯგუფის ორსულებში (48) მკურნალობა იწყებოდა იგივე სქემით, რომლის ჩამთავრებისთანავე დამატებით გამოიყენებოდა Vit. „C“-ს ვაგინალური ფორმა [Vit. „C“-ს ვაგინალური აბი (Vagi-C), 250მგ.; ერთჯერ დღეში ძილის წინ, 6 დღის განმავლობაში].

თითოეულ ჯგუფში ჩატარებული მკურნალობის ეფექტურობის შედარებითი ანალიზი გულისხმობდა შემდეგი კლინიკურ-ლაბორატორიული მონაცემების დინამიკის შესწავლას: ა) წვა და ქავილი ვულვის არეში; ჭარბი, მონაცრისფრო ფერის გამონადენი საშოდან; ბ) საშოს ექსუდატის PH-მეტრია; გ) ამინოტესტი-10% KOH-ის დამატებით; დ) U, V, C ნაცხის მიკროსკოპიული გამოკვლევა (მათ შორის „საკვანძო უჯრედები“); ე) ბაქტერიოლოგიური კვლევა პრიორიტეტულად პირობით-პათოგენური მიკროფლორისა და ლაქტობაქტერიების კონცენტრაციის გამოსავლენად. შედარებითი ანალიზი მოიცავდა აგრეთვე რეციდივებისადმი მიდრეკილების და გესტაციური გართულებების დადგენას.

აღნიშნული კლინიკურ-ლაბორატორიული მონაცემების დინამიკა ფასდებოდა მკურნალობის დაწყებიდან 3 კვირის შუალედში. ამასთან ერთად ხდებოდა ორივე ჯგუფში „ეფექტურად ნამკურნალევი“ პაციენტების განმეორებითი ტესტირება 3 თვის შემდგომ, შესაძლო რეციდივების გამოვლენის მიზნით. პარალელურად მიმდინარეობდა ორივე ჯგუფში მოდალური გესტაციური გართულებების (გვიანი თვითნებითი აბორტი, ნაადრევი მშობიარობა) სიხშირის დადგენა.

ჯგუფებს შორის სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით სხვაობის სტატისტიკური დამაჯერებლობა ფასდებოდა სტიუდენტის კრიტერიუმის და  $\chi^2$ -ის მიხედვით.

მკურნალობის ფონზე კლინიკური ჩივილების (წვა და ქავილი ვულვის არეში) კუპირება მოხდა I ჯგუფში 27 (79,4%) შემთხვევაში, II ჯგუფში 42 (87,5%) შემთხვევაში ( $t=0,86$ ;  $P>0,05$ ). დიდი რაოდენობით მონაცრისფრო ფერის გამონადენი საშოდან შეუწყდა I ჯგუფის 25 (73,5%) პაციენტს, II ჯგუფის 41 (85,4%) პაციენტს ( $t=1,12$ ;  $P>0,05$ ). საშოს შიგთავსის PH < 4,5 დაფიქსირდა I ჯგუფის 29 (85,2%) შემთხვევაში, II ჯგუფის 46 (95,8%) პაციენტში ( $t=1,44$ ;  $P>0,05$ ). ამინოტესტი გახდა უარყოფითი I ჯგუფის 28 (82,4%) ქალში, II ჯგუფის 46 (95,8%) პაციენტში ( $t=1,7$ ;  $P>0,05$ ). საშოს ნაცხის მიკროსკოპული კვლევით „საკვანძო უჯრედების“ გაქრობა I ჯგუფში დაფიქსირდა 27 (79,4%) შემთხვევაში, II ჯგუფში 44 (91,7%) შემთხვევაში ( $t=1,37$ ;  $P>0,05$ ). ბაქტერიოლოგიური კვლევით ლაქტობაქტერიების უპირობო დომინირება (*Lactobacillus* spp. შეადგენს საერთო ბაქტერიული მასის  $\geq 80\%$ ) გამოვლინდა I ჯგუფის 30 (88,2%) პაციენტში, II ჯგუფის 47 (97,9%) პაციენტში ( $t=1,5$ ;  $P>0,05$ ).

„ეფექტურად ნამკურნალევი“ პაციენტების 3 თვის შემდგომ ჩატარებული განმეორებითი ტესტირებით აღმოჩნდა, რომ კლინიკური ნიშნების მიხედვით რეციდივი აღინიშნა I ჯგუფის 7 შემთხვევაში 27 განკურნებულიდან. II ჯგუფში რეციდივი გამოვლინდა 2 შემთხვევაში 42 განკურნებულიდან ( $t=1,99$ ;  $P<0,05$ ).

სხვადასხვა ლაბორატორიული მონაცემის მიხედვით გამოვლინდა შემდეგი ცვლილებები: ა) საშოს შიგთავსის PH>4,5 – I ჯგ. – 8 შემთხვევაში 29 განკურნებულიდან; II ჯგ. – 2 შემთხვევაში 46 განკურნებულიდან ( $t=2,22$ ;  $P<0,05$ ); ბ) დადებითი ამინოტესტი – I ჯგ. – 9 ქალში 28 განკურნებულიდან; II ჯგ. – 3 პაციენტში 46 განკურნებულიდან. ( $t=2,20$ ;  $P<0,05$ ). გ) „საკვანძო უჯრედების“ არსებობა – I ჯგ. – დაფიქსირდა 8 პაციენტში 27 განკურნებულიდან; II ჯგ. – 8 შემთხვევაში 44 განკურნებულიდან ( $t=0,91$ ;  $P>0,05$ ). დ) ლაქტობაქტერიები < 40% საერთო ბაქტერიული მასისა – I ჯგ. – 8 შემთხვევაში 30 განკურნებულიდან; II ჯგ. – 6 პაციენტში 47 განკურნებულიდან ( $t=1,26$ ;  $P>0,05$ ).

გვიანი აბორტის (13კვ. – 22კვ.) სუმარული სიხშირე I ჯგუფში შეადგენდა 14,71%-ს, ხოლო II ჯგუფში – 14,58%-ს. ( $P>0,05$ ). ნაადრევი მშობიარობის საერთო სიხშირე I ჯგუფში შეადგენდა 23,53%-ს, ხოლო II ჯგუფში იგივე გართულება დაფიქსირდა 4,17%-ში ( $t=2,15$ ;  $P<0,05$ ).

კვლევის პროცესში ჩატარებულმა შედარებითმა ანალიზმა აჩვენა შემდეგი:

- ძირითად ჯგუფში აღინიშნებოდა კლინიკურ-ლაბორატორიული პარამეტრების უფრო პოზიტიური დინამიკა საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, თუმცა განსხვავება არ იყო სტატისტიკურად სარწმუნო, სავარაუდოდ ეს უნდა აიხსნას საკვლევი პოპულაციის არასათანადო მოცულობით.
- 3 თვის ინტერვალით ჩატარებულმა კლინიკურ-ლაბორატორიულმა მონიტორინგმა გამოავლინა: საკონტროლო ჯგუფში ზოგადად რეციდივის უფრო მაღალი სიხშირე ძირითად ჯგუფთან შედარებით. სახელდობრ, ეს უკანასკნელი აისახა რეკურენტულ სპეციფიურ ჩივილებზე (წვა/ქავილი ვულვის არეში; დიდი რაოდენობით მონაცრისფრო ფერის გამონადენი საშოდან), აგრეთვე დადებით ამინოტესტზე და საშოს PH-ის ზრდაზე.
- საკონტროლო ჯგუფში აღინიშნა ამავე დროს ნაადრევი მშობიარობის უფრო მაღალი სიხშირე ძირითად ჯგუფთან შედარებით, რაც სავარაუდოდ უკავშირდება ბვ-ის რეციდივირების უფრო მაღალ პოტენციალს.

ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი დასკვნები:

- 1) ბვ-ის მკურნალობის სქემაში ვაგინალური Vit. „C“-ს ჩართვა (Vagi-C) ასოცირებულია კლინიკურ-ლაბორატორიული პარამეტრების უფრო საგრძნობი გაჯანსაღების ტენდენციასთან.

- 2) ორსულობის I ტრიმესტრში ბგ-ს მკურნალობის მოდიფიცირებული სქემის გამოყენება (დამატებით ვაგინალური Vit. „C“-ს ჩართვა) იწვევს შემდომში ბგ-ის რეციდივის შემცირებას, რაც უმთავრესად ვლინდება კლინიკური სიმპტომების არარსებობით, აგრეთვე საშოში მჟავე არის შენარჩუნებით და უარყოფითი ამინოტესტით.
- 3) ორსულობის I ტრიმესტრში ბგ-ის მკურნალობის მოდიფიცირებული სქემის გამოყენება იწვევს ნაადრევი მშობიარობის რისკის შემცირებას. სავარაუდოდ ეს უკავშირდება საშოს ნორმალური ეკოსისტემის მდგრად შენარჩუნებას ორსულობის პროცესში, რაც თავის მხრივ ინდუცირებულია საშოს პერსისტირებადი აციდიფიკაციით და ბგ-ს რეციდივირების მინიმზაციით.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Atashili j. et al., Bacterial vaginosis and HIV acquisition: a metaanalysis of publ. studies. AIDS. 2008; 22:1493-1501.
2. Crane j. M.G., Moge L.A., et al. Maternal and perinatal outcomes of pregnancies delivered at 23 weeks` gestation. „j. Obstet. Gynecol. Can“ 2015; 37:214-24
3. Goldenberg R. j. et al. Epidemiology and causes of preterm birth. „Lancet“, 2008; 371 (9606): 75-84.
4. Khaikin Y., Elangainesan P., et al. Intravaginal Vitamin C for the Treatment and Prevention of Bacterial Vaginosis: Systematic Review and Meta-analysis. „Obstet. Gynecol.“, 2025 (ahead of print).
5. Krasnopolsky VN., Prilepskaya VN., et al. Efficacy of vitamin c vaginal tablets as prophylaxis for recurrent bacterial vaginosis: a randomized, double-blind, placebo-controlled clinical trial. „j. Clin. Med. Rev.“, 2013; 5(4): 309-315.
6. Mercer B.M. Preterm premature rupture of the membranes. „Obstet. Gynecol“, 2003; 101:178-93.
7. Ozkinay E., Terek M.C., et al. The effectiveness of live lactobacilli in combination with low dose estriol (Gynoflor) to restore the vaginal flora after treatment of vaginal infections. BJOG, 2005;112(2):234-40.
8. Petersen E.E., Genet M., et al. Efficacy of Vitamin C vaginal tablets in the treatment of bacterial vaginosis: a randomized, double-blind, placebo-controlled clinical trial. „Arzneimittelforschung“, 2011; 61(4): 260-265.
9. Santiago G., Grob P., et al. Susceptibility testing of Atopobium vaginae for dequalinium chloride. BMC Res. Notes. 2012;5:151.
10. Sobei j. Bacterial vaginosis: treatment. Up To Date; 2014.
11. The cervix, vagina, vulva, physiology, pathology, colposcopy, aesthetic correction: a guide for practitioners; Edited by S.I. Rogovskaya, E.V. Lipova. Moscow: publishing house of the journal status Praesens; 2014, 250p.
12. Van de Wilgert j. H., Morison C.S., et al. Bacterial vaginosis and vaginal yeast, but not vaginal cleansing; increase HIVI acquisition in African women. „J. Acquir. Immune. Defc. Syndr.“ 2008;48:203-209.
13. Weissebacher E.R., Donders G., et al. A comparsion of dequalinium chloride vaginal tablets (Fluomizin) and clindamycin vaginal cream in the treatment of bacterial vaginosis: a single-blind, randomized clinical trial of efficacy and safety. „Gynecol. Obstet. Invest.“ 2012; 73(1):8-15.

*კონსტანტინე ხარაბაძე, ზაზა ბოხუა, დავით კობეშვიძე*  
**ვიტამინ „C“-ს გამოყენება ბაქტერიული ვაგინოზის მკურნალობის პროცესში**  
 თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; შ.პ.ს. „იმედის კლინიკა“;  
 თბილისი, საქართველო

#### რეზიუმე

აქტიურად გამოვლენილი ბაქტერიული ვაგინოზის (ბგ) მქონე ორსულებისგან დაკომპლექტდა 2 ჯგუფი. I (საკონტროლო) ჯგუფის ორსულებს (34) უტარდებოდათ მკურნალობა ყველაზე აპრობირებული სქემით (კლინდამიცინი და გინოფლორი ვაგინალურად). II (ძირითადი)

ჯგუფის ორსულებში (48) აღნიშნულ სქემას ემატებოდა Vit. „C“ - ვაგინალურად, 6 დღის განმავლობაში.

შედარებითი ანალიზის საფუძველზე ძირითად ჯგუფში (საკონტროლო ჯგუფთან შედარებით) გამოვლინდა კლინიკურ-ლაბორატორიული მონაცემების უფრო ხშირი გაუმჯობესება. ამასთან აღინიშნა ბგ-ს რეციდივირების გაიშვიათება, რაც გამოიხატებოდა ჩივილების მყარი კუპირების, საშოს დაბალი PH-ის პერსისტირების და უარყოფითი ამინოტესტის შენარჩუნების სახით. ძირითად ჯგუფში ასევე დაფიქსირდა ნაადრევი მშობიარობის რისკის შემცირება, რაც სავარაუდოდ უკავშირდება C ვიტამინით გამონვეულ საშოს ნორმალური ეკოსისტემის მდგრად შენარჩუნებას.



IRAKLI POPKHADZE<sup>1</sup>, TEIMURAZ MOSIAVA<sup>2</sup>, TEONA LAZISHVILI<sup>1</sup>,  
MANANA GOBEJISHVILI<sup>1</sup>, DAVIT ABRAMISHVILI<sup>1</sup>

### DIABETIC ANGIOPATHY-RELATED CHRONIC LIMB-THREATENING ISCHEMIA: REVASCLARIZATION STRATEGIES AND DUAL ANTITHROMBOTIC THERAPY

<sup>1</sup>Tbilisi Heart Center; <sup>2</sup>National Center of Surgery; Tbilisi, Georgia

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.06>

ირაკლი ფოფხაძე<sup>1</sup>, თეიმურაზ მოსიავა<sup>2</sup>, თეონა ლაზიშვილი<sup>1</sup>,  
მანანა გობეჯიშვილი<sup>1</sup>, დავით აბრამიშვილი<sup>1</sup>

**დიაბეტური ანგიოპათიით გამონვეული კიდურის ქრონიკული იშემია:**

**რევასკულარიზაციის სტრატეგიები და ორმაგი ანტითრომბოზული თერაპია**

<sup>1</sup>თბილისის გულის ცენტრი; <sup>2</sup>ქირურგიის ეროვნული ცენტრი; თბილისი, საქართველო

#### რეზიუმე

სტატიაში განხილულია დიაბეტური ანგიოპათიით გამონვეული კიდურის ქრონიკული იშემიის პათოფიზიოლოგიური მექანიზმები, რევასკულარიზაციის თანამედროვე მიდგომები და ორმაგი ანტითრომბოზული თერაპიის როლი პაციენტის პოსტოპერაციულ მართვაში. აღწერილია, რომ დიაბეტურ პაციენტებში არტერიული დაზიანება გამოირჩევა დისტალური, მრავალსეგმენტური და დიფუზური ხასიათით, ენდოთელური დისფუნქციით, მიკროცირკულაციის დარღვევითა და მომატებული თრომბოზული აქტივობით, რაც მნიშვნელოვნად ზრდის რესტენოზისა და რეოკლუზიის რისკს. განხილული თანამედროვე მტკიცებულებები მიუთითებს, რომ რევასკულარიზაციასთან ერთად ანტითრომბოციტული პრეპარატის და დაბალი დოზის ანტიკოაგულანტის კომბინირებული გამოყენება აუმჯობესებს სისხლძარღვოვან გამავლიანობას, ამცირებს მწვავე იშემიური მოვლენებისა და განმეორებითი ჩარევის საჭიროებას. ამასთანავე, ხაზგასმულია სისხლდენის რისკის ინდივიდუალური შეფასების აუცილებლობა და პერსონალიზებული თერაპიული მიდგომის მნიშვნელობა მაღალი რისკის მქონე პაციენტებში.

#### 1. Introduction

Diabetes mellitus has a high prevalence worldwide and remains important challenge for healthcare systems. It is related to many complications that increase cardiovascular morbidity and mortality. Among its most dangerous complications is diabetic angiopathy, a complex vascular disorder that affects both macrovascular and microvascular beds. Diabetic angiopathy significantly accelerates the development of peripheral arterial disease (PAD). In patients with diabetes, PAD often progresses to chronic limb-threatening ischemia (CLTI), the most severe clinical manifestation of lower-extremity ischemia, associated with high risks of limb loss, disability and death [1,2].

There is a big difference between Diabetic angiopathy-related CLTI and PAD in non-diabetic patients (Table #1). Diabetic angiopathy-related CLTI is characterized by diffuse, multilevel, distal arterial involvement. In most cases collateral circulation is not well-developed, there is endothelial dysfunction, and a prothrombotic state. In addition, diabetic neuropathy frequently masks ischemic pain, leading to delay of diagnosis and patients come at the clinic at advanced stages, when non-healing ulcers, infection, or gangrene will be developed. These factors can worsen prognosis, cause higher rates of amputation, and generally they can increase healthcare load in diabetic populations [3].

Peripheral arterial revascularization is the most important procedure for prevention of poor outcomes in CLTI and is recommended by new guidelines whenever technically possible. **Both endovascular and open surgical approaches** are beneficial in treatment of complex lesions. However, despite technical success, post-revascularization outcomes in diabetic patients remain suboptimal, because there is described high rates of complications - restenosis, reocclusion, and recurrent ischemic events. This indicates the importance of medical therapy for improving vascular health and preventing thrombotic complications.

Antithrombotic therapy plays a crucial role in the management of patients after peripheral revascularization. Traditionally, antiplatelet therapy with aspirin alone or in combination with a P2Y12 inhibitor has been the standard approach. Diabetes itself is associated with increased platelet activity, hypercoagulation, and endothelial dysfunction. These factors may limit the effectiveness of antiplatelet monotherapy. Recent clinical researches have suggested that a dual-antithrombotic therapy may provide superior protection against thrombotic complications in patients with PAD, including those underwent revascularization.

Despite increasing interest in dual antithrombotic therapy, its role in diabetic angiopathy-related CLTI is not well understood. Key questions exist about patient selection, comparative effectiveness versus standard antiplatelet regimens, safety and bleeding risk, also potential difference between type 1 and type 2 diabetic patients. Answers on these questions are very important for maintenance balance between thrombosis and bleeding in this high-risk population.

Therefore, our study goal is evaluation of revascularization strategies in patients with diabetic angiopathy-related CLTI and assessment of the clinical impact of dual antithrombotic therapy compared with traditional single antiplatelet treatment. By focusing on thrombotic outcomes, limb salvage, and safety, this work seeks to contribute to evidence-based optimization of post-revascularization strategies and to support a personalized therapeutic management for patients with diabetic CLTI [4].

**Table #1 - Key Differences Between Diabetic and Non-Diabetic CLTI**

Feature	Diabetic CLTI	Non-Diabetic CLTI
Arterial involvement	Diffuse, multilevel, predominantly distal (infrapopliteal, pedal)	More proximal, mainly segmental
Medial arterial calcification	Common (Monckeberg's sclerosis)	Rare
Collateral formation	Impaired	Mainly preserved
Microvascular dysfunction	Prominent	Limited
Neuropathy	Frequent (masks ischemic pain)	Rare
Wound healing	Delayed	Relatively preserved
Thrombotic risk	High	Moderate
Restenosis after revascularization	High	Lower
Amputation risk	Significantly increased	Lower

## 2. Pathophysiology of Diabetic Angiopathy


Diabetic angiopathy is a complex and multifactorial vascular disorder that develops as a result of chronic hyperglycemia and metabolic dysregulation in diabetes mellitus. It affects both macrovascular and microvascular circulation and plays a central role in the development of peripheral arterial disease (PAD) and chronic limb-threatening ischemia (CLTI). The pathophysiology of diabetic angiopathy involves a dynamic interaction between endothelial dysfunction, inflammation, oxidative stress, coagulation abnormalities, and structural remodeling of the vascular wall (Figure #1).

**Hyperglycemia-Induced Endothelial Dysfunction.** Endothelial dysfunction is one of the earliest events in diabetic angiopathy. Chronic hyperglycemia causes excessive glucose uptake by endothelial cells, activates several biochemical pathways, including the polyol pathway, protein kinase C (PKC) pathway, and the hexosamine pathway. These processes can lead to dysregulation of endothelial homeostasis and impairment of vasodilatory capacity [5].

A key factor of endothelial dysfunction is decreased bioavailability of nitric oxide (NO), a critical regulator of vascular tone, platelet inhibition, and anti-inflammatory signaling. Hyperglycemia increases oxidative stress through the overproduction of reactive oxygen species (ROS). ROS can inactivate NO and cause vasoconstriction [6,7]. Simultaneously, overexpression of vasoconstrictive mediators such as endothelin-1 aggravates microvascular and macrovascular perfusion problems.

Endothelial dysfunction also increases vascular permeability and leukocyte adhesion through upregulation of adhesion molecules, including VCAM-1, ICAM-1, and selectins. This maintains chronic vascular inflammation, a hallmark of diabetic angiopathy.

**Figure #1 - Pathophysiology and Therapeutic Targets in Diabetic CLTI**



**Advanced Glycation and Vascular Injury.** Advanced glycation end products (AGEs) play an important role in the development and progression of diabetic angiopathy. AGEs are formed through non-enzymatic glycation of proteins, lipids, and nucleic acids during long-term hyperglycemia. Storage of AGEs within the blood vessel's wall impairs the structural integrity of extracellular matrix proteins like collagen and elastin, as a result arterial compliance will be decreased due to wall stiffness [8].

Interaction of AGEs with their cellular receptor (RAGE) activates multiple intracellular signaling cascades, including nuclear factor kappa B (NF- $\kappa$ B), which activates inflammatory gene expression. This is the key factor in endothelial activation, smooth muscle cell proliferation, and oxidative stress formation. In diabetic patients, AGE–RAGE signaling leads to development and progression of atherosclerosis [6,7,8].

**Oxidative Stress and Chronic Inflammation.** Oxidative stress is tightly linked to hyperglycemia and has a crucial role in vascular pathology. Excess ROS production in diabetes is a result of mitochondrial dysfunction, NADPH oxidase activation, and insufficient antioxidant pathways. Oxidative stress damages vascular endothelial cells, changes intracellular signaling, and alleviates lipid oxidation, finally it accelerates atherogenesis [9].

Oxidative stress is always accompanied by chronic low-grade inflammation in diabetic angiopathy. Elevated levels of inflammatory cytokines in the bloodstream- tumor necrosis factor- $\alpha$  (TNF- $\alpha$ ), interleukin-6 (IL-6), and C-reactive protein- lead to endothelial dysfunction and atherosclerotic plaque instability. Macrophage infiltration of the vascular wall accentuates inflammation and enhances formation of unstable atherosclerotic plaques, particularly in lower-extremity arteries, distal to the popliteal [8,9].

**Smooth Myocytes Dysfunction and Vascular Remodeling.** Diabetes mellitus affects vascular smooth muscle cell (VSMC) physiology. Hyperglycemia and inflammatory cytokines stimulate VSMC migration and proliferation from the media into the intima, causing intimal hyperplasia and progressive vasoconstriction. This process is especially sped up after vascular bed injury or revascularization procedures, leads to restenosis and reocclusion [10].

Structural remodeling in diabetic angiopathy includes medial calcification (Monckeberg sclerosis), which is highly prevalent in diabetic patients. Medial arterial calcification increases arterial wall stiffness, reduces arterial compliance, and impairs normal hemodynamic regulation. Calcification makes it more difficult to diagnose angiopathy by using of classic methods, including pressure-based ankle–brachial index.

**Prothrombotic State and Coagulation Abnormalities.** A classic feature of diabetic angiopathy is a persistent hypercoagulation state. Diabetes is associated with increased platelet aggregation, and unresponsiveness to endogenous antithrombotic mechanisms. Platelets in diabetic patients characterized by overexpression of surface adhesion molecules and increased sensitivity to agonists, lead to thrombus formation [10,11].

In diabetic angiopathy coagulation cascade is dysregulated, because levels of fibrinogen, factor VII, and plasminogen activator inhibitor-1 (PAI-1) are increased. Additionally leading fibrinolysis process is impaired. After endothelial injury subendothelial procoagulant surface exposure promotes thrombin overproduction. These significantly increase the risk of acute thrombosis, graft failure, and reocclusion after peripheral revascularization [12].

**Microvascular Dysfunction and Impaired Tissue Perfusion.** Diabetic angiopathy is associated with not only macrovascular disorder, but also microvascular bed dysfunction. Capillary basement membrane will become thicker, pericytes will be lost, and autoregulation processes won't be sufficient – these reduce tissue perfusion even in the presence of intact large arteries [13]. This phenomenon is effective answer why some diabetic patients suffer from ischemic ulcers despite adequate macrovascular flow.

Microvascular impairment also impairs oxygen diffusion and nutrient delivery, results in wound healing and increased vulnerability to infection. In the context of CLTI, combined macrovascular obstruction and microcirculatory failure create a big imbalance between tissue metabolic demand and blood supply, contribute to development of necrosis and limb loss.

**Integration into CLTI Pathogenesis.** The processes of endothelial dysfunction, atherosclerosis, vascular calcification, inflammation, thrombosis, and microvascular failure result in the development of diabetic angiopathy-related CLTI. Compared with non-diabetic patients, individuals with diabetes are under the higher risk of earlier onset, more diffuse arterial disease, poorer collateralization, and reocclusion after intervention. These pathophysiological features explain the poorer outcomes observed in diabetic CLTI and underline the need for complex treatment strategies after mechanical revascularization.

Understanding the complex pathophysiology of diabetic angiopathy gives us a biological logic explanation for combined therapeutic management, including aggressive risk-factor modification, revascularization, and optimized antithrombotic therapy. Such an integrated strategy is crucial to improve limb saving and life survival percentage in this population [14].

### 3. Revascularization in Diabetic CLTI

Revascularization stays as the central procedure for limb salvage in patients with chronic limb-threatening ischemia (CLTI). It is particularly essential in the setting of diabetic angiopathy. The primary goal of the revascularization procedure is to restore blood flow to ischemic tissues, accelerate wound healing, alleviate ischemic pain, and prevent major complications, including amputation. However, revascularization in diabetic CLTI is widely challenging due to diffuse arterial disease, distal vessel involvement, impaired collateral circulation, and a high thrombotic and inflammatory activity (Table #2).

**Table #2 - Revascularization Approaches in Diabetic CLTI**

Strategy	Advantages	Limitations
Endovascular (PTA, DCB, stents)	Minimally invasive, repeatable, lower perioperative risk	High restenosis, limited duration in long calcified lesions
Surgical bypass	Durable patency with good conduit	Higher perioperative risk, wound complications
Infrapopliteal intervention	Targets distal disease	Technical complexity
Angiosome-guided revascularization	Improved wound healing	Not always anatomically feasible
Hybrid procedures	Anatomical flexibility	Requires expertise

**Reasons and Objectives of Revascularisation.** CLTI is associated with higher likelihood of amputation and death in diabetic patients if it is left untreated. Modern guidelines suggest revascularization as long as it is anatomically possible and clinically indicated. Revascularization does not focus only on angiographic success, but also includes restoration of tissue perfusion, saving of the limb, and functional recovery. Whereas intermittent claudication seeks to relieve symptoms initially (if there is relief from pain), revascularization in CLTI is motivated by limb-threatening pathology including rest pain, non-healing ulcers, and gangrene. In diabetic patients, slight improvements in perfusion may still be enough to help in wound healing. This suggests that personalized treatment approach is necessary for all individuals and it's a part of patient-centered understanding of the disease [15].

**The anatomical and pathophysiological challenges in diabetes.** Diabetic CLTI is well-recognized, multilevel atherosclerotic disease with high rate of toward infrapopliteal and pedal arteries involvement. Lesions are typically long, calcified and occlusive, it compresses multiple segments at the same time. Medial arterial calcification, common in diabetes, aggravates arterial stiffness and complicates diagnostic examination and interventional assessment. Indeed, diabetic patients often have poor collateral circulation

and concurrent microvascular dysfunction. Therefore, good proximal revascularization not always is successful in restoration of appropriate tissue-level perfusion. Therefore, distal and focused revascularization techniques are more relevant. These anatomical and physiologic factors predispose to higher technical complexity, restenosis and reocclusion rates when compared to non-diabetic patients.

**Top-line and endovascular revascularization strategies.** Due to its minimally invasive nature and a lower perioperative risk profile of endovascular therapy in patients with CLTI (clinical and non-clinical), it is the predominant first-line revascularization type in many patients with diabetes. Most techniques include percutaneous transluminal angioplasty, drug-coated balloons, stent implantation, and atherectomy, typically used in conjunction with these method for management of complex lesions. For diabetic CLTI, the primary distal disease makes infrapopliteal endovascular interventions highly relevant. Due to new developments in device technology and imaging treatment of long and calcified lesions is easier than before. Restenosis, however, still represents a key complication, related to intimal hyperplasia and persistent inflammatory and thrombotic activity. However, endovascular revascularization has advantages in the diabetic patient in terms of less surgical trauma, less general anesthesia, and the prospect of subsequent procedures. These considerations are especially helpful in patients with multiple comorbid conditions and low physiologic reserve [16].

**Surgical Revascularization.** Open surgical revascularization (often via bypass graft) still is an important therapy in certain cases of diabetic CLTI, especially where endovascular therapy is not possible to do or has become ineffective. Although surgical revascularization in diabetic patients translates to a higher perioperative risk, such as wound complications, infection and cardiovascular events. Finally, combination of careful patient selection and multidisciplinary decisions should be taken for an open surgery.

Angiosome-Mediated and Targeted Refocusing.

Angiosome-guided revascularization is becoming a leader strategy in diabetic CLTI. This approach is to get direct arterial inflow back to the particular blood region which is delivering the wound or ischemic site. A number of articles have noted better wound healing and increased limb saving rates with direct revascularization as opposed to indirect collateral-based perfusion, especially in diabetic individuals when microvascular reserves are limited. However, angiosome-assisted revascularization is not always beneficial and technically possible procedure based on anatomical limitations. In these exact cases, if it can deliver any inline flow to the foot, it could still be used in treatment. Therefore, strategies of revascularization should consider anatomical variability and physiological reserves [17].

**Results and Constraints of Revascularization in Diabetic CLTI.** While revascularization provides benefits in limb-saving process relative to conservative management, end results in diabetic CLTI still remain unclear compared to non-diabetic patients. The rates of restenosis, reocclusion and repeat intervention are higher which suggests that diabetic vascular disease has a complex pathophysiology. Furthermore, revascularization alone is not enough to reduce hypercoagulation or inflammation. Nowadays multimodal management of post-revascularization condition, including strict glycemic control, aggressive cardiovascular modulations, wound care optimization, and appropriate antithrombotic therapy. The benefits of revascularization without such a broad approach may not be clinically enough.

**Integration of Revascularization into Multimodal Care.** Revascularization must be considered one aspect of a larger, multidisciplinary approach to diabetic CLTI therapy. Main goal by revascularization will be best achieved when revascularization used in conjunction with medical therapy, infection control and close follow-up. Collaboration between vascular specialists, endocrinologists, foot care specialists, and wound care teams is required to help improvement condition of this population.

#### 4. Dual Antithrombotic Therapy

Diabetic chronic limb-threatening ischemia (CLTI) patients are a disproportionately high-risk cohort for thrombotic complications. These patients have predisposition to acute thrombosis, restenosis, and reocclusion after peripheral revascularization. As a result, antithrombotic therapy optimization is an essential consideration for post-revascularization diabetic CLTI. Because of its complex pathophysiological nature of thrombotic events in diabetic patients treatment with antiplatelet alone is not enough in most cases. Conceptually, combined antiplatelet treatment with a low-dose anticoagulant (dual antithrombotic therapy) is therefore attractive, as it attacks the complementary aspects of thrombus occurrence.

T მარეგულირებელი უჯრედები (Treg) T დამხმარე უჯრედების (Th) სუბკლასს წარმოადგენენ და განაპირობებენ იმუნური სისტემის მოლულაციას - საკუთარი ანტიგენების მიმართ ტოლერანტობის შენარჩუნებას. მათ ჩვეულებრივ ახასიათებთ იმუნომასუპრესირებელი მოქმედება და ეფექტორული T უჯრედების აქტიურობის დაქვეითება [3]. ფსორიაზის იმუნოპათოგენეზის წარმართვაში მონაწილეობენ მარეგულირებელი T უჯრედების სხვადასხვა ქვეტიპები: მათ შორის აღსანიშნავია Th17, Th22 და Th9 უჯრედები. მათი მნიშვნელობა იზრდება, რადგან ისინი ჩართული არიან IL-23/Th17 ღერძის რეგულირებაში, რომელიც აკონტროლებს ფსორიაზული კერების პროანთებით რგოლს. ეს უკანასკნელი რეგულატორი T უჯრედების გარდა მოიცავს კერატინოციტებს, დენდრიტულ უჯრედებსა და  $\gamma\delta$  T უჯრედებს. IL-23/Th17 ღერძი განაპირობებს ფსორიაზულ კერებში ანთების შენარჩუნებას.

T-ლიმფოციტები, ნეიტროფილები და დენდრიტული უჯრედები არიან ის ძირითადი უჯრედული კომპონენტები, რომლებიც მონაწილეობენ ფსორიაზის პათოგენეზში. აღნიშნული იმუნური უჯრედები მიგრირებენ ღერძიდან ეპიდერმისში და გამოყოფენ ანთების ქიმიურ მედიატორებს.

ფსორიაზის ტიპური გამონაყარის ელემენტს წარმოადგენს მონითალო შეფერილობის, მკვეთრად შემოსაზღვრული მოვერცხლისფრო - თეთრი ფერის ქერცლით დაფარული პაპულა. დაავადებისათვის დამახასიათებელია ე.წ. „ფსორიაზული ტრიადა“, რაც მოიცავს ფარული აქერცვლის, ტერმინალური აპკისა და წერტილოვანი სისხლდენისა ნიშნებს. არსებობს ფსორიაზის კლასიფიკაციის რამდენიმე ვარიანტი. ფიცპატრიკის კლასიფიკაციით გამოიყოფა ფსორიაზის ორი ძირითადი ჯგუფი: ვულგარული ფსორიაზი და ფსორიაზული ერთროდერმია [4].

#### **ვულგარული ფსორიაზის სახეებია:**

- მწვავე წვეთოვანი ფსორიაზი
- ქრონიკული ბალთოვანი ფსორიაზი
- კანის ნაოჭების ფსორიაზი
- ხელისა და ფეხის გულების ფსორიაზი.

#### **ფსორიაზული ერთროდერმიის ფორმებია:**

- გენერალიზებული პუსტულოზური ფსორიაზი (ცუმბუშის)
- ხელისა და ფეხის გულების პუსტულოზური ფსორიაზი (ბარბერის)
- ალოპოს პუსტულოზური აკროდერმატიტი.

#### **სხვა კლასიფიკაციით გამოიყოფა ფსორიაზის 5 ძირითადი ფორმა [5]:**

- ვულგარული, ანუ ბალთოვანი ფსორიაზი
- წვეთოვანი ფსორიაზი, ნაოჭების ფსორიაზი
- პუსტულოზური ფსორიაზი
- ფსორიაზული ერთროდერმია.

ვულგარული ფსორიაზი, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც ბალთოვანი ფსორიაზი, არის ფსორიაზის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა (85-90%). დაავადების ტიპურ გამოვლინებას წარმოადგენს მკვეთრად შემოსაზღვრული, მონითალო ელფერის ბალთა, რომელიც დაფარულია მოთეთრო-მოვერცხლისფრო ფერის ქერცლით. ბალთები ძირითადად ლოკალიზებულია იდაყვების, მუხლების, თავის თმიანი არის, ჭიპისა და წელის არეში [6]. ხშირად ფსორიაზული პაპულები ერთიანდებიან და ქმნიან დიდი ზომის ბალთებს, რაც კანზე ქმნის გეოგრაფიული რუკის სურათს, სხვადასხვა ფორმის კერებით. ხშირად გამოხატულია მკვეთარი

ინფილტრაცია და ჰიპერკერატოზი, ანთების ნიშნებით. პუსტულოზური ფსორიაზი ხასიათდება სტერილური პუსტულების არსებობით თავდაპირველად ხელისა და ფეხის გულებზე, რომლებიც შემდგომ ვრცელდებიან მთელს სხეულზე, პუსტულებს აქვთ ეპიდერმისში ღრმა მდებარეობა.

ფსორიაზზე ჩატარებული კვლევების სიმრავლემ, მკვეთრად გააუმჯობესა დაავადების მართვის შესაძლებლობა. მოლეკულური ბიომარკერების კვლევა დღესაც აქტიურად გრძელდება და ფოკუსირებულია იმ გზების გამოვლენაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ კანის ქრონიკულ ანთებას, უჯრედულ ინფილტრაციასა და კერატინოციტების დისრეგულირებულ პროლიფერაციას.

ნეიტროფილურ-ლიმფოციტური ინდექსი - NLR, რომელიც ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა, მარტივად გამოთვლადი, არაინვაზიური ჰემატოლოგიური პარამეტრია, რომელიც აქტიურად გამოიყენება კლინიკურ პრაქტიკასა და სამეცნიერო კვლევებში, როგორც ანთებითი და იმუნური პასუხის არაპირდაპირი ინდიკატორი. NLR- ინდექსი გამოითვლება სისხლის ფორმულაში არსებული ნეიტროფილებისა და ლიმფოციტების აბსოლუტური რაოდენობის თანაფარდობით, არ საჭიროებს დამატებით ფინანსურ დანახარჯს ან სპეციფიკურ რეაქტივებს, რაც მის პრაქტიკულ გამოყენებას განსაკუთრებულად ხელმისაწვდომსა და ეფექტურს ხდის კლინიკურ ყოველდღიურობაში [7]. ჯანმრთელ პოპულაციაში NLR-ის ნორმალურ მაჩვენებლად ითვლება 1.0-დან 3.0-მდე მაჩვენებლები, თუმცა ეს ციფრი შეიძლება განსხვავდებოდეს ასაკის, სქესის, ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით. 1.0-დან 2.3-მდე მაჩვენებლები ითვლება სტანდარტულ ქვედა ღიაპაზონად, ხოლო 3.0-ის გადაჭარბება შესაძლოა მიუთითებდეს ქრონიკული ანთებითი პროცესების, ინფექციების, სტრესის ან სიმსივნური დაავადებების არსებობაზე [8]. ნეიტროფილურ-ლიმფოციტური ინდექსის (NLR) დიაგნოსტიკური მნიშვნელობა ეფუძნება იმ ბიოლოგიურ მექანიზმებს, რომლებიც არაერთ პათოლოგიურ მდგომარეობაში ნეიტროფილებისა და ლიმფოციტების დინამიკის ცვლილებას იწვევს. ნეიტროფილოზის განვითარების მექანიზმი ხშირად ასოცირდება მწვავე ანთებით რეაქციასთან, ინფექციურ აგენტებზე აღრეულ პასუხთან და სტრესული ჰემატოლოგიური სტიმულების შედეგად გამომუშავებულ სხვადასხვა პროგრანულოციტურ ციტოკინთან. ამავე დროს, ლიმფოციტოპენია შესაძლოა მიუთითებდეს ქრონიკულ იმუნოსუპრესიაზე, ენდოგენურ გლუკოკორტიკოიდულ აქტივობაზე ან ორგანიზმის გამოფიტულ ადაპტაციურ რესურსზე [9].


**კვლევის მასალები და მეთოდები.** კვლევა ჩატარდა „ციურიხის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ლაბორატორიაში“ (თბილისი, საქართველო). საკვლევ ჯგუფში შედიოდა ზრდასრული ასაკის ვულგარული ფსორიაზით დაავადებული (10) და პუსტულოზური ფსორიაზით დაავადებული (10) პაციენტი. ჩვენს ექსპერიმენტში მონაწილე პირთაგან მიღებული იყო შესაბამისი თანხმობა კვლევაში მონაწილეობის მიღებაზე. საკვლევ მასალას წარმოადგენდა პაციენტების სისხლი ვულგარული და პუსტულოზური ფსორიაზის დიაგნოზებით.

**კვლევის შედეგები და მათი განხილვა.** კვლევის ფარგლებში განისაზღვრა ნეიტროფილურ-ლიმფოციტური ინდექსები ვულგარული ფსორიაზისა და პუსტულოზური ფსორიაზის მქონე პაციენტებში. მიღებული შედეგები დამუშავდა სტატისტიკურად.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით,  $p$ -მნიშვნელობა ნაკლებია 0.05-ზე, ( $p < 0.05$ ) რაც ნიშნავს, რომ პუსტულოზური ფსორიაზის და ვულგარული ფსორიაზის მქონე პაციენტებს შორის NLR-ის მნიშვნელობების სხვაობა სტატისტიკურად სარწმუნოა.

პუსტულოზური ფსორიაზის დროს NLR-ის მნიშვნელოვნად მაღალი მაჩვენებელი არ არის შემთხვევითობის შედეგი, რაც მიუთითებს ფსორიაზის ამ ორ ტიპს შორის ანთების მახასიათებლების რეალურ სხვაობაზე.

ჰისტოგრამა 1. ნეიტროფილ-ლიმფოციტური ინდექსის (NLR) მნიშვნელობები პუსტულოზური და ვულგარული ფსორიაზის დროს



ჩვენს მიერ მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ NLR წარმოადგენს პერსპექტიულ და მარტივად ხელმისაწვდომ ბიომარკერს ფსორიაზის ანთებითი აქტივობის და ზოგადი პროგნოზის დასადგენად, რაც მას ხდის ღირებულ კომპონენტად როგორც დიაგნოსტიკაში, ასევე თერაპიაში. პაციენტებში, რომლებსაც აღენიშნებოდათ პუსტულოზური ფსორიაზი, ნეიტროფილ-ლიმფოციტური ინდექსის (NLR) საშუალო მნიშვნელობა შეადგენდა 3.54-ს (მინ. 2.26, მაქს. 5.67), ხოლო ვულგარული ფსორიაზის მქონე პაციენტებში – 2.28-ს (მინ. 1.24, მაქს. 3.06).

**დასკვნა.** მიღებული მონაცემების მიხედვით, პუსტულოზური ფსორიაზის დროს NLR-ნეიტროფილურ - ლიმფოციტური ინდექსი მნიშვნელოვნად მაღალია, რაც ასახავს ინტენსიურ სისტემურ ანთებით რეაქციას და ნეიტროფილური დომინირების ტენდენციას. ვულგარული ფსორიაზის შემთხვევაში კი, NLR-ის ზომიერი მატება შეესაბამება ქრონიკულ, მაგრამ შედარებით ნაკლებად აქტიურ ანთებით პროცესს.

ნეიტროფილ-ლიმფოციტური ინდექსი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც დამატებითი ბიომარკერი, რომელიც ასახავს დაავადების ფორმასა და ანთებითი აქტივობის ხარისხს ფსორიაზის მქონე პაციენტებში, ასევე მნიშვნელოვანია დიაგნოსტიკის, პროგნოსტიკისა და თერაპიის მიმართულებით.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. Parisi R., Symmons D. P. M., Griffiths C. E. M., Ashcroft D. M. (2013). Global epidemiology of psoriasis: A systematic review of incidence and prevalence of psoriasis. *Journal of Investigative Dermatology*, 133(2): 377–385
2. Rani R, Luger TA. Inverse psoriasis: From pathophysiology to targeted treatment. *Dermatol Ther.* 2021;34(1):e14501.
3. M. A. Lowes, C. B. Russell, D. A. Martin, J. E. Towne, and J. G. Krueger, “The IL-23/T17 pathogenic axis in psoriasis is amplified by keratinocyte responses,” *Trends in Immunology*, 2013; 34(4):174–181.
4. Fitzpatrick’s *Dermatology in General Medicine*. 9th ed. McGraw-Hill.

5. Bologna JL, et al. Dermatology. 4th ed. Elsevier, 2018.
6. Schon MP, Boehncke WH, Brocker EB. Psoriasis: clinical manifestations, pathogenesis and therapeutic perspectives. Discov Med.2005; 5(27):253-258.
7. Zahorec R. Ratio of neutrophil to lymphocyte counts—rapid and simple parameter of systemic inflammation and stress in critically ill. Bratisl Lek Listy. 2001;102(1):5-14.
8. Briggs C. Quality counts: new parameters in blood cell counting. Int J Lab Hematol. 2009;31(3):277-297
9. Dinh KM, Warstadt NM, Uyeki TM. Immune suppression and lymphopenia in influenza infections: pathogenesis and implications. Clin Microbiol Rev. 2020;33(3):e00064-19.

*ნინო მელიქიშვილი <sup>1</sup>, ნუნუ მიცკევიჩი <sup>2</sup>, ნინო ულენტი <sup>3</sup>,  
თამუნა ლაბაშვილი <sup>2</sup>, ნინო ადამაშვილი <sup>4</sup>*

**ნეიტროფილურ-ლიმფოციტური ინდექსის-(NLR) კლინიკური ინდიკატორის როლი ვულგარული და პუსტულოზური ფსორიაზის დროს**

<sup>1</sup>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა; <sup>2</sup>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის დეპარტამენტი; <sup>3</sup>ციურიხის სამედიცინო კვლევითი ცენტრი (თბილისი, საქართველო), <sup>4</sup>თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, დერმატო-ვენეროლოგიის დეპარტამენტი

**რეზიუმე**

ფსორიაზი კანის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ქრონიკული დაავადებაა, რომლის პათოგენეზშიც წამყვანია იმუნოლოგიური მექანიზმი: Th1/Th2 უჯრედული აუტორეაქტიულობა დღემდე უცნობი ანტიგენისადმი.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა, ვულგარული და პუსტულოზური (იშვიათი, მაგრამ უფრო მძიმე მიმდინარეობის) ფსორიაზის მქონე პაციენტების სისხლში შეგვეფასებინა სისხლის უჯრედული ფარდობითი ინდექსების - NLR ნეიტროფილურ-ლიმფოციტური ინდექსის პოტენციური როლი ფსორიაზის კლინიკურ პრაქტიკაში. NLR ასახავს ორგანიზმის ანთებითი და იმუნური პასუხების ბალანსს: ნეიტროფილები ტიპურად ასოცირდება მწვავე ანთებასთან, ხოლო ლიმფოციტები — ქრონიკულ იმუნურ პროცესებთან. NLR-ის მაჩვენებლის ზრდა, ხშირად მიუთითებს სისტემურ ანთებაზე, იმუნურ დისბალანსზე ან დაავადების აქტივობაზე, რის გამოც იგი ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა პათოლოგიის, როგორც პროგნოზული ან დიაგნოსტიკური ინდიკატორი.

ჩვენს მიერ მიღებული შედეგების მიხედვით, პუსტულოზური ფსორიაზის მქონე პაციენტებში, ნეიტროფილურ-ლიმფოციტური ინდექსი მნიშვნელოვნად მაღალია, რაც ასახავს ინტენსიურ სისტემურ ანთებით რეაქციას და ნეიტროფილური დომინირების ტენდენციას. ვულგარული ფსორიაზის შემთხვევაში კი NLR-ის ზომიერი მატება შეესაბამება ქრონიკულ, მაგრამ შედარებით ნაკლებად აქტიურ ანთებით პროცესს. შესაბამისად, ნეიტროფილ-ლიმფოციტური ინდექსი შეიძლება გამოიყენებულ იქნეს როგორც დამატებითი ბიომარკერი, რომელიც შესაძლოა ასახავდეს დაავადების ფორმასა და ანთებითი აქტივობის ხარისხს ფსორიაზის მქონე პაციენტებში.



*НИНО В. ЦИСКАРИШВИЛИ, АЛЕКСАНДР КАЦИТАДЗЕ, НАТО КОРСАНТИЯ,  
НИНО И. ЦИСКАРИШВИЛИ, ЦИСКАРИ ЦИСКАРИШВИЛИ, НИНО АДАМАШВИЛИ,  
МИХАЙЛ ГАДАБАДЗЕ*

**ЛИНЕЙНАЯ СКЛЕРОДЕРМИЯ (ОПИСАНИЕ КЛИНИЧЕСКОГО СЛУЧАЯ)**

Департамент Дерматовенерологии ТГМУ; Грузино-Американский Университет (ГАУ); Тбилиси,  
Грузия

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.13>

*NINO V. TSISKARISHVILI, ALEXANDER KATSITADZE, NATO KORSANTIA,  
NINO I. TSISKARISHVILI, TSISKARI TSISKARISHVILI, NINO ADAMASHVILI,  
MIKHEIL GADABADZE*

**LOCALIZED SCLERODERMA (CASE REPORT)**

TSMU, Department of Dermatology and Venerology; Georgian-American University (GAU); Tbilisi,  
Georgia

**SUMMARY**

Localized scleroderma, also known as morphea, is a rare and typically nonsystemic autoimmune disorder. Pathogenesis of localized scleroderma is studied with allowance for metabolic disorders of the connective tissue vascular disorders and autoimmune reactions. Changes in the endothelial cells play a role of triggering factor. Vascular injury causes epithelial cell activation dysfunction and disturbance of capillary permeability, followed by complex interaction between endothelial cell dysfunction and microvascular injury, inflammation, autoimmune responses, and activation of fibroblasts. Localized scleroderma often occurs at the site of injury. We present the analysis of published data on the development of scleroderma after various medical and aesthetic surgeries. We also discuss the development of localized scleroderma after placing silicone mammary gland implants, rhinoplasty, laparoscopy, and vaccination. A case of linear scleroderma in a 55-year-old female patient suffering from autoimmune thyroiditis and obesity was reported. Linear scleroderma developed over the phleboscrosis site.

**Keywords:** Linear Scleroderma, venous phleboscrosis, clinical case

Склеродермия - хроническое заболевание из группы аутоиммунных поражений соединительной ткани, сопровождающееся нарушением клеточного иммунитета, микроциркуляции и повышенным коллагенообразованием. Локализованная склеродермия, также известна как морфея, представляет собой хроническое воспалительное заболевание соединительной ткани, которое преимущественно поражает кожу и подкожные структуры. Характеризуется уплотнением и фиброзом кожных покровов, что приводит к образованию бляшек или полос на теле. В отличие от системной склеродермии, морфея обычно не затрагивает внутренние органы, но может вызвать значительные косметические дефекты и функциональные ограничения особенно при поражении суставов или лица. Этиология локализованной склеродермии считается многофакторной. Она включает аутоиммунные нарушения, генетическую предрасположенность и воздействие внешних пусковых факторов, таких как травмы, инфекции и определенные лекарственные препараты [1,3]. Ранняя диагностика морфея и своевременное начало терапии способны существенно замедлить прогрессирование заболевания, уменьшить выраженность кожных изменений и предотвратить развитие атрофии или контрактуры.

Диагностика локализованной склеродермии основывается на клинической картине и подтверждается гистологическим исследованием биоптата кожи [4,5]. Линейная склеродерма (Linear Scleroderma) проявляется в виде одной или нескольких уплотненных полос, которые могут располагаться на конечностях, туловище, волосистой части головы и лице. Чаще всего линейная

склеродермия затрагивает одну сторону тела и может распространяться вглубь до мышц, суставов и даже костей. При локализации на конечностях она способна вызывать контрактуры и асимметрию роста. При дерматоскопии в наблюдаемых очагах поражения отмечаются белые облака, за которыми следуют коричневые бесструктурные участки и сосудистые поражения: линейные разветвленные сосуды, а также точечные сосуды [6,7].

Особые подтипы линейной морфея включают морфея “en cop de sabre” (удар саблей) — это линейная форма, поражающая лицо и волосистую часть головы, часто следующая по ходу лицевого нерва, приводит к западению кожи и подлежащих тканей, напоминающее шрам от удара саблей.

Синдром Парри - Ромберга (прогрессирующая гемифациальная атрофия). Более тяжелая форма линейной склеродермы, поражающая лицо. Синдром сопровождается прогрессирующей односторонней атрофией кожи, подкожной клетчатки, мышц, хрящей и костей, что приводит к выраженной асимметрии лица.

К пусковым механизмам линейной морфея относятся внешние и провоцирующие факторы. Травмы и механические воздействия это один из хорошо изученных провоцирующих факторов. Развитие очагов морфея после травмы, хирургических вмешательств, инъекций, ушибов или даже укусов насекомых описывается как феномен Кебнера. Считается, что повреждение тканей активизирует местный воспалительный ответ, который у предрасположенных лиц может перейти в фиброз.

Сосудистые нарушения. В очагах локализованной склеродермы часто наблюдаются изменения в мелких кровеносных сосудах. происходит их повреждение и воспаление (васкулопатия), что приводит к нарушению микроциркуляции и локальной ишемии (недостаточному кровоснабжению) тканей. В настоящее время иницирующим фактором в развитии ОС считают изменения эндотелиальных клеток. В основе процесса лежит сосудистая травма, которая вызывает активацию эндотелиальных клеток, дисфункцию и нарушение капиллярной проницаемости. В дальнейшем реализуется сложное взаимодействие между дисфункцией эндотелиальных клеток и повреждением микрососудистого русла, воспалением, аутоиммунными реакциями, активацией фибробластов и усилением фиброзного процесса.

Для линейной склеродермии характерно значительное развитие фиброзной ткани. В некоторых случаях выявляется связь с хроническим поражением узлов пограничного симпатического ствола.

Особое место среди травматических факторов, провоцирующих дебют склеродермии, занимают лечебные и эстетические вмешательства. Известно развитие ОС после установления силиконовых имплантов в молочные железы. Описано развитие склеродермии после ринопластики. Представлен случай развития морфея на рубце после лапароскопии. Известны случаи развития склеродермии после вакцинаций [2]. Помимо механической травмы, известным провоцирующим фактором является психоэмоциональный стресс.

Пациентка М., 55 лет, обратилась с жалобами на появление высыпаний на левой голени, периодически сопровождающиеся легким покалыванием и жжением. Считает себя больной в течение 5 лет. После психоэмоционального стресса заметила изменение на коже левой голени, где за 3 года до этого было проведено флебосклерозирование вен в связи с их варикозным расширением (процедуру перенесла хорошо, каких - либо побочных реакций и нежелательных эффектов не отмечала). Дерматологом по месту жительства был поставлен диагноз ограниченная склеродермия. Регулярно получала лечение с применением антибиотиков пенициллинового ряда, лидазы, ангиопротекторов, физиотерапевтических процедур, отмечала выраженный терапевтический

эффект. Патологический процесс на коже носит локализованный характер. На левой голени имеется полосовидный очаг цвета слоновой кости с буро - коричневыми и желтоватыми вкраплениями до 15 см длиной и 5 см шириной. Поверхность гладкая, блестящая с явлениями атрофии. По периферии визуализируется сиреневый венчик «роста» 1,5-3 см шириной. Кожа в месте высыпаний с трудом собирается в складку.

Клинические анализы крови, мочи патологических изменений не выявили, основные биохимические показатели в пределах нормы.

Осмотр ревматолога: ограниченная склеродермия. Признаки системного поражения соединительной ткани отсутствуют.

Осмотр эндокринолога: аутоиммунный тиреоидит. Ожирение I степени.

Осмотр хирурга: хроническая венозная недостаточность IV степени.

Клинический диагноз: ограниченная склеродермия (линейная форма). Сопутствующие заболевания: аутоиммунный тиреоидит. Ожирение 1 степени

Такие сопутствующие заболевания как аутоиммунный тиреоидит, ожирение нередко диагностируются у пациентов со склеродермией. Известно, что эндокринная патология является предрасполагающим фактором для развития аутоиммунных болезней соединительной ткани.

Таким образом травматизация тканей вследствие флебосклерозирования вен может стать предрасполагающим фактором для дебюта склеродермии у предрасположенных лиц, в частности, переживающих психоэмоциональный стресс и страдающих эндокринными заболеваниями.

#### ЛИТЕРАТУРА:

1. Cristian Papara, David A De Luca, Katja Bieber et al Morphea: The 2023 update Front Med, 13 February 2023.
2. Mutasim D.F Practical Skin Pathology, Springer. 2015.
3. Тимошина В.А, Шиманская И.Г., Хартоник А.А. Локализованная склеродермия; Дерматология. Косметология, 2017; 3(1):42 -51.
4. Порошина Л.А, Ачинович С.Л. Патогистологическая картина при очаговой склеродермии. Актуальные проблемы медицины. Сборник научных статей Республиканской научно - практической конференции с международным участием том 2 Выпуск 23 Гомель 2022. с.196-9
5. Порошина Л.А., Юрковский А.М. Сонографический метод диагностики ограниченной склеродермии Медицинские новости 2022; 10, 38-42
6. Squoros D., Apalla; Ioannides D., et al. Dermatoscopy of common inflammatory Disorders Dermatol Clin 2018 36(4), 359-68.
7. Paulina Szezepanik - Kulak, Anna Michalak - stoma, Dorata krasowska Usefulness of Dermatroskopy in Localized Scleroderma (LoS, Morphea). Diagnosis and Assessment - Monocentric Cross - Section Study. J.Clin. Med. 2022 Jan.30; M (3):764

*ნინო ვ. ცისკარიძე, ალექსანდრე ვაჭიტაძე, ნატო კორსანტია,  
ნინო ი. ცისკარიძე, ცისკარი ცისკარიძე, ნინო ადამაშვილი, მიხეილ გაღაბაძე*  
**საზოგადოებრივი სკლეროდერმია ( კლინიკური შემთხვევის აღწერა)**  
თსსუ, დერმატოვენეროლოგიის დეპარტამენტი; ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტი (გაუ);  
თბილისი, საქართველო

#### რეზიუმე

ლოკალიზებული სკლეროდერმია, რომელიც ასევე ცნობილია როგორც მორფეა, იშვიათი და ტიპურად არასისტემური აუტოიმუნური აშლილობაა. ლოკალიზებული სკლეროდერმიის პათოგენეზი შესწავლილია შემეერთებელი ქსოვილის სისხლძარღვთა დარღვევებისა და

აუტოიმუნური რეაქციების მეტაბოლური დარღვევების გათვალისწინებით. ენდოთელური უჯრედების ცვლილებები გამომწვევი ფაქტორის როლს ასრულებს. სისხლძარღვთა დაზიანება იწვევს ეპითელური უჯრედების აქტივაციის დისფუნქციას და კაპილარების გამტარიანობის დარღვევას, რასაც მოჰყვება კომპლექსური ურთიერთქმედება ენდოთელური უჯრედების დისფუნქციასა და მიკროვასკულარულ დაზიანებას შორის, ანთება, აუტოიმუნური რეაქციები და ფიბრობლასტების გააქტიურება.

კეროვანი სკლეროდერმია ხშირად ვითარდება ტრავმის ადგილზე. წარმოდგენილია ლიტერატურული მონაცემების ანალიზი, რომელიც ეხება სკლეროდერმიის განვითარებას სხვადასხვა სამკურნალო და ესთეტიკური ჩარევების შემდეგ. აღწერილია ხაზოვანი სკლეროდერმიის განვითარების შემთხვევა პაციენტში, რომელიც დაავადებულია აუტოიმუნური თირეოიდიტით და სიმსუქნით. ხაზოვანი სკლეროდერმიის კერა განვითარდა ვენების ფლებოსკლეროზირების უბანზე.



*ნინო ნატროშვილი, თამარ ნატროშვილი, ნანა აბაშიძე*

**პირის ღრუს ჯანმრთელობა, როგორც ადამიანის სრული ჯანმრთელობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი**  
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.14>

*NINO NATROSHVILI, TAMAR NATROSHVILI, NANA ABASHIDZE*

**ORAL HEALTH, AS ONE OF THE MOST IMPORTANT FACTORS DETERMINING THE OVERALL HEALTH OF A PERSON**

David Agmashenebeli University of Georgia

### SUMMARY

Almost two-thirds of the world's population, approximately 3.5 billion people, suffer from some kind of oral disease. A large number of studies have been published in the medical literature on the correlation between oral diseases and various somatic nosologies. In particular, in the case of diabetes mellitus, cardiovascular diseases, and neurological pathologies, a significant correlation is observed.

We have developed a methodology based on the study, comparison, and rational processing of anamnestic data from the answers to a 40-question questionnaire compiled by patients.

Within the framework of our research, a specific algorithm is calculated by a dentist, by examining the oral cavity, recording current acute or chronic diseases, and by detailed study of the questionnaire filled out by patients and processing the database, based on which it becomes possible for the dentist to perform early detection and prevention of possible diseases of various body systems.

**Keywords:** oral health, somatic nosologies, questionnaires, patients

მსოფლიო მოსახლეობის თითქმის ორი მესამედი, დაახლოებით 3.5 მილიარდი ადამიანი იტანება პირის ღრუს რომელიმე დაავადებით, რაც 21-ე საუკუნეში მსოფლიო ჯანდაცვის სისტემის უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს [9,11,12,13,14]. თანამედროვე მედიცინა ადამიანის ზოგადი ჯანმრთელობის მკომარეობის შეფასების ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად განიხილავს პირის ღრუს ჯანმრთელობის მდგომარეობას [1,2,15]. სამედიცინო ლიტერატურაში უამრავი კვლევა დაიდო [3,4,6] პირის ღრუს დაავადებების და სხვადასხვა სომატური ნოზოლოგიების ურთიერთკორელაციის შესახებ, კერძოდ კი, შაქრიანი დიაბეტის [7,12], გულსისხლძარღვთა დაავადებების [5,16], ნევროლოგიური პათოლოგიების [17].

2021 წელს მსოფლიო ჯანდაცვის ანსამბლემ მიიღო რეზოლუცია WHA 74,5, რომელიც ჯანდაცვის სპეციალისტებს მოუწოდებს შემუშავებული იქნას გლობალური სტრატეგია პირის ღრუს დაავადებების სამკურნალოდ, რაც უნდა იყოს განხილული სისტემური დაავადების მკურნალობის ერთიან კონტექსტში. რეზოლუციის მიზანია, შემუშავებული აქტიური მკურნალობის გეგმა და ჩარჩო - სტრატეგია ასახავდეს მზარდ პროგრესს პირის ღრუს ჯანმრთელობის გაუმჯობესების კუთხით, განერილი ვადა კი არ უნდა აღემატებოდეს 2030 წელს.

2022 მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული იქნა გლობალური პირის ღრუს ჯანმრთელობის სტატუსის რეპორტი (GOHSR), სადაც ასევე მითითებულია პირის ღრუს ჯანმრთელობის პრიორიტეტულ როლზე ზოგადი ჯანმრთელობის გაუმჯობესების სტრატეგიაში [8]. რეპორტი დაფუძნებულია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაში შემავალი 195 წევრი ქვეყნის მონაცემთა ბაზაზე შეგროვებულ ინფორმაციაზე, კერძოდ კი პირის ღრუს დაავადებათა გავრცელებაზე, განვითარების სიმძიმეზე, გართულებების სხვადასხვა რისკ-ფაქტორების არსებობაზე, ზოგადი სადამღვევო პაკეტების, სოციალურ-ეკონომიური პირობების შეფასებაზე და ა.შ.

გარდა გემოლნიშნულისა, არსებობს მრავალი სხვა დადგენილება, დეკლარაცია და სტატია, რაც ჯანდაცვის სპეციალისტებს მოუწოდებს, რომ ზოგადი ჯანმრთელობის პროგრამების შემუშავებისას სავალდებულოა გათვალისწინებული იყოს პირის ღრუს ჯანმრთელობის გაუმჯობესების სტრატეგია და გზები [10,18].

პირის ღრუ ხშირად მოიაზრება, როგორც „სარკე“ ორგანიზმის ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსახატად, პირის ლორწოვანზე გამოვლენილი სხვადასხვა ცვლილებების მიხედვით, როგორცაა მაგალითად: მორეციდივე აფთოზური სტომატიტი, ჰერპესული სტომატიტი, ნეკროზული პერიადენიტი, ნეკროზული გინგივოსტომატიტი, ყავისფერი, თეთრი, წითელი ლაქები, ფილატოვის ლაქები, რძიანას თეთრი ლაქები, სიფილისის, ტუბერკულოზის დროს არსებული სპეციფიური წყლულები და ა.შ. ექიმმა სტომატოლოგმა პირი ღრუს სანაცხის შემდეგ პაციენტს შესაძლებელია დაუსვას ზუსტი ან სავარაუდო დიაგნოზი იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ამ ცვლილებებს მხოლოდ ადგილობრივ დაზიანებებად მიიჩნევს. მაგალითად: ედისონის დაავადება - ყავისფერი ლაქების არსებობისას, წითელა - ფილატოვის ლაქების შემთხვევაში, ლეიკოპლაკია თეთრი და წითელი ლაქებით - აივ/შიდსის ინფექციების და ლეიკოზების დროს, ჰერპესული სტომატიტი B12 ვიტამინის დეფიციტის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების დროს და ა.შ.

ბოლო წლების სამეცნიერო ლიტერატურაში უამრავი კვლევა დაიდო იმის შესახებ, რომ პირის ღრუს დაავადებები ურთიერთდამოკიდებულებაში არიან ისეთ პათოლოგიებთან, როგორცაა შაქრიანი დიაბეტი, გულ-სისხლძარღვთა თუ ნერვული სისტემის დაავადებებები [3,13,16,17]. როგორც კვლევები მიუთითებს, პირის ღრუს და სხვადასხვა სისტემის დაავადებებს აქვთ ისეთი საერთო გამომწვევი ფაქტორები, როგორცაა ცხოვრების არაჯანსაღი წესი, არასრულყოფილი კვება, ალკოჰოლის და თამბაქოს ჭარბი მოხმარება, ძილ-ღვიძილის რეჟიმის დარღვევა, სტრესი, დაბალი სოციალური სტატუსი და ა. შ. [2,4,13].

ვინაიდან პირის ღრუს დაავადებების გავრცელება მთელს მსოფლიოში მატულობს მიუხედავად ახალი ჰიგიენური და სამკურნალო საშუალებებისა თუ ულტრათანამედროვე სტომატოლოგიური ტექნიკური აღჭურვილობისა, მიგვაჩნია, რომ პროფესიული ჰიგიენური თუ სამკურნალო სერვისების გაუმჯობესების გარდა, კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული გამომწვევი მიზეზების შესწავლისა და სისტემატიზაციის მიმართულებით. საერთო გამომწვევი მიზეზების მხოლოდ კლასიფიკაცია არ იძლევა კონკრეტული დასკვნების გამოტანის საფუძველს სტომატოლოგის მიერ სხვა სავარაუდო დაავადებების არსებობის შესახებ, იმ

გამონაკლისის გარდა, როცა აღინიშნება ზემოხსენებული პირის ლორწოვანის გარსის მკვეთრად გამოხატული ცვლილებები.

ჩვენი მიზანია უფრო მეტი დეტალური ინფორმაციის მოპოვება პაციენტის გაფართოვებული ანამნეზის შეგროვების თარგლებში, რათა უკვე კარგად ცნობილი ზოგადი გამომწვევი ფაქტორების გარდა (რომელიც არ გვაძლევს პრაქტიკულ ბენეფიტს) აღმოვაჩინოთ პირის ღრუს და ზოგადი დაავადებისათვის საერთო, კონკრეტული გამომწვევი, თუ მაპროვოცირებელი მიზეზები.

ჩვენ შევიმუშავეთ მეთოდოლოგია, რომელიც დაფუძნებულია ჩვენს მიერ შედგენილი 40 კითხვიანი კითხვარის პასუხების ანამნეზური მონაცემების შესწავლას, შედარებასა და რაციონალურ დამუშავებაზე. ეს მეთოდოლოგია საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ის კონკრეტული და საერთო დამახასიათებელი გამომწვევი მიზეზები, რომლებიც საერთოა როგორც პირის ღრუს, ისე ორგანიზმის სხვადასხვა სისტემის დაავადებებისათვის, მათ შორის გულ-სისხლძარღვთა, ენდოკრინული, ნერვული და ა.შ. ამას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ კუთხით, რომ პირის ღრუს დაზიანებები შესაძლებელია სხვადასხვა ორგანოს დაავადებების ჯერ კიდევ პრეკლინიკურ ფაზაში გამოვლინდეს და ხშირად წინ უსწრებდეს მათ საბოლოო კლინიკურ მანიფესტირებას რასაც დიაგნოზტიკური ღირებულებაც გააჩნია.

კვლევაში მონაწილეობდა 55 პაციენტი - 35 ქალი და 20 მამაკაცი, რომელთა ასაკი მერყეობდა 35-დან 65 წლამდე. პაციენტები დაყვავით ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში შემავალი 25 პაციენტი იყო პრაქტიკულად ჯანმრთელი, რადგან პირის ღრუს მსუბუქი დაავადების გარდა, არ უჩიოდა არანაირ სხვა პათოლოგიას. მეორე ჯგუფში განთავსდა სტომატოლოგთან მისული ის 30 პაციენტი, რომელთაც გარდა პირის ღრუს პათოლოგიისა, აღინიშნებოდათ ერთ-ერთი რომელიმე ზოგადი დაავადება მაგ.: შაქრიანი დიაბეტი, გულ-სისხლძარღვთა დაავადება, რევმატიზმი ან ნერვოლოგიური პათოლოგია.

პაციენტს ექიმთან ვიზიტისას სტანდარტული სამედიცინო ბარათის შევსების გარდა ეძლევა მრავალნომრიანი კითხვარი, სადაც მან დეტალურად უნდა უპასუხოს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ კითხვებს, ბავშვობის ასაკიდან მოყოლებული დღემდე. კვლევაში პაციენტები ერთვებიან ნებაყოფლობით, გარკვეული ასხნა-განმარტების შემდეგ. კითხვარის შევსებაც მხოლოდ მათი კეთილი ნების და ინფორმატიული თანხმობს საფუძველზე ხდება.

კითხვარი მოიცავს 40 კითხვას. სადაც პაციენტი დეტალურად აღწერს მის მიერ გადატანილ ზოგად დაავადებებს როგორც ბავშვობაში, ისე მოზრდილ ასაკში. სტომატოლოგიური პრობლემების არსებობის შემთხვევაში კი მიუთითებს მათ გამოვლენის ვადას, ჩივილების ხასიათს, ხანგრძლივობას და ვიზუალურ მახასიათებლებს. ასევე დიდი ყურადღება ექცევა ადამიანის სხვადასხვა ასაკში გადატანილი მძიმე ფსიქო-ემოციური მდგომარეობის, თუ სტრესის არსებობას, აკადემიურ მოსწრებას, ოჯახის სოციალურ მდგომარეობას, ჰიგიენურ პირობებს, ფიზიკურ აქტივობას, კვების რაციონს და რეჟიმს (ავრეთვე სხვა კონკრეტულ დეტალებს).

ჩვენს მიერ მეორე ჯგუფის პაციენტებში დაფიქსირდა კორელაცია პირის ღრუს დაავადებათა სიხშირესა და ორგანიზმის სხვადასხვა სისტემის დაავადებებს შორის. კერძოდ კი, კარიესის, პარადონტის და პირის ღრუს კომბინირებული დაავადებების სიხშირე ამ ჯგუფში 1,5-2-ჯერ აღემატებოდა პირველ ჯგუფში მიღებულ შედეგებს.

ჩვენი ჩატარებული კვლევის თარგლებში, ექიმი-სტომატოლოგის მიერ პირის ღრუს დათვალიერებით, მიმდინარე მწვავე თუ ქრონიკული დაავადებების აღნუსხვით და პაციენტების მიერ შევსებული კითხვარის დეტალური შესწავლით და მონაცემთა ბაზის დამუშავებით, გამოითვლება კონკრეტული ალგორითმი, რაზე დაყრდნობითაც შესაძლებელი ხდება სტომატოლოგის მიერ ორგანიზმის სხვადასხვა სისტემების სავარაუდო დაავადებათა ნაადრევი გამოვლინება და პრევენცია. ეს ყოველივე შესაძლებელს ხდის პაციენტის ადრეულ გაგზავნას სხვა

პროფილის სპეციალისტთან, რათა მიეცეს მას სწორი მიმართულება გამოკვლევებისა და მკურნალობის დროული დაწყებისათვის.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია იქნება მეტად ღირებული პრაქტიკული თვალსაზრისით. ამავე დროს, კვლევა საფუძველს დაუდებს სტომატოლოგებისა და ფართო პროფილის ექიმთა მჭიდრო ურთიერთანამშრომლობასა და კოორდინაციას, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ზოგადი დაავადებების პრევენციისა და პირველადი ჯანდაცვის სრულყოფის კუთხით.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- Glick M, Williams DM, Kleinman DV, Vujicic M, Watt RG, Weyant RJ. A new definition for oral health developed by the FDI world dental federation opens the door to a universal definition of oral health. *J Am Dent Assoc.* (2016) 147:915–17. 10.1016/j.adaj.2016.10.001
- Sheiham A. Oral health, general health and quality of life. *Bull World Health Organ.* (2005) 83(9):644.
- Nazir MA. Prevalence of periodontal disease, its association with systemic diseases and prevention. *Int J Health Sci.* (2017) 11(2):72–80. PMC5426403
- Winning L, Linden GJ. Periodontitis and systemic disease: association or causality? *Curr Oral Health Rep.* (2017) 4(1):1–7. 10.1007/s40496-017-0121-7
- Bahekar AA, Singh S, Saha S, Molnar J, Arora R. The prevalence and incidence of coronary heart disease is significantly increased in periodontitis: a meta-analysis. *Am Heart J.* (2007) 154(5):830–7. 10.1016/j.ahj.2007.06.037
- Tavares M, Lindefjeld Calabi KA, San ML. Systemic diseases and oral health. *Dent Clin N Am.* (2014) 58(4):797–814. 10.1016/j.cden.2014.07.005
- Cervino G, Terranova A, Briguglio F, et al. Diabetes: oral health related quality of life and oral alterations. *BioMed Res Int.* (2019) 2019:5907195. 10.1155/2019/5907195
- Somerman M, Mouradian WE. Integrating oral and systemic. Health: innovations in transdisciplinary science, health care and policy. *Front Dent Med.* (2020) 1:599214. 10.3389/fdmed.2020.599214
- Peres MA, Macpherson LMD, Weyant RJ, Daly B, Venturelli R, Mathur MR, et al. Oral diseases: a global public health challenge. *Lancet.* (2019) 394:249–60. 10.1016/S0140-6736(19)31146-8
- Marcenes W, Kassebaum NJ, Bernabe E, Flaxman A, Naghavi M, Lopez A, et al. Global burden of oral conditions in 1990–2010: a systematic analysis. *J Dent Res.* (2013) 92:592–7. 10.1177/0022034513490168
- Kassebaum NJ, Smith AGC, Bernabé E, Fleming TD, Reynolds AE, Vos T, et al. GBD 2015 oral health collaborators, global, regional, and national prevalence, incidence, and disability-adjusted life years for oral conditions for 195 countries, 1990–2015: a systematic analysis for the global burden of diseases, injuries, and risk factors. *J Dent Res.* (2017) 96:380–7. 10.1177/0022034517693566
- Righolt AJ, Jevdjevic M, Marcenes W, Listl S. Global-, regional-, and country-level economic impacts of dental diseases in 2015. *J Dent Res.* (2018) 97:501–07. 10.1177/0022034517750572
- Chapple IL, Genco R. Diabetes and periodontal diseases: consensus report of the joint EFP/AAP workshop on periodontitis and systemic diseases. *J Periodontol.* (2013) 84:S106–12. 10.1902/jop.2013.1340011
- Costa SM, Martins CC, Pinto MQC, Vasconcelos M, Abreu MHNG. Socioeconomic factors and caries in people between 19 and 60 years of age: an update of a systematic review and meta-analysis of observational studies. *Int J Environ Res Public Health.* (2018) 15(8):1775. 10.3390/ijerph15081775
- Lu M, Xuan S, Wang Z. Oral microbiota: a new view of body health. *Food Sci Hum Wellness.* (2019) 8:8–15. 10.1016/j.fshw.2018.12.001
- Seymour GJ, Ford PJ, Cullinan MP, Leishman S, West MJ, Yamazaki K. Infection or inflammation: the link between periodontal and cardiovascular diseases. *Future Cardiol.* (2009) 5:5–9. 10.2217/14796678.5.1.5
- Naumova E, Sandulescu T, Bochnig C, Khatib PA, Lee W-K, Zimmer S, et al. Dynamic changes in saliva after acute mental stress. *Sci Rep.* (2014) 4:4884. 10.1038/srep04884

18. Kassebaum NJ, Smith AGC, Bernabé E, Fleming TD, Reynolds AE, Vos T, et al. GBD 2015 oral health collaborators, global, regional, and national prevalence, incidence, and disability-adjusted life years for oral conditions for 195 countries, 1990–2015: a systematic analysis for the global burden of diseases, injuries, and risk factors. *J Dent Res.* (2017) 96:380–7. 10.1177/0022034517693566

*ნინო ნატროშვილი, თამარ ნატროშვილი, ნანა აბაშიძე*  
**პირის ღრუს ჯანმრთელობა, როგორც ადამიანის სრული ჯანმრთელობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი**  
 საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

### რეზიუმე

მსოფლიო მოსახლეობის თითქმის ორი მესამედი, დაახლოებით 3.5 მილიარდი ადამიანი იტანება პირის ღრუს რომელიმე დაავადებით, პირის ღრუს დაავადებების და სხვადასხვა სომატური ნოზოლოგიების ურთიერთკორელაციის შესახებ უამრავი კვლევა დაიდო სამედიცინო ლიტერატურაში. კერძოდ კი შაქრიანი დიაბეტის, გულსისხლძარღვთა დაავადებების, ნევროლოგიური პათოლოგიების შემთხვევაში აღინიშნება მნიშვნელოვანი ურთიერთკორელაცია.

ჩვენ შევიმუშავეთ მეთოლოგია, რომელიც დაფუძნებულია ჩვენს მიერ შედგენილი 40 კითხვიანი კითხვარის პასუხების ანამნეზური მონაცემების შესწავლას, შედარებასა და რაციონალურ დამუშავებაზე.

ჩვენი ჩატარებული კვლევის ფარგლებში, ექიმი-სტომატოლოგის მიერ პირის ღრუს დათვალიერებით, მიმდინარე მწვავე თუ ქრონიკული დაავადებების აღნუსხვით და პაციენტების მიერ შევსებული კითხვარის დეტალური შესწავლით და მონაცემთა ბაზის დამუშავებით, გამოითვლება კონკრეტული ალგორითმი, რაზე დაყრდნობითაც შესაძლებელი ხდება სტომატოლოგის მიერ ორგანიზმის სხვადასხვა სისტემის სავარაუდო დაავადებათა ნაადრევი გამოვლინება და პრევენცია.



*ირინა მუსერიძე, მარიამი დავლაშერიძე, სალომე ხიმშიაშვილი,*  
*ალექსანდრე კაციტაძე, ნატო კორსანტია*

### **ვულგარული პემფიგუსი - კლინიკური შემთხვევის განხილვა**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, კანისა და ვენსნეულებათა დეპარტამენტი,  
 თბილისი, საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.15>

*IRINA MUSERIDZE, MARIAMI DAVLASHERIDZE, SALOME KHIMSHIASHVILI,*  
*ALEXANDER KATSITADZE, NATO KORSANTIA*

### **PEMPHIGUS VULGARIS: A CLINICAL CASE DISCUSSION**

Tbilisi State Medical University, Department of Dermatology and Venereology, Tbilisi, Georgia

### SUMMARY

Pemphigus is a group of autoimmune blistering disorders affecting the skin and mucous membranes, characterized by intraepidermal blister formation caused by acantholysis and autoantibodies directed against keratinocyte cell surfaces. The major forms include Pemphigus vulgaris, Pemphigus foliaceus, paraneoplastic pemphigus, and IgA pemphigus. In pemphigus vulgaris, blistering occurs in the deeper epidermal layers above the basal layer, whereas pemphigus foliaceus involves more superficial blister formation within the granular layer.

The discovery by Beutner and Jordon in 1964 of circulating antibodies against the cell surface of keratinocytes in the sera of patients with Pemphigus vulgaris established that PV is a tissue-specific autoimmune disease of the skin and mucosa. Their work ultimately led to the identification of autoantibodies in other autoimmune bullous diseases of the skin.

**Keywords:** Pemphigus, Acantholysis, Intraepidermal blister, Desmoglein, Nikolsky sign

**ველგარული პემფიგუსი** არის აუტოიმუნური ბუშტუკოვანი დაავადება, რომელიც აზიანებს კანსა და ლორწოვან გარსებს. დაავადება გვხვდება ყველა რასასა და სქესში, თუმცა უმეტესად საშუალო ასაკში ვითარდება. გენეტიკური წინასწარგანწყობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს; განსაკუთრებით ასოცირებულია ამ დაავადებასთან HLA-DRB104 და HLA-DRB114 ალელები. დაავადება უფრო ხშირია აშკენაზი ებრაელებში და აღმოსავლეთის ქვეყნებში. პემფიგუსი შეიძლება ასოცირებული იყოს სხვა აუტოიმუნურ ან ლიმფოპროლიფერაციულ დაავადებებთან, როგორცაა მიასთენია გრავისი, თიმომა, სისტემური წითელი მგლურა და Castleman-ის დაავადება. აღწერილია კავშირი ვირუსულ ინფექციებთანაც, მათ შორის HSV, EBV და HIV ინფექციასთან.

**პათოგენეზი.** პემფიგუს ველგარისის პათოგენეზის საფუძველს წარმოადგენს IgG ტიპის აუტოანტისხეულები, რომლებიც მიმართულია კერატინოციტების ზედაპირზე არსებული დესმოგლინ 3-ის წინააღმდეგ. დესმოგლინ 3 დესმოსომური კადჰერინია და უზრუნველყოფს ეპიდერმისში უჯრედთაშორის ადჰეზიას. აუტოანტისხეულების წარმოქმნა იწვევს აკანტოლიზს - ეპიდერმული უჯრედების ერთმანეთისგან განცალკევებას და სუპრაბაზალური ინტრაეპიდერმული ბუშტების წარმოქმნას [2,4].

დესმოგლინ 3 განსაკუთრებით გამოხატულია პირის ღრუს ლორწოვან გარსში, რის გამოც დაავადება ხშირად იწყება ორალური დაზიანებით. როდესაც პაციენტს მხოლოდ ანტი-დესმოგლინ 3 ანტისხეულები აქვს, დაზიანება ძირითადად ლორწოვანით შემოიფარგლება, ხოლო ანტი-დესმოგლინ 1 ანტისხეულების დამატებისას ვითარდება ფართო, კანისა და ლორწოვანის ფორმა.

დაავადების განვითარებაში მონაწილეობს კომპლემენტის სისტემა, ანთებითი ციტოკინები (TNF- $\alpha$ , IL-1, IL-6) და პროტეოლიზური ფერმენტები, რომლებიც აძლიერებენ ეპიდერმისის დაზიანებასა და ბუშტუკების ფორმირებას.

**კლინიკური მახასიათებლები.** ველგარული პემფიგუსი ხასიათდება მტკივნეული ფლაქსიდური ბუშტებითა და ეროზიებით კანსა და ლორწოვან გარსებზე. დაავადების ყველაზე ხშირი საწყისი გამოვლინებაა - პირის ღრუს დაზიანება, განსაკუთრებით ბუკალური ლორწოვანის, ღრძილების, ენისა და სასის მტკივნეული ეროზიები. ბუშტები ადვილად სკდება და ტოვებს ეროზირებულ ზედაპირს [4].

კანის დაზიანებები წარმოდგენილია თხელი კედლის მქონე ფლაქსიდური ბუშტებითა და ეროზიებით, რომლებიც შეიძლება გავრცელდეს სახეზე, თავის თმიან ნაწილზე, გულმკერდსა და სხეულის სხვა უბნებზე. დამახასიათებელია ნიკოლსკის დადებითი ნიშანი - კლინიკურად დაუზიანებელ კანზე მსუბუქი ზეწოლით ეპიდერმისის აცლა.

ჰისტოლოგიურად აღინიშნება სუპრაბაზალური აკანტოლიზი, ხოლო პირდაპირი იმუნოფლუორესცენციით - IgG-ის უჯრედთაშორისი დეპოზიტები ეპიდერმისში [2].

**პათოლოგიური მონაცემები.** ადრეული ჰისტოპათოლოგიური ცვლილებები მოიცავს ინტერცელულარულ შეშუპებასა და ბაზალურ შრეში უჯრედთაშორისი კავშირების კარგვას. სუპრაბაზალური ეპიდერმული უჯრედები სცილდება ბაზალურ უჯრედებს, რის შედეგადაც წარმოიქმნება ნაპრალები და ბუშტები. ბაზალური უჯრედები რჩება მიმაგრებული ბაზალურ მემბრანაზე, თუმცა ერთმანეთისგან განცალკევდებიან და ბუშტის ფსკერზე „საფლავის ქვათა რიგის“ (row of tombstones) მსგავს განლაგებას ქმნიან [3,4].

ბუშტის ღრუ შეიცავს აკანთოლიზურ უჯრედებს. ბუშტის ან ორალური ეროზიის ცანკის ნაცხში ასევე ვლინდება აკანთოლიზური უჯრედები. ზოგიერთ შემთხვევაში ბუშტუკების ფორმირებას წინ უსწრებს ეოზინოფილური სპონგიოზი. ზედაპირულ დერმაში აღინიშნება მსუბუქი შერეული ტიპის ანთებითი ინფილტრატი ეოზინოფილების მონაწილეობით [1,2].

**კლინიკური შემთხვევა.** 75 წლის ქალბატონმა მოგვმართა გულმკერდზე, ზურგსა და სკალპზე არსებული ეროზიების, ბუშტებისა და ქერქების გამო. კანის გამონაყარს წინ უსწრებდა პირის ღრუს ბუკალურ ლორწოვანზე განვითარებული შემანუხებელი ბუშტები, რომლებიც შემდგომში გადაიზარდა მტკივნეულ ეროზიებში (იხ. სურ. 1-6).

პაციენტი აღნიშნავდა პირის ღრუს ტკივილსა და წვის შეგრძნებას, რის გამოც უჭირდა საკვების მიღება და აღენიშნებოდა წონის კლება. ასევე გამოვლინდა სკალპის მტკივნეული დაზიანებები და ქერქების ფორმირება. ფიზიკალური გასინჯვისას ნიკოლსკის ნიშანი დადებითი იყო. კლინიკური სურათი შეესაბამებოდა ვულგარული პემფიგუსისთვის დამახასიათებელ კანისა და ლორწოვანის გამოვლინებებს.

**ობიექტური გამოკვლევით** ობიექტურად აღინიშნებოდა გულმკერდის, ზურგისა და სკალპის არეში მრავლობითი გამსკდარი ფლაქსილური ბუშტები, ფართო ეროზიული ზედაპირები და სეროზულ-ჰემორაგიული ქერქები. პირის ღრუს ბუკალურ ლორწოვანზე გამოვლინდა მტკივნეული ეროზიები და გამსკდარი ბუშტების ნარჩენები. სკალპზე აღინიშნებოდა ეროზიულ-ქერქოვანი დაზიანებები. კანი მექანიკური ზემოქმედებისას ადვილად სცილდებოდა, ნიკოლსკის ნიშანი დადებითი იყო.

**ციტოლოგიური და სეროლოგიური კვლევები.** ჩატარებული ციტოლოგიური კვლევისას გამოვლინდა აკანთოლიზური უჯრედები, რაც მიუთითებს კერატინოციტებს შორის დესმოსომური კავშირების დარღვევასა და ეპიდერმისში უჯრედთაშორისი ადჰეზიის დაკარგვაზე. აღნიშნული ცვლილება შეესაბამება ინტრაეპიდერმულ ბუშტუკოვან პროცესს.

სეროლოგიური კვლევით გამოვლინდა ანტისხეულების არსებობა როგორც დესმოგლეინ 3-ის, ასევე დესმოგლეინ 1-ის მიმართ. ეს კომბინაცია მიუთითებს აუტოიმუნურ პროცესზე, რომელიც აზიანებს როგორც ლორწოვანის, ისე კანის ეპიდერმულ სტრუქტურებს.

მოცემული კლინიკურ-ლაბორატორიული მონაცემების ერთობლიობა შეესაბამება ვულგარულ პემფიგუსს, რომელიც ხასიათდება დესმოგლეინზე მიმართული აუტოანტისხეულებით გამოწვეული აკანთოლიზით და ინტრაეპიდერმული ბუშტუკების ფორმირებით.

**მკურნალობა:** პაციენტს დაენიშნა პრედნიზოლონი 0.5 მგ/კგ/დღეში პერორალურად და დოზა ნელ-ნელა შეუმცირდა, პირის ღრუში - დექსამეტაზონის სავლები, ხოლო სხეულზე - კასტელანის სითხე და ცელესტოდერმის მალამო.



სურ 1




სურ 2



სურ 3



სურ 4



სურ 5



სურ 6

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Fitzpatrick's Dermatology in General Medicine 7th edition - Pemphigus P. 459-460
2. Rook's Textbook of Dermatology 7th edition, volume 1, Pemphigus vulgaris Chapter 41.5, page 2009
3. Joly P, Horvath B, Patsatsi A, Uzun S, Bech R, Beissert S et al. Updated S2K guidelines on the management of pemphigus vulgaris and foliaceus initiated by the european academy of dermatology and venereology (EADV). J Eur Acad Dermatol Venereol. 2020 Sep;34(9):1900-1913. doi: 10.1111/jdv.16752. Epub 2020 Aug 24. PMID: 32830877.
4. Andrews' Diseases of the Skin - Clinical Dermatology James William D., Elston Dirk M. 2025. Chronic Blistering Dermatoses page 472-475

*ირინა მუსერიძე, მარიამი დავლაშერიძე, სალომე ხიმშიაშვილი,  
ალექსანდრე კაციტაძე, ნატო კორსანტია*

**ველგარული პემფიგუსი - კლინიკური შემთხვევის განხილვა**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, კანისა და ვენსნეულებათა დეპარტამენტი,  
თბილისი, საქართველო

#### რეზიუმე

ველგარული პემფიგუსი არის აუტოიმუნური ბუბტუკოვანი დაავადება, რომლის დროსაც ორგანიზმში გამოიშვება IgG ანტისხეულები (ძირითადად დესმოგლეინ 3-ის და ზოგჯერ დესმოგლეინ 1-ის წინააღმდეგ) აზიანებს კერატინოციტებს შორის კავშირებს და იწვევს აკანტოლიზს და ინტრაეპიდერმული ბუბტების წარმოქმნას.

დაავადება ხშირად იწყება პირის ღრუს მტკივნეული ეროზიებით, შემდეგ კი ვრცელდება კანზე და წარმოიქმნება ადვილად სკდომადი ბუშტები, რომლებიც ტოვებს ეროზიულ ზედაპირებს. დამახასიათებელია დადებითი ნიკოლსკის ნიშანი.

დიაგნოსტიკა ეფუძნება ციტოლოგიას (აკანტოლიზური უჯრედები), ჰისტოლოგიას (სუპრაბაზალური ბუშტი) და იმუნოლოგიურ კვლევებს (ანტი-დესმოგლეინ ანტისხეულები, IgG-ის დეპოზიტები). წარმოდგენილ კლინიკურ შემთხვევაში 75 წლის პაციენტს აღენიშნებოდა პირის ღრუში განვითარებული მტკივნეული ეროზიები, შემდეგ კი - კანის დაზიანებანი: ბუშტები, ეროზიები, ქერქები. კვლევებმა დაადასტურა ვულგარული პემფიგუსი.

მკურნალობა ძირითადად მოიცავს სისტემურ კორტიკოსტეროიდებს (პრედნიზოლონი) და ადგილობრივ თერაპიას, რაც ამცირებს ანთებას და აუტოიმუნურ აქტივობას.



*სალომე ხიმშიაშვილი, მერი კაკაურიძე, ირინა მუსერიძე, მარიამი დავლაშერიძე,  
ალექსანდრე კაციტაძე, ნატო კორსანტია*

### **ქრონიკული ბალთოვანი ფსორიაზი - კლინიკური შემთხვევა**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, კანისა და ვენერიულ სნეულებათა  
დეპარტამენტი; თბილისი, საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.16>

*SALOME KHIMSHIASHVILI, MERI KAKAURIDZE, IRINA MUSERIDZE, MARIAMI  
DAVLASHERIDZE, ALEXANDER KATSITADZE, NATO KORSANTIA*

### **CHRONIC PLAQUE PSORIASIS – CLINICAL CASE**

Tbilisi State Medical University, Department of Dermatology and Venereology; Tbilisi, Georgia

#### **SUMMARY**

Psoriasis is a chronic autoimmune inflammatory skin condition characterized by recurring red, scaly patches. Its development involves a complex interaction between T lymphocytes, dendritic cells and proinflammatory cytokines, especially IL-23, IL-17 and TNF-  $\alpha$ . Typical histopathological features include: acanthosis, parakeratosis, Munro microabscesses, dilated capillaries in the dermal papillae and thinning of the skin above the papillae. This article describes the case of a 48-year-old woman with chronic plaque psoriasis, presenting with widespread red, scaly lesions on her back, elbows, buttocks and lower legs. Large, merging plaques on her sacral and gluteal areas were especially noticeable, showing thickened skin, superficial cracks and lichenification – signs of a longstanding inflammatory process.

**Keywords:** Psoriasis, Plaque Psoriasis, Immune-Mediated Disease, Chronic Dermatitis

**შესავალი.** ფსორიაზი წარმოადგენს გავრცელებულ ქრონიკულ ანთებით კანის დაავადებას, ხასიათდება პოლიგენური წინასწარგანწყობითა და გარემო ტრიგერული ფაქტორებით, როგორებიცაა სტრესი, ბაქტერიული ინფექცია, ტრავმა და მედიკამენტები. ფსორიაზს აქვს სხვადასხვა კლინიკური ფორმა, ტიპური დაზიანებები წარმოდგენილია ქრონიკული, რეციდივირებადი აქერცვლადი პაპულებითა და ბალთებით. შესაძლებელია პუსტულური გამონაყარისა და ერითროდერმიის განვითარებაც. ქრონიკული ბალთოვანი ფსორიაზი, რომელიც ფსორიაზის ყველაზე გავრცელებული ქვეტიპია, გამოირჩევა მკვეთრად შემოსაზღვრული, ვერცხლისფერი ქერცლით დაფარული ერითემატოზული ბალთებით [1,2].

**კლასიფიკაცია:** [2]

1. ვულგარული ფსორიაზი: მწვავე წვეთოვანი; ქრონიკული ბალთოვანი; პალმოპლანტარული; ინვერსული.
2. ერითროდერმული ფსორიაზი.


3. პუსტულური ფსორიაზი: პალმოპლანტარული პუსტულოზი; გენერალიზებული პუსტულური ფსორიაზი; ჰალოპოს აკროდერმატიტი.

**პათოგენეზი.** ფსორიაზის პათოგენეზში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ T-ლიმფოციტები, განსაკუთრებით Th1 ტიპის, დენდრიტული უჯრედები და პროანთებითი ციტოკინები, განსაკუთრებით IL-23, IL-17 და TNF- $\alpha$ . ფსორიაზისთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები ვითარდება ეპიდერმისის ჰიპერპროლიფერაციის, ანთებითი უჯრედების ინფილტრაციისა და სისხლძარღვების დილატაციის შედეგად. დაავადების დროს კერატინოციტების გამრავლება მნიშვნელოვნად ჩქარდება, რის გამოც ეპიდერმისის განახლების ციკლი მკვეთრად მცირდება. აღინიშნება კერატინოციტების დიფერენცირების დარღვევა და ანთებითი პროცესების მუდმივი აქტივაცია [2].

**კლინიკური მახასიათებლები.** ყველაზე ხშირი ფორმაა ქრონიკული ბალთოვანი ფსორიაზი, რომელიც ხასიათდება სიმეტრიულად გავრცელებული ბალთებით სკალპზე, იდაყვებზე, მუხლებზე და ღუნდულებს შორის. ფსორიაზული ბალთები არის ერთემატობული, მკვეთრად მოსაზღვრული კიდეებით, 1-10 სმ ან მეტი, სქელი მოვერცხლისფრო ქერცლით დაფარული. ბალთები შესაძლოა იყოს ასიმპტომური, თუმცა შემთხვევათა უმრავლესობაში ქავილი აღინიშნება. კლასიკურ ნიშნებს წარმოადგენს: კობნერის ფენომენი და აუსპიციის ნიშანი [1,2].

**ჰისტოპათოლოგია.** ფსორიაზისათვის დამახასიათებელი კლასიკური ჰისტოლოგიური ნიშნებია: ეპიდერმული ჰიპერპლაზია-აკანტოზი, პარაკერატოზი, მუწროს მიკროაბსცესი - ნეიტროფილების არსებობა რქოვანა შრეში, გრანულაციური შრის არ არსებობა ან გათხელება, გაფართოებული პაპილარული კაპილარები დერმაში, პერივასკულური ლიმფოციტები და ნეიტროფილები, სუპრაპაპილარული დერმული თირფიტების გათხელება [1,2].

**კლინიკური შემთხვევა.** 48 წლის ქალბატონმა მოგვმართა კანის ფართოდ გავრცელებული ერთემატობული, აქერცვლადი გამონაყარის, ინტენსიური ქავილისა და კანის დაჭიმულობის გამო, რომელიც განსაკუთრებით გამოხატული იყო ზურგის, ღუნდულოების, იდაყვებისა და ქვედა კიდურების არეში. (იხ. სურ. 1-6).



პაციენტის გადმოცემით დაავადება დაიწყო კიდურების გამშლელ ზედაპირებზე მცირე ზომის, მკვეთრად შემოსაზღვრული ერთემატობული პაპულების წარმოქმნით. დროთა განმავლობაში ელემენტები პროგრესულად გაიზარდა ზომიდან, შეერთდა და ჩამოყალიბდა ბალთებად, რომელიც დაფარული იყო მოვერცხლისფრო ქერცლით.

**სუბიექტურად:** უჩივის ძლიერ ქავილს, განსაკუთრებით ძლიერდება ფსიქოემოციური სტრესის პერიოდში.

**ობიექტურად:** სხეულზე, ზემო და ქვემო კიდურებზე ვლინდება მრავლობითი, მკვეთრად კონტურირებული ერთემატობული პაპულები და ბალთები, ელემენტები განსხვავდება ზომითა და კონფიგურაციით - მცირე ზომის პაპულებიდან, ფართო შერწყმულ ბალთებამდე. ბალთები ხასიათდება მკვეთრი ინფლიტრაციით, ინტენსიური ერთემატობითა და გამოხატული ჰიპერკერატოზით. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ღუნდულოებისა და საკრალურ მიდამოში არსებული ფართო შერწყმული ბალთები, სადაც აღინიშნება გამოხატული ლიქენიფიკაცია, ზედაპირული ნახეთქები და ქრონიკული ანთებითი პროცესისათვის დამახასიათებელი კანის გასქელება. დაზიანებული უბნების პერიფერიაზე შეინიშნება მრავლობითი მცირე ზომის პაპულები და ბალთები, რაც დაავადების აქტიურ პროგრესზე მიუთითებს. ლორწოვანი გარსები, თმის საფარი და ფრჩხილები ინტაქტური. ასევე, კლინიკური შეფასების საფუძველზე ფსორიაზული ართრიტისთვის დამახასიათებელი სახსროვანი სიმპტომატიკა არ დაფიქსირდა.

კანის ფართო ჩართულობის, ინტენსიური ინფილტრაციის, გამოხატული ჰიპერკერატოზისა და მრავალრიცხოვანი შერწყმული ბალთების არსებობის საფუძველზე, კლინიკური შემთხვევა განიხილება როგორც საშუალოდან მძიმე მიმდინარეობის ქრონიკულ ბალთოვან ფსორიაზად.

**მკურნალობა.** პაციენტს დაენიშნა მეტოტრექსატი 15მგ/კვირაში, პერორალურად. ფოლიუმის მჟავა 5 მგ/კვირაში. ცეტირიზინი - 10 მგ/დღეში, ხოლო ადგილობრივად - კლობეტამოლის პროპიონატი 0,05%.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. DermNet NZ. Chronic plaque psoriasis. <https://dermnetnz.org/topics/chronic-plaque-psoriasis>
2. Wolff K., Johnson R.A., Saavedra A.P., Roh E.K. Fitzpatrick’s Color Atlas and Synopsis of Clinical Dermatology. 8th ed. McGraw-Hill Education; 2017:50–61.
3. Elmetts C.A., Leonardi C.L., et al. Joint AAD-NPF guidelines of care for the management and treatment of psoriasis with awareness and attention to comorbidities. J Am Acad Derm. 2019;80(4):1073–1113.
4. American Academy of Family Physicians. Psoriasis: Guidelines for management. <https://www.aafp.org/afp/2006/0215/p636>
5. Feldman S.R. Chronic plaque psoriasis in adults: Overview of management. UpToDate. <https://www.uptodate.com/contents/chronic-plaque-psoriasis-in-adults-overview-of-management>

*სალომე ხიმშიაშვილი, მერი კაკურიძე, ირინა მუსერიძე, მარიაში დავლაშერიძე, ალექსანდრე კაციტაძე, ნატო კორსანტია*

**ქრონიკული ბალთოვანი ფსორიაზი - კლინიკური შემთხვევა**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, კანისა და ვენეროლ სნეულებათა დეპარტამენტი; თბილისი, საქართველო

**რეზიუმე**

ფსორიაზი არის ქრონიკული, აუტოიმუნური ანთებითი დაავადება, რომელიც ხასიათდება რეკურენტული ერთემატობული, აქერცვლადი ბალთებით. ფსორიაზის პათოგენეზში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ T-ლიმფოციტები, დენდრიტული უჯრედები და პროანთებითი ციტოკინები, განსაკუთრებით IL-23, IL-17 და TNF-α. ფსორიაზისათვის დამახასიათებელი კლასიკური ჰისტოლოგიური ნიშნებია: აკანტოზი, პარაკერატოზი, მუნროს მიკროაბსცესი, გაფართოებული პაპილარული კაპილარები დერმაში, სუპრაპაპილარული დერმული ფირფიტების გათხელება.

სტატია აღწერს ქრონიკული ბალთოვანი ფსორიაზის კლინიკურ შემთხვევას. პაციენტი 48 წლის ქალბატონი, უჩიოდა თვართოდ გავრცელებულ გამონაყარს ზურგის, ღუნდულოების, იდაყვებისა და ქვედა კიდურების არეში. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ღუნდულოებისა და საკრალურიმიდამოს თართო შერწყმული ბალთები, სადაც აღინიშნება გამოხატული ლიქენიფიკაცია, ზედაპირული ნახეთქები და ქრონიკული ანთებითი პროცესისათვის დამახასიათებელი კანის გასქელება.



*მარიამი დავლაშერიძე, ირინა მუსერიძე, სალომე ხიმშიაშვილი,  
ალექსანდრე კაციტაძე, ნატო კორსანტია*

**ალერგიული ჰიპერსენსიტიური ვასკულიტი – კლინიკური შემთხვევის განხილვა**  
ოსსუ, კანისა და ვენსნეულებათა დეპარტამენტი; თბილისი, საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.17>

*MARIAMI DAVLASHERIDZE, IRINA MUSERIDZE, SALOME KHIMSHIAHVILI,  
ALEXANDER KATSITADZE, NATO KORSANTIA*

**ALLERGIC HYPERSENSITIVITY VASCULITIS - CLINICAL CASE**

Tbilisi State Medical University, Department of Dermatology and Venereology; Tbilisi, Georgia

#### SUMMARY

Hypersensitivity vasculitis, which is usually represented histopathologically as leukocytoclastic vasculitis (LCV), is a term commonly used to denote a small-vessel vasculitis. There are many potential causes of hypersensitivity vasculitis; however, up to 50% of cases are idiopathic. Hypersensitivity vasculitis may present clinically as cutaneous disease only or it may be a cutaneous manifestation of systemic disease. The internal organs most commonly affected in hypersensitivity vasculitis are the joints, gastrointestinal tract, and kidneys. Hypersensitivity vasculitis may be acute and self-limited or chronic. Patients with chronic disease may experience persistent lesions or intermittent recurrence. Vasculitis may be complicated by ulceration of skin or by end-organ dysfunction however, overall, hypersensitivity vasculitis has a favorable prognosis, particularly when no internal involvement is present. Hypersensitivity vasculitis may occur at any age, but adults are more commonly affected.

**Keywords:** Allergic vasculitis, small-vessel vasculitis, immune complexes, palpable purpura.

**ალერგიული ჰიპერსენსიტიური ვასკულიტი** (ასევე ცნობილი როგორც ლეიკოციტოკლასტური ვასკულიტი ან კანის ნეკროზული ვასკულიტი) არის კანისა და მცირე ზომის სისხლძარღვების ანთებითი დაავადება. ის ვითარდება სხეულის იმუნური პასუხის შედეგად სხვადასხვა გამღიზიანებელზე (მაგ: მედიკამენტები, ინფექციები) და იწვევს სისხლძარღვთა კედლის დაზიანებას, რასაც შესაძლოა თან ახლდეს ნეკროზი. ვლინდება წვრილი, პურპურული გამონაყართ, რომელიც ძირითადად ქვედა კიდურებზეა ლოკალიზებული. ვასკულიტის დიაგნოზის დასადასტურებლად ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევა აუცილებელია, რადგან იგი საშუალებას იძლევა შეფასდეს სისხლძარღვთა კედლების ანთებითი დაზიანება და განისაზღვროს ვასკულიტის ტიპი. [2,3]

**ეტიოპათოგენები.** ალერგიული ვასკულიტი ხასიათდება კანის სისხლძარღვების ენდოთელიუმის ანთებითი დაზიანებით, რომელიც შეიძლება განვითარდეს სხვადასხვა ფაქტორის გავლენით. მათ შორის დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სხვადასხვა პრეპარატის (ანტიბიოტიკები, ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული პრეპარატები) მიმართ მომატებულ მგრძობიანობას, ინფექციური აგენტების ან აუტოიმუნური მექანიზმების ზემოქმედებას.

პათოგენებში წამყვან როლს ასრულებს სისხლძარღვთა კედლებში იმუნური კომპლექსების დაგროვება. ასევე მნიშვნელოვანია სისხლძარღვების კედლებზე მასენსიბილიზებული ლიმფოციტების ზეგავლენა. თრომბოციტებიდან, ბაზოფილებიდან და პოხიერი უჯრედებიდან გამოთავისუფლებული ვაზოაქტიური ამინები ცვლის ვენური კედლების გამტარობას, რაც ხელს უწყობს იმუნური კომპლექსების დაგროვებას. ისინი ააქტიურებენ კომპლემენტს ან უშუალოდ უკავშირდებიან იმუნოგლობულინების Fc-ფრაგმენტის რეცეპტორებს. კომპლემენტის გააქტიურების დროს წარმოქმნილი ანაფილაქსიური C3a და C5a ფრაგმენტები იწვევს პოხიერი უჯრედების დეგრანულაციას. გარდა ამისა, C5a მიიზიდავს ნეიტროფილებს, რომლებიც, თავის მხრივ, გამოყოფენ სისხლძარღვის კედლის დამშლელ ლიზოსომურ ფერმენტებს.

სენსიბილიზაციის განვითარება, სისხლძარღვებზე ინფექციურ-ტოქსიკური ფაქტორების ზემოქმედება და წარმოქმნილი სტრუქტურული დარღვევები გამოხატულებაა სისხლძარღვთა კედლის ანთებისა და ფიბრინოიდული ნეკროზისა, რასაც მოსდევს სისხლძარღვთა გამტარობის მომატება და კანზე ვითარდება პურპურა.

სისხლძარღვთა მომატებული გამტარობა კანის ალერგიული ვასკულიტების განვითარების პათოგენური ფაქტორია. მისი ხარისხი დამოკიდებულია დაავადების მიმდინარეობის სიმწვავესა და სიმძიმეზე. გამტარობა იმატებს სისხლძარღვთა მთელ სისტემაში და შეიძლება გამოვლინდეს არა მარტო დაზიანების კერებში, არამედ მოშორებულ უბნებზეც.

ვასკულიტების განვითარების პათოგენებში ასევე მნიშვნელოვანია ორგანიზმის საერთო რეაქტიულობა და მისი კომპენსატორული შესაძლებლობა. [4]

**კლინიკური შემთხვევა:** 35 წლის მამაკაცმა მოგვმართა წვივების, კოჭის მიდამოებსა და ტერფებზე არსებული გამონაყარის და შეშუპების გამო, რომელიც დაახლოებით 1 კვირის წინ დაეწყო. პაციენტის გადმოცემით, ხანგრძლივი სამუშაო დღის შემდეგ იგრძნო ფეხების ტკივილი და სიმძიმის შეგრძნება, სახლში მისვლისას კი აღმოაჩინა ჰიპერემიული უბნები ორივე წვივის და ტერფების მიდამოში. ანამნეზში პაციენტს ქრონიკული დაავადებები არ აღენიშნება. არ იღებს მედიკამენტებს, თუმცა აღნიშნა რომ ამ ჩივილების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე თავის ტკივილის კუპირებისთვის მიიღო არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალება – ნიმესულიდი.

**ობიექტურად** – ფიზიკალური გასინჯვისას გამოვლინდა ერთემატოზული პაპულები, პურპურა, პუსტულები, ლაქები, ანგიოედემა, ჰემორაგიული და ნეკროზული უბნები, სუბიექტურად, უჩიოდა ძლიერ ტკივილს, რომელიც ხელს უშლიდა სიარულში. პაციენტის ზოგადი მდგომარეობა იყოს ნორმის ფარგლებში – არ აღენიშნებოდა ტემპერატურის მატება და სახსრების ტკივილი (იხ. სურ. 1–2).



სურ. 1



სურ. 2

**დერმატოსკოპია:** წითელი წერტილები და გლობულები, პურპურული/ჰემორაგიული უბნები და მოწითალო – ნარინჯისფერი უსტრუქტურო ფონი, რაც შეესაბამება ერითროციტების ექსტრაავაზიას და სისხლძარღვთა კედლის ანთებით დაზიანებას.


**ლაბორატორიული კვლევები:** სისხლის საერთო ანალიზი, ედს, ღვიძლის და თირკმლის ფუნქციური სინჯები, რეაქტიული ცილა – ნორმის ფარგლებში.

**ჰისტოპათოლოგია:** ინფილტრატში შეინიშნება ლეიკოციტების ბირთვების დაშლა. პირდაპირი იმუნოფლუორესცენციის რეაქციით დგინდება იმუნოგლობულინების, კომპლემენტის კომპონენტებისა და ფიბრინის დალექვა.

**დასკვნა:** გამოვლენილი ჰისტომორფოლოგია, კლინიკურ ანამნეზთან კორელაციაში შეესაბამება ალერგიულ ჰიპერსენსიტიურ ვასკულიტს (იხ. სურ. 3).

**მკურნალობა:** დაენიშნა სისტემური გლუკოკორტიკოსტეროიდი – ტრიაამცინოლონი 4 მგ 1 აბი 4–ჯერ დღეში 10 დღე, სისტემური ანტიბიოტიკოთერაპია – ციპროფლოქსაცინი 500 მგ 2-ჯერ დღეში 10 დღე, მიეცა ტემპერატურის ხშირი კონტროლის რეკომენდაცია. ადგილობრივად: ადგილობრივი გლუკოკორტიკოსტეროიდი – ტრიაამცინოლონის აეროზოლი 2 დღე, მე-3 დღიდან ბეტამეტაზონის დიპროპიონატის 0.05% მალამო – 8 დღე. დინამიკაში დაკვირვება 10 დღეში.

**დინამიკა და მკურნალობის შედეგი:** ჩატარებული სისტემური და ადგილობრივი თერაპიის ფონზე აღინიშნა კლინიკურად მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. თავდაპირველად არსებული აქტიური ერითემატოზული ელემენტები სრულად რეგრესირდა. შემდგომი შეფასებისას ახალი გამონაყარი, წყლულები ან ნეკროზული კერები არ გამოვლენილა. ორივე კოჭის მიდამოში შენარჩუნებულია მხოლოდ ნარჩენი პოსტანთებითი ერითემატოზულ-ჰიპერპიგმენტური უბნები. მიღებული შედეგი შეესაბამება კანის მცირე სისხლძარღვების ვასკულიტის აქტიური პროცესის რემისიას და მკურნალობაზე კარგ კლინიკურ პასუხს (იხ. სურ. 4).



სურ. 3



სურ. 4

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. [https://emedicine.medscape.com/article/1083719-overview?st=fpf\\_login&form=login&scode=msp&socialSite=facebook&icd=login\\_success\\_fb\\_match\\_fpf](https://emedicine.medscape.com/article/1083719-overview?st=fpf_login&form=login&scode=msp&socialSite=facebook&icd=login_success_fb_match_fpf)
2. <https://onlinelibrary.wiley.com/doi/full/10.1111/j.1365-2559.2009.03443.x>
3. Cutaneous necrotizing vasculitis P. 1599 – Fitzpatrick's Dermatology in General Medicine 7th edition
4. ვასკულიტები გვ. 10-12, ალექსანდრე კაციტაძე „დერმატოლოგია და ვენეროლოგია“

*მარიამი დავლაშვილი, ირინა მუსერიძე, სალომე ხიმშიაშვილი,  
ალექსანდრე კაციტაძე, ნატო კორსანტია*

**ალერგიული ჰიპერსენსიტიური ვასკულიტი – კლინიკური შემთხვევის განხილვა**  
ოსსუ, კანისა და ვენსნეულებათა დეპარტამენტი; თბილისი, საქართველო

### რეზიუმე

ალერგიული ლეიკოციტოკლასტური ვასკულიტი წარმოადგენს მცირე ზომის სისხლძარღვების ანთებით დაავადებას, რომელიც ვითარდება იმუნური სისტემის ჰიპერსენსიტიური რეაქციის შედეგად სხვადასხვა გამლიზიანებელზე, მათ შორის მედიკამენტებსა და ინფექციურ აგენტებზე. დაავადების პათოგენეზში ცენტრალურ როლს ასრულებს სისხლძარღვთა კედლებში იმუნური კომპლექსების დეპონირება, რაც იწვევს ანთებით დაზიანებას, ენდოთელიუმის დესტრუქციას, ფიბრინოიდულ ნეკროზს და სისხლძარღვთა გამტარობის ზრდას, რასაც კლინიკურად პურპურის განვითარება მოსდევს. კლინიკურად დაავადება ვლინდება ძირითადად ქვედა კიდურებზე ლოკალიზებული პურპურით, რომელსაც შესაძლოა თან ახლდეს ერთემატოზული პაპულები, კვანძები, წყლულები და ნეკროზული ელემენტები. დიაგნოზის დადასტურებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჰისტოპათოლოგიურ კვლევას, რომელიც ავლენს ლეიკოციტოკლასტურ ინფილტრაციას, იმუნოგლობულინებისა და კომპლემენტის დეპოზიტებს.

სტატია აღწერს 35 წლის მამაკაცის კლინიკური შემთხვევას, რომელსაც ქვედა კიდურებზე განუვითარდა პურპურული გამონაყარი და ანგიოედემა, სავარაუდოდ არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო პრეპარატის მიღების შემდეგ. კლინიკურმა, დერმატოსკოპიულმა და ჰისტოლოგიურმა მონაცემებმა დაადასტურა ალერგიული ჰიპერსენსიტიური ვასკულიტის დიაგნოზი. ჩატარებული სისტემური და ადგილობრივი მკურნალობის ფონზე აღინიშნა გამოხატული კლინიკური გაუმჯობესება და პროცესის რემისია.



*თამარ ხეჩინაშვილი, რაშად ტალიშინსკი, ნინო მჭედლიშვილი, ნატო ნაკუდაშვილი,  
მარიამ ლომაია, ლალი ბერიძე, ზაზა ნაკუდაშვილი*

**ზოგიერთ კლინიკურ-ლაბორატორიულ მაჩვენებელთა ცვლილებები ქრონიკული  
მეორადი იმუნოლისფუნქციისა და თანმხლები დაავადებების ფონზე მიმდინარე  
ქრონიკული რინოსინუსიტების სხვადასხვა ფორმის შემთხვევებში**

ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა ეროვნული ცენტრი; ჯაფარიძე-ქვეანიშვილის კლინიკა;  
ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი; თბილისი, საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.18>

*TAMAR KHECHINASHVILI, RASHAD TALISHINSKI, NINO MCHEDLISHVILI, NATO  
NAKUDASHVILI, MARIAM LOMAIA, LALI BERIDZE, ZAZA NAKUDASHVILI*

**CHANGES IN SELECTED CLINICAL AND LABORATORY PARAMETERS IN VARIOUS FORMS OF  
CHRONIC RHINOSINUSITIS ASSOCIATED WITH CHRONIC SECONDARY IMMUNE  
DYSFUNCTION AND CONCOMITANT DISEASES**

National Center of Otorhinolaryngology; Japaridze-Kevanishvili Clinic;  
Center of Allergy and Immunology; Tbilisi, Georgia

### SUMMARY

Chronic secondary immunodeficiency (SID) is a disorder of the immune system that affects individuals across age groups. The development of SID is associated with infectious diseases; adverse climatic and environmental conditions (including radiation exposure and related factors); allergic diseases and bronchial asthma; endocrine disorders such as hypothyroidism and diabetes mellitus; as well as various

other concomitant pathologies. SID leads to impairment of the barrier and eliminatory functions of the mucous membrane of the nasal cavity and paranasal sinuses, prolonged persistence of infectious agents, and the development of chronic inflammatory processes characterized by a recurrent clinical course.

The present study aimed to investigate and analyze alterations in selected clinical and laboratory parameters across various forms of chronic rhinosinusitis that develop in the setting of chronic secondary immune dysfunction and associated comorbidities.

A total of 157 individuals aged between 15 and 72 years were enrolled in the study, including 78 men and 59 women, among whom 20 subjects were considered practically healthy controls. The remaining 137 patients presented with various forms of chronic rhinosinusitis associated with SID, including bacterial rhinosinusitis (37 cases), rhinosinusitis caused by mixed microflora (62 cases), and invasive fungal rhinosinusitis (33 cases). Mycetoma was identified in 6 cases. In addition, allergic rhinosinusitis was diagnosed in 34 patients, while polypoid rhinosinusitis was observed in 18 cases. Associated comorbid conditions included allergy and bronchial asthma (34 cases), AIDS (27 cases), fungal infections (25 cases), hypothyroidism (23 cases), and diabetes mellitus (28 cases).

A detailed medical history was obtained from all study participants. Comprehensive otorhinolaryngological evaluation was performed using both routine and advanced diagnostic approaches, including fiber-optic endoscopic examination, modern radiological imaging techniques, and microbiological investigation of nasal and paranasal sinus swab specimens. Histopathological and immunohistochemical analyses were conducted on biopsy and postoperative tissue materials. Immunophenotyping of venous blood samples was performed using flow cytometry based on the application of monoclonal antibodies directed against CD markers. Enzyme-linked immunosorbent assay (ELISA) was used to determine serum levels of immunoglobulin classes IgA, IgM, IgG, and IgE, as well as circulating immune complexes (CICs).

Radiological investigations demonstrated that, in the setting of secondary immune dysfunction, the maxillary sinuses were the most frequently affected paranasal sinuses (58 cases). It should be emphasized that inflammatory processes in these patients were predominantly bilateral (45 cases;  $P > 0.05$ ). The microbiological spectrum of chronic rhinosinusitis associated with SID and concomitant diseases was highly diverse. Against the background of chronic concomitant diseases, SID exerts a significant influence on the microbiological landscape of rhinosinusitis, predisposing patients to infections caused by more complex and multicomponent pathogenic microorganisms. Immune system dysfunction, becoming allergic, hormonal problems, and fungal infections all play a major role in making inflammatory conditions long-term.

Based on the aforementioned findings, it should be emphasized that understanding the immunological characteristics of patients with chronic rhinosinusitis associated with chronic secondary immune dysfunction constitutes an essential prerequisite for conducting differentiated immunological investigations and implementing individualized therapeutic approaches. Such strategies would facilitate the timely identification of pathological processes, the establishment of appropriate and effective treatment protocols, and their subsequent application in clinical medical practice.

**Keywords:** SID, chronic rhinosinusitis, comorbid diseases, diabetes mellitus, allergy, AIDS

ქრონიკული მეორადი იმუნური დეფიციტი (მიდ) წარმოადგენს იმუნური სისტემის დაავადებას, რომელიც ვლინდება როგორც ბავშვებში, ასევე უფროსი ასაკის ადამიანებში. მიდ-ი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შეძენილი, ინდუცირებული და სპონტანური ფორმების სახითა და არსებული სიმპტომატიკა კი ვლინდება ამა თუ იმ ორგანოს ან ორგანოთა სისტემების დაზიანების სახით და არ არის დაკავშირებული გენეტიკური დეფექტების არსებობასთან [2,6,7]. მისი განვითარდება განპირობებულია: ბაქტერიული, ვირუსული და მიკობური ინფექციების; არასათანადო კვების, კლიმატური პირობების (რადიაციისა და ა.შ.), ალერგიისა და ბრონქული ასთმის; ენდოკრინული დარღვევების ჰიპოთირეოზის, შაქრიანი დიაბეტის და სხვა დაავადებების არსებობით [2,5,7]. მიდ-ი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს ცხვირისა და დანამატი წიაღების ლორწოვანი გარსის ბარიერული და ელიმინაციური ფუნქციის დაქვეითებას

[1,3], ინფექციური აგენტის ხანგრძლივ პერსისტენციას და ქრონიკული ანთების ჩამოყალიბებას, რომელსაც აქვს ტენდენცია რეციდივირებადი მიმდინარეობისაკენ [4,6,7].

წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომის მიზანია ქრონიკული მეორადი იმუნოდისფუნქციისა და თანმხლები დაავადებების ფონზე მიმდინარე სხვადასხვა ფორმის ქრონიკული რინოსინუსიტების შემთხვევებში ზოგიერთ კლინიკურ-ლაბორატორიულ მაჩვენებელთა ცვლილებების შესწავლა და გაანალიზება. ამ მიზნით შესწავლილი იყო 15-დან 72 წლამდე ასაკის მქონე 157 ადამიანი (78 მამაკაცი და 59 ქალი), რომელთაგან 20 იყო პრაქტიკულად ჯანმრთელი პირი, ხოლო 137 იყო ქრონიკული მეორადი იმუნური დეფიციტის მქონე ავადმყოფი, რომლებსაც აღენიშნებოდათ ქრონიკული რინოსინუსიტის (რნს) სხვადასხვა ფორმა. ყველა შემთხვევაში სუბიექტურად დეტალურად შეგროვილი იქნა ანამნეზი და ჩატარდა ლორ-ორგანოების ობიექტური გამოკვლევა რუტინული და თანამედროვე (ბოჭკოვან-ოპტიკურ განათებაზე დაფუძნებული ენდოსკოპიური კვლევა) მეთოდების გამოყენებით. პრაქტიკულად თითქმის ყველა შემთხვევაში ტარდებოდა: ტრადიციული და თანამედროვე (კომპიუტერული (კტ) და მაგნიტურ-ბირთვულ-რეზონანსული ტომოგრაფია (მბრტ)) რენტგენოლოგიის გამოყენება; ცხვირისა და დანამატი წიაღებიდან აღებული ნაცხის მიკრობიოლოგიური კვლევა; ბიოფიზიკური და ოპერაციის შემდგომ აღებული ქსოვილური მასალის პათოჰისტომორფოლოგიური (მაკ-მაგნუსისა და სხვა მეთოდებით) და იმუნიჰისტოქიმიური მეთოდებით გამოკვლევები. მიკობური ინფექციის დადგენა ხდებოდა მორფოლოგიური მეთოდით და ასევე ამპერომეტრიული იმუნოფერმენტული სენსორული მეთოდის გამოყენებით, რომლითაც განისაზღვრებოდა სოკოს უჯრედული მემბრანის ცირკულირებადი მანოპროტეინული ანტიგენი.

იმუნური ფუნქციის შესწავლისას ხდებოდა გამოსაკვლევი პირების ვენოზური სისხლის იმუნოფენოტიპირება გამდინარე ციტომეტრიის მეთოდის გამოყენებით, რომელიც დაფუძნებული იყო CD - მარკერებისადმი მონოკლონური, ანტისხეულების გამოყენებაზე. იმუნოფერმენტული ანალიზის გამოყენებით ხდებოდა ჰუმორალური იმუნიტეტის შესწავლა, სახელდობრ სისხლის შრატში A, M, G და E კლასის იმუნოგლობულინების და ცირკულირებადი იმუნური კომპლექსის (ციკ-ის) დონეების განსაზღვრის გზით. მიკრობიოლოგიური კვლევისათვის ხდებოდა ცხვირიდან აღებული ნაცხისა და წიაღებიდან პუნქციით მიღებული შიგთავსის მიკრობიოლოგიური კვლევა ტარდებოდა ბაქტერიოლოგიული, ბაქტერიოსკოპული, სეროლოგიური მეთოდებით, ხოლო - საჭირო შემთხვევაში - ასევე იფა-ას (იმუნოფერმენტული ანალიზისა) და პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის (PSR) მეთოდის გამოყენებით.

ჩვენს მიერ შესწავლილი იყო სხვადასხვა ფორმის ქრონიკული რინოსინუსიტების გავრცელების სიხშირე ქრონიკული მეორადი იმუნოდისფუნქციისა და ზოგიერთი თანმხლები დაავადების, სახელდობრ ალერგიისა და ბრონქული ასთმის (34), შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომის (შიდს-ის) (27), მიკობური ინფექციის (25), ჰიპოთირეოზისა (23) და შაქრიანი დიაბეტის (28) შემთხვევებში.

137 ავადმყოფს შორის 37 ადამიანი დასნეულებული იყო ქრონიკული ბაქტერიული რინოსინუსიტით, 62-შერეული მიკროფლორის (ბაქტერიული + მიკობური მიკროფლორის) ფონზე მიმდინარე ქრონიკული რნს-ით, ხოლო 33 ქრონიკული მიკობური (ინვაზიური ფორმის) რნს-ით, რომელთაგან 6 შემთხვევაში აღენიშნებოდათ მიცეტომა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ რინოსინუსიტთან ავადმყოფებს შორის: 34 იყო ალერგიული რინოსინუსიტით და მათ ჰქონდათ ალერგიული რინიტი და ბრონქული ასთმა და 18-ს ჰქონდა პოლიპოზური რინოსინუსიტი.

ყველა შემთხვევაში 137 ავადმყოფი უჩიოდა: ცხვირიდან ყინვისა და სუნთქვის დარღვევას (პერიოდული ან გამოხატული და მდგრადი ხასიათის დახშულობის სახით); ცხვირიდან უფერულ, წყლისებურ და გამჭირვალე (ალერგიული რნს-ის შემთხვევაში); ლორწოვანი ან

ლორწოვან-ჩირქოვანი (ალერგიული და მიკოზური რნს-ის შემთხვევაში); ჩირქოვანი ხასიათის ან სისხლნარევი მუქი ან შავი შეფერილობის გამონადენის არსებობას (შიდსი-ისა და ინვაზიური მიკოზური რნს-ების მიმდინარეობისას). თითქმის ყველა ფორმის ქრონიკული რინოსინუსიტის შემთხვევაში, განსაკუთრებით კი მათი ალერგიული ფორმის პაციენტები აღნიშნავენ ირიტაციული ხველების, ხშირი ცხვირის ცემინების, თვალბუდისა და ცხვირის არეში ქავილისა და წვის შეგრძნების არსებობას; ასევე თვალბუდისა და თვით სახის არეში შეშუპებისა და ტკივილის შეგრძნებას წიაღების საპროექციო არეებში, რომელებიც ზოგჯერ ასევე ხელით შეხებითაც (პალპაციით) იყო მტკივნეული. რინოსინუსიტის ავადმყოფები ხშირად უჩიოდნენ შემცივნების შეგრძნების არსებობას; ზოგად სისუსტეს, უმადობას და ფიზიკური დატვირთვისას ადვილად დაღლას და ქოშინის გაჩენას. ობიექტურად ცხვირის ღრუში და სინუსებში ლორწოვანი გარსი იყო დიფუზურად შეშუპებული და ჰიპერემიული. აღინიშნებოდა განსაკუთრებით ქვედა და რიგ შემთხვევებში შუა ნიჟარების ჰიპერტროფია. ზოგიერთ შემთხვევაში ალერგიის არსებობისას ლორწოვანი გარსი იყო ფერმკრთალი, ციანოზური და შეშუპებული. შიდსის შემთხვევაში ცხვირის ღრუსა და წიაღებში გამოვლიდა გათხელებული და ადვილად ტრავმირებადი და ალაგ-ალაგ ნეკროზულ-წყლულოვანი ცვლილებების მქონე ლორწოვანი გარსი; მიკოზის შემთხვევაში ამ ანატომიურ ნაწილების კედლებზე აღინიშნებოდა მუქი ფერის ქერქები ან ერთიანი მიკოზისთვის დამახასიათებელი ნაღები და ასევე სისხლნარევი სუნის გამოხატვა. ზოგიერთ შემთხვევაში აღინიშნებოდა პოლიპები, გრანულაციები და მიცეტომა ან მიცელიუმის ღრუბები კონგლომერანტის შექმნის გარეშე.

ყველა 137 ავადმყოფი განაწილებული იყო შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებში: I-ლი და მე-V ჯგუფები შეადგინა 21 და კიდევ 21-მა ავადმყოფმა, შესაბამისად მათი ასაკი იყო 15-დან 25 წლის და 56-დან 65 წლის ჩათვლით; მე-II-ში შევიდა 28 ავადმყოფი - 26-დან 35 წლის ჩათვლით, მე-III -ში იყო 23 ადამიანი, რომელთა ასაკი იყო 36-45 წელი და მე-IV ჯგუფში შევიდა 25 ადამიანი, რომელთა ასაკი იყო 46-დან 65 წლის ჩათვლით და მე-VI-ში (66-71 წელი) - 19 ადამიანი.

გამოკვლევულ ავადმყოფებში ასაკის მატებასთან ერთად ქრონიკული მეორადი იმუნოდეფიციტის ფონზე შაქრიანი დიაბეტის (14%-დან 18% და 21%-მდე ქრნს-ის სრმ-ი), ჰიპოთირეოზისა (9%-დან 17% და 22%-მდე ქრნს-ის სრმ-ი) და მიკოზური ინფექციის (8%-დან 24% და 29%-მდე ქრნს-ის სრმ-ი) შემთხვევებში აღინიშნება გამოვლენილი ქრონიკული რინოსინუსიტების სიხშირის რაოდენობრივი მაჩვენებლის გამოხატული ზრდა და შესაბამისად თითოეული მათგანის სტატისტიკური მაჩვენებლები სარწმუნოა  $P>0,05$ ,  $P>0,05$  და  $P>0,1$ . ალერგიისა და ბრონქული ასთმის მიმდინარეობისას ქრნს-ის სრმ-ის სიდიდე მცირდება 18%-21%-დან 15%-მდე, ხოლო შიდსი-ის არსებობისას - მაღალია და თითქმის ყველა დასახელებულ ასაკობრივ ჯგუფებში ქრნს-ის სრმ-ი სტაბილურად ერთნაირი სიდიდის მქონეა და მერყეობს 19%-დან 15% და 19%-მდე, ხოლო  $P<0,05$ . 15-დან 40 წლის ჩათვლით ასაკობრივ ჯგუფებში ქრონიკული რნს-ის განვითარებაში წამყვანი, ე.წ. "რისკ-ფაქტორებია" ალერგია (ქრნს-ის სრმ-ის სიდიდე 18%-21%-დან 15%-მდე) და არაკონტროლირებადი შაქრიანი დიაბეტი (ქრნს-ის სრმ-ის სიდიდე 14%-18%-დან 14%-მდე) და შესაბამისად  $P>0,05$  და  $P>0,05$ . 40 წელზე მეტი ასაკის ადამიანებში ეს ფაქტორი განისაზღვრება ჰიპოთირეოზისა და იმუნური სისტემის ასაკობრივი ცვლილებებით. 30-50 წლის ასაკის მქონე ადამიანებში ჰიპოთირეოზისა (ქრნს-ის სრმ-ის სიდიდე მატულობს 13%-17%-დან 22%-მდე) და ისეთი ქრონიკული ინფექციების, როგორცაა შიდსი-ის შემთხვევაში აღინიშნება ხსენებული რნს-ის კლინიკური მიმდინარეობის მკვეთრი გაუარესება და 50-წლიდან ზემოთ 71 წლამდე ასაკის მქონე ადამიანებში ინვაზიური მიკოზისა ქრნს-ის სრმ-ის სიდიდე მეტად მაღალია და არის 24%-დან 20% და 28%-მდე ( $P>0,05$ ) და ჰიპოთირეოზის შემთხვევებში ანალოგიური

მაჩვენებელის სიდიდე მერყეობს 22%-დან 17% და 22%-მდე ( $P>0,05$ ), ხოლო ამავე ორივე დაავადების შემთხვევებში ქრონიკული რსნ-ის კლინიკური მიმდინარეობა მძიმეა.

ჩატარებული რენტგენოლოგიური კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მეორადი იმუნოლოგიური ფუნქციის ფონზე, ცხვირის დანამატ წიაღებს შორის ყველაზე ხშირად აღინიშნა ზედა ყბის (ჰაიმორის) წიაღების დაზიანება (58 შემთხვევა), რაც განპირობებულია იმით, რომ სხვა წიაღებთან შედარებით მათი მოცულობა ანატომიურად უფრო მეტია, კბილებთან ახლოს მდებარეობენ, ხოლო მათი სადრენაჟო ხვრელი ვიწროა და წიაღში პათოლოგიური პროცესების არსებობისას ადვილად იხურება. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში ანთებითი პროცესები უპირატესად ორმხრივია (45) ( $P>0,01$ ), თუმცა რიგ შემთხვევებში შეიძლება იყოს ერთმხრივიც (13). შაქრიანი დიაბეტის და ჰიპოთირეოზის შემთხვევებში, ყველაზე ხშირად პათოლოგიური პროცესი ლოკალიზებული იყო ჰაიმორის წიაღების საპროექციო არეში (38), ხოლო ინვაზიური მიკოზის შემთხვევებში, სახელდობრ მუკორმიკოზისა და ასპეგილუსის არსებობისას კტ-ზე და მრტ-ზე დიდი სიხშირით გამოვლენილი იყო ეთმოთიდიტი (31), და სფენოიდიტი (18). ძალიან ხშირად სწრაფად ჩნდებოდა ინტრაორბიტული (ან ინტრაკრანიალური გართულებები, ან ყალიბდებოდა პოლისინუსიტები. 13 შემთხვევაში გამოვლენილი იყო ცალმხრივი, ოდონტოგენური წარმოშობის სინუსიტი-ჰაიმორიტი.

შიდსი-იან ავადმყოფებში იყო პოლისინუსიტის შემთხვევები (8) და ასევე გამოვლენილი იქნა ცხავისა (11) და სოლისებრი წიაღების დაზიანებები (8). ალერგიისა და ბრონქული ასთმის არსებობისას გამოვლენილი სინუსიტები იყო ორმხრივი და სიმეტრიულად წარმოდგენილი და მათში აღინიშნებოდა პათოლოგიური ექსუდატი (9). ალერგიული და სხვა ფორმების ხანგრძლივად (ქრონიკულად) მიმდინარე რსნ-ების შემთხვევებში აღინიშნა პოლიპოზური რინო-სინუსიტების არსებობა (18).

ზემოხსენებული მეორადი შიდს-ის ფონზე მიმდინარე ქრონიკული რინოსინუსიტები ხასიათდებოდნენ საკმარისად გამოხატული სპეციფიკური პათომორფოლოგიური და იმუნოლოგიური მონაცემების არსებობით. პირველი მათგანის შემთხვევაში ცხვირისა და სინუსების არეებში ლორწოვანი გარსი იყო ჰიპერტროფიული და შეიცავდა დიდი რაოდენობით - ნეიტროფილებს და ლიმფოციტებს, რაც წარმოადგენს მათში ექსუდატის დაგროვების წინაპირობას. ალაგ-ალაგ აღინიშნებოდა ფიბროზული არეები, რაც მიუთითებდა პათოლოგიური პროცესის ხანდაზმულობაზე. გარდა ამისა დაფიქსირებული იყო პოლიპებისა და კისტების არსებობა და ლორწოვან გარსში ეროზიული უბნების არსებობა.

იმუნოჰისტოქიმიით შიდსი-ისა და დიაბეტის შემთხვევაში CD 4+ - T- ჰელპერი - და CD 8+ T- კილერი ლიმფოციტების რაოდენობა (უჯ/მკლ) იყო მცირე, შესაბამისად მათგან პირველში იყო - CD 4+-ის, რაც მიუთითებდა უჯრედული იმუნიტეტის აქტივობის შემცირებაზე, ალერგიული კომპონენტის არსებობისას. ეოზინოფილებისა და Th2- ციტოკინების რაოდენობის იყო მომატებული და ხასიათდებოდა IL-4, IL-5 და IL-13-ის პრაქტიკულად გაზრდილი ექსპრესიის არსებობით, ქრონიკული ანთებითი პროცესის არსებობა განისაზღვრებოდა ანთებადი ციტოკინების (IL-1ბეტა, IL- 6, TNF-a ) მომატებული ექსპრესიით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე უჯრედული იმუნიტეტის კომპონენტის დარღვევა, ალერგიული სენსიბილიზაცია, ენდოკრინული დარღვევები და მიკოზური ინფექციის არსებობა ხელს უწყობენ ანთებითი პროცესების გაქრონიკულებას და ეს კი თავის მხრივ მოითხოვს განსაკუთრებულ მიდგომას ამავე პაციენტების მკურნალობასა და დიაგნოსტიკაში.

შიდსი-ისა და თანმხლები დაავადებების ფონზე არსებული ქრნს-ების მიკრობიოლოგიური პეიზაჟი არის შემდეგნაირი: შაქრიანი დიაბეტის შემთხვევაში გამოვლინდა - *Haemophis influenzae*, *Echerichia coli*, *Klebsiella pneumoniae*, *Fusobacterium spp.*, *Prevotella spp.*, *Candida spp.*, და *Aspergillus*

spp.-ის სახის სოკოები. ჰიპოთირეოზის შემთხვევაში მიკრობიოლოგიურ სურათში, მსგავსად შაქრიანი დიაბეტისა, ანალოგიური პათოგენური მიკროორგანიზმები შედის, მაგრამ ამ ბოლოსაგან განსხვავებით გამოვლინდა *Staphylococcus aureus*, *Streptococcus pneumoniae* და *Moraxella catarrhalis*. შიდსი-ის შემთხვევაში ადამიანის იმუნური სისტემა ძალიან დაქვეითებულია და ის ადვილად ავადდება არამარტო ვირუსული, ასევე სოკოვანი პათოლოგიური პროცესებით. ჩატარებული კვლევებით ამ პაციენტებში გამოვლენილი იყო იშვიათი და რეზისტენტული მიკროორგანიზმები *Pneumocystis jirovecii*, *Escherichia coli*, *Pseudomonas aeruginosa*, *Fusobacterium* spp., *Cryptococcus neoformans*, *Mycobacterium tuberculosis* და ციტომეგალოვირუსი, რომლებიც მკვეთრად აუარესებენ ქრონიკულ რინოსინუსიტების კლინიკურ მიმდინარეობას.

ალერგიის შემთხვევაში მიმდინარე რინოსინუსიტების დროს უფრო ხშირად ფიქსირდება ბაქტერიები, როგორცაა *Moraxella catarrhalis*, *Staphylococcus aureus*, *Streptococcus pneumoniae*, *Haemophilus influenzae*, ხოლო პაციენტებში აღინიშნება მათი ჰიპერმგრძობელობა *Candida albicans*-ისა და *Aspergillus* spp.-ის სახის სოკოებისადმი, რომლებიც ინვევენ ზედა სასუნთქი გზების (ზსგ-ის) მიკოზს. მიკოზური ინფექციის შემთხვევაში პარანაზალურ სინუსებში ვლინდება ისეთი სოკოები როგორცაა - *Aspergillus fumigatus*, *Candida albicans*, *Rhizopus* spp. და *Mucor*-ი. ეს ბოლო კი დიაბეტიან ან შიდსი-ან ავადმყოფებში ინვევს მუკოზის განვითარებას. ამავე შემთხვევებში თუ არიან ბაქტერიები და მათი რაოდენობა დიდია, ეს მკაფიოდ ჩანს *Staphylococcus aureus* და *Streptococcus pneumoniae* -ის არსებობისას.

ამრიგად, არსებული ქრონიკული თანმხლები დაავადებების ფონზე მიდ-ი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამ შემთხვევებში მიმდინარე რინოსინუსიტების მიკრობიოლოგიური პეიზაჟის შემადგენლობაზე და ამ შემთხვევებში პაციენტები უფრო ადვილად ავადდებიან უფრო რთული და მრავალკომპონენტური პათოგენებით. იმუნოლოგიური მაჩვენებლების შესწავლით ქრონიკული რინოსინუსიტისა და მიდ-ის ფონზე მიმდინარე შაქრიანი დიაბეტის შემთხვევაში პაციენტების ვენოზურ სისხლში CD4+ უჯრედების (ანუ T-ლიმფოციტების) რაოდენობა და შეფარდება – CD4+/CD8+-ის, ნეიტროფილური ჰემოტაქსისი და ფაგოციტოზი იყო დაბალი. ციტოკინების IL-6, როგორცაა ბაქტერიული, მიკოზური ხასიათის და TNF-a - ის დონე იყო მაღალი. სისხლის შრატში არსებული იმუნოგლობულინებიდან აღინიშნებოდა IgA-ს დაქვეითება; IgG სისხლში ხასიათდებოდა დაგვიანებული ჰიპოგამაგლობულინემიით ე.ი. მისი დონის შემცირებით. IgM-ის დონე სისხლში იყო ნორმალური. ყოველივე ეს მიუთითებდა წიაღებში ჩირქოვან-ნეკროზულ პროცესზე.

ჰიპოთირეოზის შემთხვევაში სისხლში აღინიშნებოდა CD3+ და CD4+-ის ზომიერი დაქვეითება. იმუნური უჯრედების მეტაბოლური აქტივობა და ანტისხეულების პროდუქცია იყო დაქვეითებული. სისხლის შრატში IgA, IgG და IgM იყო ნორმის ფარგლებში, ან იყო რამდენადმე მომატებული. ყოველივე ეს დამახასიათებელია დუნედ და ქრონიკულად მიმდინარე ანთებითი პროცესისათვის. ალერგიული რსნ-ები ხასიათდებოდა სისხლში CD4 + Th2 -ლიმფოციტების, IL, IL-5, IL-13 და IgE-ს მაღალი დონის არსებობით. ამ შემთხვევებში ინფექციის საწინააღმდეგო დაცვა იყო დაქვეითებული ალერგიის დროს. IgE-ს დონე სისხლში მომატებულია და ეს დაკავშირებულია ალერგენებზე პასუხად იმუნური სისტემის უჯრედების ბაზოფილების და ღრუბლისებრი უჯრედების) აქტივაციასთან, სისხლში აღინიშნებოდა IgA-ს დონის ან ნორმალური ანდა რამდენადმე დაქვეითებული მაჩვენებელი. IgG-ის დონე სისხლის შრატში იყო ნორმალური და ის დამოკიდებულია ინფექციაზე პასუხის წარმოქმნაზე, ვიდრე ალერგიული მდგომარეობაზე. IgM-ის დონე სისხლში იყო ნორმალური, რაც ასევე ალერგიული პროცესებისათვის იყო დამახასიათებელი.

შიდსის მიმდინარეობისას სისხლში აღინიშნებოდა CD4+ მკვეთრი დაქვეითება (მისი ზღურბლი იყო კრიტიკული), CD8+ შედარებით მეტი, CD4+/CD8 და NK უჯრედების მაჩვენებელი იყო დაბალი, რაც თავის მხრივ დამახასიათებელი იყო ორგანიზმში ატიპური მიკროფლორის და სოკოვანი ინფექციების არსებობისათვის. სისხლის შრატში IgA-ს, IgG-ის და IgM-ის დონეები იყო ნორმალური და დაავადების შორს წასულ შემთხვევაში იყო მცირე, რაც განპირობებული იყო ორგანიზმში არასაკმარისი რაოდენობით ანტისხეულების არსებობით და ხასიათდებოდა ამ პაციენტების ინფექციებით ადვილად დასნეულებით.

მიკოზის შემთხვევაში სისხლში CD4+ მკვეთრად იყო დაქვეითებული, ასევე დაბალი იყო ნეიტროფილური ფუნქცია. შემთხვევათა ერთ ნაწილში-IL-1 და TNF-a იყო მაღალი და მეორეში - იყო დაბალი. სისხლის შრატში IgA-ს დონე იმუნოდეფიციტის შემთხვევაში ხშირად იყო დაბალი და რიგ შემთხვევებში პათოლოგიური პროცესის ქრონიკული და მდგრადი მიმდინარეობისას ეს რაოდენობრივი მაჩვენებელი იყო ნორმალური ან მომატებული. შრატში IgM-ის შემცველობის დონე იყო ზომიერად მომატებული ან ნორმალური, ხოლო IgG-ის იყო დაქვეითებული ან მომატებული, რაც ასევე მიუთითებდა ზემოხსენებული პროცესების მიმდინარეობის თავისებურებებზე. გარკვეულ შემთხვევებში (7) IgE -ს დონე იყო მომატებული და ადასტურებდა მიკოზური სენსიბილიზაციის არსებობას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ ქრონიკული მეორადი იმუნური დისფუნქციის შემთხვევებში არსებული ქრონიკული ფორმის რინოსინუსიტების მქონე ავადმყოფებში იმუნოლოგიური თავისებურებების ცოდნა აფუძნებს აუცილებელ მოთხოვნას იმის შესახებ, რომ დაავადებულ ადამიანებში ჩატარდეს დიფერენცირებული იმუნოლოგიური გამოკვლევა და ინდივიდუალიზირებული მიდგომით განხორციელდეს მათი თერაპიული მკურნალობა. ყოველივე ეს თავის მხრივ ხელს შეუწყობს: ამავე პათოლოგიური პროცესების დროულად გამოვლინებას და მართებული და ეფექტური მკურნალობის დასახვას და შესაბამისად პრაქტიკულ მედიცინაში გამოყენებას.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Захарова Г.П. Характеристика ультраструктурных особенностей слизистой оболочки верхнечелюстной пазухи при хроническом риносинусите. Новости оториноларингологии и логопатологии. 2002; Т3;25-9
2. Смирнова О.В., Синяков А.А., Изменение клеточного и гуморального иммунитета с хроническим риносинусите в зависимости от фенотипа заболевания. Жур. Инф и иммунитет, 2024, т14, N6, 1097-1103.
3. Benninger M.S., Ferguson B.J. et al. Adult chronic rhinosinusitis: definitions, diagnosis, epidemiology and pathophysiology. Ytad Neck Surg., 3003, vol. 129(3 Suppl.), pp.51-532.
4. Jonson J.T., Yu V.L. Infection diseases and antibacterial therapy of ears, nose and throat. Phyladelphia US: Saunders, 1997, p.641.
5. Kingdom TT. Swain RE. Jr. The microbiology and antimicrobial resistance patterns in chronic rhinosinusitis. Am.J. Otolaryngol.2004, Sep-Oct; 25(5): 323-328.
6. Kirtsreesakul V. Nazal polyps the relationship to allergy, sinosal infection and hystopathological type.,Med.Assoc.Thai., 2004, ; Mar.: 87(3):277-282
7. Van Crombruggen, Zhang N. et al. Pathogenesis of chronic rhinosinusitis inflammation. J. Allergy Clin. Immunol, 2011; 128(4): 728-732

თამარ ხეჩინაშვილი, რაშად ტალიშინსკი, ნინო მჭედლოშვილი, ნატო ნაკუდაშვილი,  
მარიამ ლომია, ლალი ბერიძე, ზაზა ნაკუდაშვილი

**ზოგიერთ კლინიკურ-ლაბორატორიულ მაჩვენებელთა ცვლილებები ქრონიკული მეორადი  
იმუნოდისფუნქციისა და თანმხლები დაავადებების ფონზე მიმდინარე ქრონიკული  
რინოსინუსიტების სხვადასხვა ფორმის შემთხვევებში**

ყვლის, ყურის და ცხვირის სნეულებათა ეროვნული ცენტრი; ჯაფარიძე-ქევანიშვილის კლინიკა;  
ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი; თბილისი, საქართველო

**რეზიუმე**

ქრონიკული მეორადი იმუნური დეფიციტი (მიდ-ი) ვლინდება სხვადასხვა ასაკის ადამიანებში და ვითარდება ინფექციების, კლიმატური პირობების (რადიაციისა და ა.შ.), ალერგიისა და ბრონქული ასთმის; ენდოკრინული დარღვევების და სხვა დაავადებების არსებობის შემთხვევებში. ის იწვევს ცხვირისა და დანამატი წიაღების ლორწოვანი გარსის ბარიერული და ელიმინაციური ფუნქციის დაქვეითებას, ინფექციური აგენტის ხანგრძლივ პერსისტენციას და ქრონიკული ანთების ჩამოყალიბებას, რომელსაც აქვს ტენდენცია რეციდივირებადი მიმდინარეობისაკენ.

ნაშრომის მიზანია ქრონიკული მეორადი იმუნოდისფუნქციისა და თანმხლები დაავადებების ფონზე მიმდინარე სხვადასხვა ფორმის ქრონიკული რინოსინუსიტების შემთხვევებში ზოგიერთ კლინიკურ-ლაბორატორიულ მაჩვენებელთა ცვლილებების შესწავლა და გაანალიზება. შესწავლილი იყო 15-დან 72 წლამდე ასაკის მქონე 157 ადამიანი (78 მამაკაცი და 59 ქალი), რომელთაგან 20 იყო პრაქტიკულად ჯანმრთელი პირი. 137 ავადმყოფს აღენიშნებოდა ქრონიკული მიდ-ის მქონე სხვადასხვა ფორმა (37 ბაქტერიული, 62 - შერეული მიკროფლორის და 33 მიკოზური რინოსინუსიტი. 6 შემთხვევაში აღინიშნებოდათ მიცეტომა. გარდა ამისა 34-ში - ალერგიული რინოსინუსიტი და 18-ში პოლიპოზური რინოსინუსიტი. თანმხლებ დაავადებებს შორის იყო ალერგიისა და ბრონქული ასთმის (34), შიდსი-ის (27), მიკოზური ინფექციის (25), პიპოთირეოზისა (23) და შაქრიანი დიაბეტის (28) შემთხვევები. ყველა გამოსაკვლევ პირში დეტალურად შეგროვილი იქნა ანამნეზი და ჩატარდა ლორ-ორგანოების ობიექტური გამოკვლევა რუტინული და თანამედროვე მეთოდებით ბოჭკოვან-ოპტიკურ განათებაზე დაფუძნებული ენდოსკოპიური კვლევა; თანამედროვე რენტგენოლოგიის ტექნიკა; ცხვირისა და დანამატი წიაღებიდან აღებული ნაცხის მიკრობიოლოგიური გამოკვლევა. ბიოფისიური და ოპერაციის შემდგომ აღებული ქსოვილური მასალის პათოჰისტომორფოლოგიური და იმუნიჰისტოქიმიური კვლევები. ვენოზური სისხლის იმუნოფენოტიპირების შესწავლა ხდებოდა გამდინარე ციტომეტრიის მეთოდით, რომელიც დაფუძნებული იყო CD - მარკერებისადმი მონოკლონური, ანტისხეულების გამოყენებაზე. ამ შემთხვევებში რენტგენოლოგიის ტექნიკური კვლევით - ყველაზე ხშირად აღინიშნა ზედა ყბის (ჰაიმორის) წიაღების დაზიანება. პროცესები უპირატესად ორმხრივია (45) ( $P > 0,05$ ). ქრონიკული მიდ-ისა და თანმხლები დაავადებების ფონზე არსებულ ქრონიკული რინოსინუსიტში მიკრობიოლოგიური პეიზაჟი იყო მეტად მრავალფეროვანი. თანმხლები დაავადებების ფონზე მიდ-ი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მიმდინარე ქრონიკული რინოსინუსიტების მიკრობიოლოგიური პეიზაჟის შემადგენლობაზე. ამ შემთხვევებში პაციენტები უფრო ადვილად ავადდებიან უფრო რთული მრავალკომპონენტური პათოგენებით. იმუნიტეტის დარღვევა, ალერგიული სენსიბილიზაცია, ენდოკრინული დარღვევები და მიკოზური ინფექციის არსებობა ხელს უწყობენ ანთებითი პროცესების გაქრონიკულებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ ქრონიკული მეორადი იმუნური დისფუნქციის შემთხვევებში არსებული ქრონიკული ფორმის რინოსინუსიტების მქონე ავადმყოფებში იმუნოლოგიური თავისებურებების ცოდნა აფუძნებს აუცილებელ მოთხოვნას იმის შესახებ, რომ დაავადებულ ადამიანებში ჩატარდეს დიფერენცირებული იმუნოლოგიური გამოკვლევა და ინდივიდუალური მიდგომით განხორციელდეს მათი თერაპიული მკურნალობა. ყოველივე ეს თავის მხრივ ხელს შეუწყობს: ამავე პათოლოგიური პროცესების დროულად გამოვლინებას და მართებული და ეფექტური მკურნალობის დასახვას და შესაბამისად პრაქტიკულ მედიცინაში გამოყენებას.

ელენე ჯანბერიძე<sup>1,2</sup>, ნანა ბაკურაძე<sup>1</sup>, რუსუდან ჯოჯუა<sup>1</sup>, მარინე ერემაშვილი<sup>1</sup>,  
ნანა წიქორიძე<sup>1</sup>, მარინე ლულუნიშვილი<sup>1</sup>, იოსებ აბესაძე<sup>3,4</sup>

## საქართველოში პალიატიური მზრუნველობის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული დანესებულებების საჭიროებების შეფასება

<sup>1</sup> ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ალ. ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი, გერონტოლოგიისა და პალიატიური მედიცინის დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო;

<sup>2</sup> კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, მედიცინის ფაკულტეტი, თბილისი, საქართველო;

<sup>3</sup> თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო;

<sup>4</sup> კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2026.02.19>

ELENE JANBERIDZE<sup>1,2</sup>, NANA BAKURADZE<sup>1</sup>, RUSUDAN JOJUA<sup>1</sup>, MARINE EREMASHVILI<sup>1</sup>,  
NANA TSIKORIDZE<sup>1</sup>, MARINE GUGUNISHVILI<sup>1</sup>, IOSEB ABESADZE<sup>3,4</sup>

## ASSESSMENT OF THE NEEDS IN INSTITUTIONS INVOLVED IN THE STATE PALLIATIVE CARE PROGRAM IN GEORGIA

<sup>1</sup> Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Institute of Morphology, Department of Gerontology and Palliative Medicine, Tbilisi, Georgia; <sup>2</sup> Caucasus International University, Faculty of Medicine, Tbilisi, Georgia; <sup>3</sup> Tbilisi State Medical University, Tbilisi, Georgia; <sup>4</sup> Institute of Clinical Oncology, Tbilisi, Georgia

### SUMMARY

Palliative care is an approach that improves the quality of life of patients and their families facing problems associated with life-threatening illness, through the prevention and relief of suffering by means of early identification, assessment, and treatment of pain and other physical, psychosocial, and spiritual problems. Nevertheless, the development and accessibility of palliative care services in Georgia remain significant challenges. The aim of the study was to evaluate the services, accessibility, clinical practices, staff education, and quality monitoring systems of institutions participating in the state palliative care program in Georgia in 2023.

Most palliative care services are concentrated in capital and several large regional centers, while in a number of regions such services are unavailable. The state program is predominantly focused on inpatient care, whereas outpatient and home-based services remain limited. Current reimbursement tariffs are insufficient to support comprehensive service delivery. Chronic pain management relies mainly on injectable form of morphine, while immediate release oral morphine is unavailable. The study also identified a need for improved education and continuous professional development in the field of palliative care. Services are largely limited to the involvement of physicians and nurses, with minimal implementation of a multidisciplinary approach. In addition, patient-reported outcome measures are rarely utilized within existing quality monitoring systems.

To improve the palliative care system in Georgia, it is essential to increase funding, expand regional and home-based services, strengthen multidisciplinary approach, ensure the availability of immediate-release oral morphine, enhance staff education and training, and implement patient-centered quality assessment tools in clinical practice.

**Keywords:** Assessment, Needs, Institutions, State Palliative Care Program, Georgia

**შესავალი.** მედიცინის სწრაფი განვითარება განაპირობებს ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდას, შესაბამისად იზრდება ქრონიკული სიცოცხლის შემზღუდავი და სიცოცხლისთვის საშიში დაავადებების მქონე პაციენტების სიცოცხლის ხანგრძლივობაც. ამ პაციენტებს, ისევე, როგორც ავადმყოფთა სხვა ჯგუფებს, მათთვის შესაფერისი სამედიცინო, სოციალური, ფსიქოლოგიური და სულიერი მზრუნველობა ესაჭიროებათ. სწორედ ამ ამოცანების გადაჭრას ემსახურება პალიატიური მზრუნველობა. მისი ძირითადი მიზანია სიცოცხლისთვის საშიში დაავადების მქონე პაციენტთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ტანჯვის პრევენციის და/ან შემსუბუქების გზით, მისი ადრეული გამოვლენით, ტკივილისა და ტანჯვის გამომწვევი ფიზიკური თუ ფსიქოსოციალური სიმპტომების მართვით [1]. ამ განმარტების თანახმად პალიატიური მომსახურება შეიძლება გაენიოს

პაციენტებს მაშინ, როდესაც ისინი დიაგნოსტირებული არიან ქრონიკული, უკურნებელი დაავადებით. პალიატიური პაციენტების ადრეული გამოვლენა პირველადი ჯანდაცვის სერვისების მოვალეობაა და ამ სფეროს პროფესიონალებს ეკისრებათ. შესაბამისად, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში პალიატიურ მზრუნველობას პაციენტები პირველადი ჯანდაცვის რგოლში უფრო ხშირად იღებენ, ვიდრე ჰოსპისებსა და სტაციონარებში. პალიატიური მზრუნველობის ევროპული ასოციაციის (European Association for Palliative Care) [2] 2019 წლის კვლევის მიხედვით ფინეთში, პოლონეთსა და ნიდერლანდებში პირველადი ჯანდაცვის რგოლში პალიატიური მზრუნველობა ესაჭიროებოდა პაციენტთა 61-80%-ს. ამისთვის ევროპაში შექმნილია პირველადი ჯანდაცვის ჯგუფები, რომლებიც უზრუნველყოფენ კოორდინირებულ კავშირს ჯანდაცვის სისტემასთან და უფრო ადრეულ სტადიებზე ხდიან ხელმისაწვდომს პაციენტის მართვას [3].

ევროპის ქვეყნებში პალიატიური მზრუნველობის განვითარების ერთ-ერთ საუკეთესო მაჩვენებელს პალიატიური მზრუნველობის სერვისების რაოდენობა წარმოადგენს [3]. პალიატიური მზრუნველობის სპეციალიზებული დაწესებულებები ორგანიზებულია ინტერდისციპლინური გუნდებით, რომელთაც გავლილი აქვთ ტრენინგები და მზად არიან ადამიანს შეუმსუბუქონ ფიზიკური, ფსიქოლოგიური, და სულიერი ტანჯვა.

